ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალი

ო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 3 ლარი

1425
2014



## ქართულ არმიას ქართული ჩაფხუტი და ჯავშანჟილეტი!

## კრემლი უკრაინის დაშლას შეეცდება

## რას გეგმავს გენშტაბის უფროსი

## როგორ აფინანსებდა ბიძინა ივანიშვილი ქართულ ჯარს...

## ქართველების ლატვიელი ადმირალი სიძე

N3 (193) მარტი, 2014

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


5


**4 კალეიდოსკოპი**
სამხედრო სიახლეები

**8 გამოცდა**
ქართულ არმიას ქართული ჩაფხუტი და ჯავშანჟილეტი!

**12 ინტერვიუ**
რას გეგმავს გენშტაბის უფროსი

**17 დაპირისპირება**
კრემლი უკრაინის დაშლას შეეცდება

**18 ექსპოზიცია**
DEFEXPO 2014

**20 სამეზობლოში**
ბაქო მსოფლიოში უსწრაფეს გამანადგურებლებს ამოქმედებს

**24 რეგიონი**
ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...

**28 თვალსაზრისი**
როგორ აფინანსებდა ბიძინა ივანიშვილი ქართულ არმიას...

**32 აშკარა-დაუჯერებელი**
64 დღე-ღამე ჰაერში!

**34 ძველი საქმე**
საქართველოს ეროვნული არქივის დაბრუნების საიდუმლო

**39 ინოვაციური ტექნოლოგიები**
ლულიდან გასროლილი უპილოტო

**44 საბრძოლო მანქანები**
ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1

**48 სპეცდანაყოფები**
უშიშარნი ზღვასა და ხმელეთზე



12


20


76

ეროვნული ბიბლიოთეკა


**ავიაცია 51**
„სიამის ტყუპი“

**ფლოტი 54**
აჭარის ფლოტი

**საფორტო ნაგებობები 58**
გონიო-აფსაროსი

**წარსული წლები 61**
ქართველების ლატვიელი ადმირალი სიძე

**მეომრები 66**
500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

**100 დიდი მხედართმთავარი 68**
თავადი ოტო ფონ ბისმარკი

**ცხელი წერტილი 70**
მოზამბიკი

**პროფესიონალის ხედვა 72**
რა სტრესებს განიცდის მებრძოლი...

**იარაღი კინოში 76**
„ვარსკვლავური დესანტი“ უცხოპლანეტელ ობობებთან ბრძოლაში

**კროსვორდი 80**
არსენალვორდი

**ქალი ფორმაში 81**
ფოტოგანწყობისთვის

**იარაღის გალერეა 82**
უცნაურზე უცნაური პისტოლეტი


# რედაქციისგან

საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა მაისიდან ნახევარი წლით ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაგზავნოს ქართული არმიის ქვეითი ასეული, რომელიც სამოქალაქო ომში გახვეულ აფრიკის ამ ქვეყანაში ევროკავშირის სამხედრო ძალებს ამოუდგება მხარში.

2014 წლის მეორე ნახევარში საქართველოს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ერთდროულად ორ სამშვიდობო ოპერაციაში მოუწევს მონაწილეობა — ავღანეთსა და აფრიკაში.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ძალზე სასტიკი სამოქალაქო ომი მიმდინარეობს და ქართველი სამხედროები ამისთვის შემზადებულნი უნდა იყვნენ.


მთავარი რედაქტორი
**ირაკლი ალადაშვილი**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**თემურ ჩაჩანიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**დათო მოსიაშვილი**

რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49



სარეკლამო განყოფილება:
ტელ: (+995 32) 237-78-07
(+995 32) 238-78-70

პალიტრამედიის ცხელი ხაზი:
ტელ: (+995 32) 219-60-13
(+995 32) 219-60-53
Email: contact@palitra.ge



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“ და მიიღეთ შინ, თვეში ერთხელ!
ტელ: (+995 32) 238-26-74
(+995 32) 238-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
24.02.2014

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©


საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯარისკაცები არიან თუ ვარსკვლავები?!



შვედმა სამხედროებმა, რომლებიც ავღანეთში მსახურობენ, ფილმიდან „ბრიოლინი“ (მთავარ როლში ჯონ ტრავოლტა) სცენა დადგეს, კლიპად გადაიღეს და „იუთუბის“ მეშვეობით მსოფლიოს უჩვენეს.

ვიდეორგოლი იმდენად პოპულარულია, რომ იანვრის ბოლოდან დღემდე ორ მილიონზე მეტმა ინტერნეტმომხმარებელმა ნახა. ეგ კი არა, კლიპის შესახებ მრავალი ქვეყნის ბეჭდვითმა გამოცემამაც დაწერა და ამ ყველაფრით აღტაცება ველარ დამალა ვიდეორგოლის რეჟისორმა ბორის ზელადამ: „ვფიქრობდით, რომ გამოხმაურება იქნებოდა, მაგრამ ამ მასშტაბისა ნამდვილად ვერ წარმოგვედგინა“.

რაც შეეხება ლამის შოუბიზნესის ვარსკვლავებად გადაქცეულ ჯარისკაცთა მეთაურობის რეაქციას, შვედეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა ამაყად თქვა, ეს პაროდია ჩვენმა სამხედროებმა თავისუფალ დროს გადაიღეს და ეს იოტისოდენადაც არ გვაძლევს საფუძველს, მათ პროფესიონალიზმში ეჭვი შევიტანოთ, პირიქითო.

# კოლონა მძღოლის გარეშე



აშშ-ის არმიის ავტოჯავშანსატანკო ტექნიკის საინჟინრო ცენტრმა ავტონომიური (კომპიუტერით მართვადი) ავტოკოლონა გამოცადა, რომელიც რამდენიმე ტიპის მანქანისგან შედგებოდა. „ფორტ-ჰუდის“ ბაზაში ჩატარებული გამოცდის დროს ავტოკოლონამ წინასწარ დაგეგმილი მარშრუტი დამოუკიდებლად განვლო და შედეგი წარმატებულად შეფასდა.

ავტონომიური ავტოკოლონა რამდენიმე საგზაო ვითარებაში გამოცადეს, მათ შორის იყო გზაჯვარედინები, შემხვედრი და გამსწრები ავტომობილები, ფეხით მოსიარულეები... ავტოკოლონა გაუმკლავდა ყველა იმ დაბრკოლებას, რომლებიც გზაში სამხედრო მძღოლებს ჩვეულებრივ ხვდებათ.

ავტონომიურ გადაადგილებას აშშ-ის არმიისა და საზღვაო ქვეითების დაკვეთით შექმნილი პროგრამა AMAS-ი უზრუნველყოფს. ჩანაფიქრით სისტემა აშშ-ის არმიის შეიარაღებაში მყოფი ნებისმიერი ტიპის საავტომობილო ტექნიკას უნდა მოერგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ ვერ გაივლის, გადააფრინდება



ალბათ, ნებისმიერ ჩვენგანს, დაუსრულებელ საავტომობილო „საცობში“ გაჭედილს, უნატრია ისეთი მანქანა, რომელიც ღილაკის დაჭერისთანავე ცაში აფრინდება, გადასერავს ქუჩებს, ქალაქებს, მთებსა თუ ზღვებს და ბოლოს „რბილად“ დაეშვება დანიშნულების ადგილზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავსი იდეა ამოძრავებდათ შვეულმფრენ-ტრანსფორმერის AT Black Knight-ის შემქმნელებს, რომლებმაც ფანტაზიას ხორცი შეასხეს.

ეს მფრინავმავალი მანქანა ამერიკულმა აეროკოსმოსურმა კომპანია Advanced Tactics Inc-მა შექმნა, რომელმაც ოქტოკოპტერი ხმელეთზეც გამოცადა.

ერთი სიტყვით, „შავი რაინდი“ მსოფლიოში პირველი ყველგანმავალია, აფრენა-დაშვების ვერტიკალური შესაძლებლობით. ნიშანდობლივია, რომ ინჟინერთა ჩანაფიქრით, ოქტოკოპტერი იაფი და ოპერატიული საშუალება იქნება ბრძოლის ველიდან დაჭრილი ჯარისკაცების ევაკუაციისა და ასევე, ტვირთების ტრანსპორტირებისთვის.

# საზღვაო ქვეითი, მოდელი და რინგის გოგონა





ეს სანდომიანი ქალიშვილი, რომლის სახელი და გვარი შენონ ირკეა, ერთ დროს, აშშ-ის საზღვაო ქვეითთა ბატალიონში მსახურობდა, მაგრამ ერთ დღეს გოგონამ დაასკვნა, რომ სამხედრო ფარაჯა მის ნატიფ სხეულსა და სულს მაინცდამაინც არ შეეფერებოდა და რაიმე უფრო ქალური პროფესიის დაუფლება გადაწყვიტა.

ოღონდ არ იფიქროთ, საბავშვო ბაღში მასწავლებლად ან სილამაზის სალონში სტილისტად დაიწყო მუშაობა. 24 წლის შენონმა, ვის წასვლამაც შეიარაღებულ ძალებში გული, ალბათ, ბევრს დასწყვიტა, შერეული საბრძოლო ხელოვნების ორთაბრძოლების ე. წ. „რინგის გოგონად“ გახდომა არჩია.

თუმცა, ამ ტურფა და კეკლუც ასულს ასპარეზად მხოლოდ რინგი არ ჰყოფნის და პერიოდულად მამაკაცური ჟურნალებისთვის თამამ ფოტოსესიებსა და სარეკლამო რგოლებში მონაწილეობს.

# Narco-submarinos



ოფიციალური მონაცემებით, კოლუმბიიდან ჩრდილოეთ ამერიკაში წლიური ნარკოტრაფიკი წელიწადში დაახლოებით 550 ტონას შეადგენს. აქედან 2/3-ის ტრანსპორტირება კი წყნარ ოკეანეზე, თვითნაკეთ ნარკოსუბმარინებზე მოდის და მექსიკისა თუ აშშ-ის სანაპიროებთან მორიგი ასეთი „წყალქვეშა ნავის“ აღმოჩენის შესახებ ცნობა, ამ ქვეყნის ხელისუფალთათვის მოულოდნელობა კარგა ხანია აღარ არის.

ყოველწლიურად კოკაინის ასეთი საშუალებებით „ტრანსპორტირების“ 80-ზე მეტი შემთხვევა რეგისტრირდება. „თეთრი სიკვდილის“ გადატანის ტრანსკონტინენტური სქემა საათივითაა აწყობილი. ნარკომოვაჭრეთა თითოეული სატრანსპორტო საშუალება მის შემქმნელთა უსაზღვრო ფანტაზიითა და ტექნოლოგიური შესაძლებლობებით სპეციალისტთა გაოცებას იწვევს. თურმე კოლუმბიელი „ინჟინრებისთვის“ სულაც არ არის უცხო მოდულური კონსტრუქცია, ჰაერის კონდიცირების სისტემა, პერისკოპები, ღამის ხედვის მოწყობილობები თუ კორპუსის კოროზიის ელექტროქიმიური დაცვა.

ასეთი „წყალქვეშა ნავების“ ეკიპაჟი, როგორც წესი, 2-3-კაციანია, სვლის მანძილი კი 5000 კმ-ს აღწევს!



# „გონიერ“ შაშხანას აშშ-ის არმია გამოცდის

აშშ-ის არმიამ გამოსაცდელად ექვსი „ინტელექტუალური“ სნაიპერული შაშხანა PGF (Precision Guided Firearm) მიიღო, რომელიც კომპანია Tracking point-მა თითქმის ერთი წლის წინ წარმოადგინა. თუკი ტესტირება წარმატებით ჩაივლის, სამხედროები ამ ნაქებ იარაღს შეიარაღებაში მიიღებენ.

იარაღის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ ეს კომპიუტერიზებული შაშხანა ახალბედასაც კი შეაძლებინებს 500 მეტრში ვაშლს ტყვია მოარტყას. 1100 მეტრზე სროლისას კი „გონიერი“ შაშხანა, ჩვეულებრივთან შედარებით, პირველივე ცდიდან მიზანში მორტყმის ალბათობას ხუთჯერ ზრდის.

მსროლელი მიზანს თაჩსქრინზე უთითებს, რომელიც ოპტიკურ სამიზნეზეა მიერთებული. შაშხანის კომპიუტერი აანალიზებს ქარის სიჩქარესა და მიმართულებას, ზომავს მანძილს მიზნამდე, ითვალისწინებს სამიზნის მოძრაობასა და ვიბრაციას და არჩევს გასროლის ოპტიმალურ მომენტს. ეგ კი არა, სურვილის შემთხვევაში, კეთდება თითოეული გასროლის ვიდეოჩანაწერი და WiFi-ით ხდება მისი ტრანსლირება პლანშეტზე.

სნაიპერული შაშხანა PGF კონფიგურაციის მიხედვით 10-იდან 27 ათას დოლარამდე ღირს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ახალგაზრდა თოფები“

ბრიტანელმა ფოტოგრაფმა ჯასპერ უაითმა დამთვალიერებლებს წარუდგინა ფოტოპროექტი „ახალგაზრდა თოფები“, რომელიც საშუალებას გვაძლევს, შევიხედოთ ისრაელის სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვეული, 18 წლის გოგო-ბიჭების საძინებლებში. ცნობისთვის: მათ გაწვევისთანავე ეძლევათ იარაღი, რომელსაც სამსახურის ვადის ამოწურვამდე (3 წლის განმავლობაში) გვერდიდან არ იშორებენ. რაც შეეხება ჯარისკაცთა საძინებელ ოთახებს, ისინი თითქოს ჩვეულებრივია — დამახასიათებელი 18-იდან 22 წლამდე ასაკისთვის... მაგრამ ჩვეულებრივი გეჩვენებათ იქამდე, სანამ თვალს იარაღს არ მოჰკრავთ. ნამდვილი ავტომატები და პისტოლეტები, პლაკატების, კომპიუტერის, სერფინგის დაფისა თუ რბილი სათამაშოების გვერდით — ასე მორთული ინტერიერი ისრაელის ახალგაზრდობისთვის ჩვეულებრივია.



# მოდი და გასრისე!



ქვეყანაში ტურიზმის განვითარება რომ საშური საქმეა, ეს ახალზელანდიელებმა კარგად იციან და ტურისტების მოსაზიდად ისეთ რალაცებს აკეთებენ, ჩვენთვის, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია. აი, მაგალითად, ახალ ზელანდიაში ჩასულ სტუმრებს გარკვეულ საფასურად შეუძლიათ ტანკის საჭეს მიუსხდნენ და გასრისონ ყველაფერი, რაც გზად შეხვდებათ (როგორც წესი, ეს ჯართისთვის განკუთვნილი ავტომობილებია). ხომ მაგარია?!

ვფიქრობთ, თუკი ამ ქვეყანაში მოხვდებით, ასეთი სიამოვნების განცდის შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებთ. ჩვენ კი ყოველი შემთხვევისთვის, მოგახსენებთ, რომ სააგენტო „ტანკები ყველაფრისთვის“ (Tanks for everything) ქალაქ კრაისტჩერჩში უნდა მოიკითხოთ. იქ ტანკების გარდა, ჯავშანმანქანები და ისეთი ჯიპებიც ქირავდება, ჩვეულებრივ მსუბუქ ავტომობილს ბორბლებქვეშ იოლად რომ მოიყოლებს. თუმცა ამ საქმისთვის ყველაზე შთამბეჭდავი ჩვენ მაინც ბრიტანული „მაქსიმუსი“ გვგონია. ცნოპისთვის: „ცენტურიონის“ მარკის ეს საბრძოლო ტანკი 52 ტონას იწონის და მას ავსტრალიის არმია გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, ვიეტნამის ომის დროს იყენებდა.

# ქართულ არმიას ქართული ჩაფხუტი და ჯავშანჟილეტი!



**დროა, „დელტას“ შექმნილი ქართული ჯავშანჩაფხუტი და ჯავშანჟილეტი საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მებრძოლების აღჭურვაში მიიღოს და აღარავინ იფიქროს ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებების დიდი პარტიების მაინცდამაინც საზღვარგარეთიდან შემოტანაზე**

სპეციალური ოპერაციების ძალების ვაშლიჯვრის ბაზის სასროლეთზე 10 თებერვალს წარმატებით ჩაიარა სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტაში“ შექმნილი ჯავშანჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების საცეცხლე გამოცდამ.

სპეცდანაყოფის მებრძოლებმა ყველას თვალწინ გამოცადეს ქართული ნაწარმი — ჯავშანჩაფხუტებმა 5 მ-ის მანძილიდან ნასროლი TT-სა და Glock-ის ტიპის პისტოლეტების ტყვიებს გაუძლო, ხოლო 10 მ-იდან ჯავშანჟილეტები ვერ გახვრიტა ვერც AKM-ს ავტომატმა და რაც მთავარია ვერც სნაიპერული СВД-ით ნასროლმა ჯავშანგამტანმა ტყვიებმა.

ქართულმა ჯავშანჩაფხუტებმა და ჯავშანჟილეტებმა საჩვენებელი გამოცდა საუცხოოდ ჩააბარეს, მაგრამ „არსენალს“ გაუჩნდა სურვილი, თავადაც გამოეცადა ინდივიდუალური თავდაცვის ეს ნიმუშები უფრო მკაცრ პირობებში, რადგან მისი შედეგები საბოლოოდ დაგვარწმუნებდა ქართული ჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების ავკარგიანობაში და „არსენალის“ ერთგულ მკითხველსაც სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე აბსოლუტურად დარწმუნებულები მოვუთხრობდით, ღირს თუ არა მათ ვანდოთ საქართველოს დამცველთა ბედი ბრძოლებში.

„დელტას“ ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჩვენი სურვილი და ამ სტატიის ავტორს მისცა შესაძლებლობა, გამოეცადა ქართული ჯავშანჩაფხუტისა და ჯავშანჟილეტის ტყვიების მოხვედრისგან მდგრადობის ბოლო ზღვარი.

თავიდან ჯავშანჩაფხუტის გამოცდა დავიწყეთ. წავიდა ის დრო, როდესაც ჩაფხუტებს ფოლადისგან ამზადებდნენ და რომელსაც ტყვია უპრობლემოდ ხვრეტდა. მაგალითად, საბჭოთა არმიის ფოლადის ჩაფხუტი СШ-68, რომელიც ყველაზე გავრცელებულია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების არმიებში, აკავებს მხოლოდ 250 მ/წმ სიჩქარით მოხვედრილი 1 გ მასის ნამსხვრევს, ტყვიებისგან კი საერთოდ ვერ იცავს.

დღეს წამყვანი ქვეყნები აწარმოებენ კომპოზიციური მასალებისგან შექმნილ ჯავშანჩაფხუტს, რომელშიც სპეციალური მეთოდით ერთმანეთზე დაპრესილი კევლარის რამდენიმე ფენაა გამოყენებული.

დაახლოებით ანალოგიური ტექნოლოგიითაა შექმნილი ქართული ჩაფხუტიც, თუმცა უპირველესად კომერციული (ნაკლებად სამხედრო) საიდუმლოებიდან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად აღვწეროთ მისი წარმოების დეტალები.

გამოსაცდელ ჩაფხუტს უკვე ჰქონდა მოხვედრილი 14 ტყვია, თუმცა არც ერთი არ იყო შესული შიგნით, ტყვიები ჩაფხუტის კედლებში იყო ჩარჩენილი.

სროლა 5 მ-ის სიშორიდან ხდებოდა. სასროლად გამოყენებულ იქნა საბჭოთა ნახევრად ავტომატური პისტოლეტი TT და ფოლადისგარსაცმიანი ტყვიის მქონე 7,62X25 მმ კალიბრის ვაზნები.

ჩაფხუტს მოვარტყით 7 ცალი ფოლადისგარსაცმიანი 7,62 მმ კალიბრის TT-ს ტყვია. ყველა გასროლის შემდეგ დეტალურად ვათვალიერებდით ჩაფხუტს, თუმცა არც ერთმა ტყვიამ შიგნით არ გაატანა.

ალსანიშნავია, რომ ერთი ტყვია ჩაფხუტს უკიდურეს ქვედა ნაწილში მოხვდა (ყურის დამცავთან), სა-

დაც დაცვის ხარისხი შედარებით ნაკლებია, თუმცა ვერც ამ ტყვიამ გახვრიტა ჩაფხუტი. სამაგიეროდ, შევძლით კომპოზიციური მასალის შრეებიდან ამოგველო ის, რაც მისგან დარჩა გაბრტყელებული სახით.

ქართულმა ჯავშანჩაფხუტმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა, მით უმეტეს, რომ გამოცდისას, როგორც წესი, მასზე მხოლოდ 5 გასროლას თუ აკეთებენ. თანაც მან გაუძლო TT-ს პისტოლეტის 7,62 მმ კალიბრის 5,5 გ მასის ტყვიას, რომლის საწყისი სიჩქარე გასროლისას 445 მ/წმ-ია, ხოლო საწყისი ენერგია კი 500 ჯოულამდე. რა კლასის დაცვას შეესაბამება ქართული ჯავშანჩაფხუტის მონაცემები?

მსოფლიოში ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებების დაცვის კლასის განსაზღვრის რამდენიმე სკალა არსებობს, მათ შორის რუსული ГОСТ-ი, გერმანული DIN-ი და ევროპული CEN-ი. „დელტას" სპეციალისტები ჯავშანჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების დაცვის კლასს აშშ-ის იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტის, NIJ-ის პარამეტრებით განსაზღვრავენ.

ჩვენმა TT-ის ტყვიებზე გამოცდილმა ქართულმა ჯავშანჩაფხუტმა NIJ-ის სკალით III-A კლასის დაცვა მიიღო, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

წესით, ამ ჯავშანჩაფხუტმა საბრძოლო მოქმედებების დროს (სადაც TT-ს ტყვიის მოხვედრის შანსი ბევრად ნაკლებია) უნდა შეძლოს ქართველი მებრძოლის თავის დაცვა, თუკი ჩაფხუტს მოხვდება 780 მ/წმ სიჩქარით (ანუ ბგერის სიჩქარეზე ორჯერ სწრაფი) 1,1 გ მასის ის ნამსხვრევები, რომლებიც ხელყუმბარების, ნაღმების, საარტილერიო ჭურვებისა თუ საავიაციო ბომბების აფეთქების დროს წარმოიქმნება.

„დელტას" დამზადებული აქვს ჯავშანჩაფხუტის ორი მოდელი: ერთი საერთო-საჯარისო, რომელიც განკუთვნილია საბრძოლო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეების მასობრივად აღსაჭურვად (იგი 1,3-დან 1,5 კგ-მდე იწონის, გააჩნია ზომას) და მეორე — სპეციალური დანიშნულების ძალების მებრძოლებისთვის. ის შემსუბუქებულია, სხვა ფორმის არის და ყურების არეს არ




*კომპოზიციური კერამიკისგან დამზადებული ხისტი ჯავშანფილა 10 მეტრიდან ნასროლ СВД-ს ჯავშანგამტან ტყვიებს უძლებს*

იცავს, მაგრამ ეს სპეცრაზმელების მოთხოვნაა, რომლებსაც სპეციალური ყურსაცვამების გაკეთება უწევთ.

ცალკე აღსანიშნავია ჩაფხუტის ამორტიზაციის სისტემა, რომელიც ასევე ქართველმა სპეციალისტებმა შექმნეს. სპეცრაზმელების თქმით, ქართული ჩაფხუტის თავზე მორგება უფრო კომფორტულია, ვიდრე ამერიკულის.



*ვაშლიჯვარში ქართული ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოცდისას სპეცრაზმელებმა რამდენიმე სახის იარაღი გამოიყენეს*

ეროვნული ბიბლიოთეკა



*„დელტას“ დირექტორი უჩა ძოძუაშვილი ქართული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს აცნობს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი სესიაშვილს და გენშტაბის უფროს ვახტანგ კაპანაძეს*

ჯავშანჩაფხუტის გამოცდის შემდეგ „არსენალი“ ჯავშანჟილეტის სიმტკიცის შემოწმებაზე გადავიდა.

სროლის დისტანცია 10 მ გახლდათ, თუმცა ტყვიის მორტყმა ერთლარიანი მონეტისხელა ნიშნულზე იყო აუცილებლად საჭირო, რომლებიც ერთმანეთისგან 5 სმ გახლდათ დაშორებული.

ჯავშანჟილეტის დაცვის რბილი ფილა, რომელიც ადამიანის გულმკერდს იცავს (38-დან 54 $დმ^2$ ფართობზე), დაპრესილი კომპოზიციური მასალისგან შედგება.

მას რამდენიმე სხვადასხვა კალიბრის იარაღი ვესროლეთ, მათ შორის საბჭოთა სნაიპერული СВД და АКМ და ქართული G5 ავტომატი.

სულ გასროლილ იქნა 10 ტყვია. ყველა მათგანი რბილმა ჯავშანფილამ შეაკავა, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ СВД-ით 7,62X54R ტიპის ვაზნის მსუბუქი ტყვია ЛПС ვესროლეთ და არა ჯავშანგამტანი Б-32. ტყვიებმა რბილი ჯავშანფილა ვერ გახვრიტა, მაგრამ ფილის მეორე მხარეს ტყვიის წვეტი 1-2 მმ-ზე გამოჩნდა. თუმცა ეს არ არის საშიში, რადგან ჯავშანფილა იდება ჯავშანჟილეტის იმ კონსტრუქციაში, რომელიც თავად კომპოზიციური მასალისგანაა დამზადებული და ყოველგვარი დამატებითი ფილის გარეშეც უძლებს ТТ-ს ტყვიის მოხვედრას.



*ТТ-ს ტყვია ჯავშანჩაფხუტის კედელში გაიჭედა და ასეთი გაბრტყელებული სახე მიიღო...*

ამ გამოცდისას სტატიის ავტორი თავად დარწმუნდა იმაში, თუ რატომ შეცვალეს გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ამერიკელებმა და საბჭოთა სამხედროებმა 7,62 მმ კალიბრი უფრო მცირე, 5,56 და 5,45 მმ კალიბრით. რბილ ჯავშანფილაზე 10 მ-იდან ნასროლმა АКМ-ის 7,62 მმ-მა ტყვიამ უფრო ნაკლებად შეაღწია, ვიდრე G5-ით ნასროლმა 5,56 მმ კალიბრისამ.

NIJ-ის სკალის თანახმად, ქართულმა რბილმა ჯავშანფილამ დაცვის III კლასი აჩვენა, რაც მშვენიერი შედეგია, გამომდინარე მისი შედარებით მცირე მასისგან. ოპერაციაზე გასვლის წინ თუკი მოსალოდნელი არ არის, რომ მოწინააღმდეგე ძლიერ ცეცხლსასროლ იარაღს გამოიყენებს, მებრძოლი ჯავშანჟილეტში მსუბუქ ფილებს (წინ და უკან) ჩააწყობს, რათა უფრო სწრაფად იმოძრაოს და ნაკლებად დაიღალოს.



იმ საბრძოლო ოპერაციებში კი, სადაც ყველანაირი შეიარაღების გამოყენებაა მოსალოდნელი, მებრძოლი დაცვის ყველაზე მაღალ კლასს ირჩევს და ჯავშანჟილეტში აწყობს რბილის ნაცვლად ხისტ ფილებს, რომლებიც უკვე არა კომპოზიციური ქსოვილების დაპრესვის მეთოდითაა დამზადებული, არამედ კომპოზიციური კერამიკის გამოყენებით.

იგი უფრო მძიმეცაა, სამაგიეროდ მებრძოლს იცავს სულ რაღაც 10 მ-იდან СВД-ით ნასროლი 7,62 მმ კალიბრის Б-32 ტიპის ჯავშანგამტანი ტყვიისგან, რომელიც 10,4 გ-ს იწონის, მისი საწყისი სიჩქარე 800-815 მ/წმ-ია, ხოლო საწყისი ენერგია 3650 ჯოულამდე.

სიმართლე გითხრათ, სწორედ იმაში მეპარებოდა ეჭვი, რომ ქართული ხისტი ჯავშანფილა 10 მ-იდან ნასროლ ამ ჯავშანგამტან ტყვიას გაუძლებდა, რადგან საბჭოთა მეიარაღეები ყოველთვის ამაყობდნენ, რომ ჯავშანგამტანი ტყვია Б-32-ი 90 გრადუსი კუთხით მოხვედრისას 10 მმ სისქის ფოლადის ფილას, არც მეტი, არც ნაკლები... 200 მ-იდან(!) ხვრეტდა.

გაუძლებს კი კომპოზიციური კერამიკისგან დამზადებული ჯავშანფილა იმავე ტყვიას 20-ჯერ ნაკლები მანძილიდან, სულ რაღაც 10 მ-იდან?

ახალ ჯავშანფილას 10 მ-ის სიშორიდან СВД-ით გარკვეულ წერტილებში 7 ცალი ჯავშანგამტანი Б-32 ტიპის ტყვია ვესროლე და ყოველი გასროლის შემდეგ ვრწმუნდებოდი, რომ ქართველმა სპეციალისტებმა „დელტაში" მართლაც საიმედო დაცვა შექმნეს ქართველი მებრძოლისთვის.

ხისტმა ჯავშანფილამ შვიდივე ჯავშანგამტან ტყვიას გაუძლო, არადა, ბრძოლაში ერთი ტყვიისგან რომ დაგიცვას ჯავშანჟილეტმა, ღმერთსა და ჯავშანჟილეტის შემქმნელებს დიდი მადლობა უნდა გადაუხადო.

შვიდ ჯავშანგამტან ტყვიაგაძლებულ ჯავშანფილაზე АКМ-ით სამი გასროლაც მივაყოლე, თუმცა თითქმის დაშლილმა (ტყვიის მოხვედრის შემდეგ მისი შიგთავსი — კერამიკის პატარა ექვსკუთხედები იშლება) ჯავშანჟილეტმა ბოლო „ამოსუნთქვაზე" ამასაც გაუძლო, არადა, გამოცდისას ასეთ ჯავშანფილას ხუთიოდე ტყვიას თუ ესვრიან.

გამოცდის მიხედვით, კომპოზიციური კერამიკისგან დამზადებულმა ხისტმა ჯავშანფილამ NIJ-ის სკალით დაცვის IV კლასი აჩვენა, რაც საუკეთესო შედეგია.

როგორც „დელტას" დირექტორმა უჩა ძოძუაშვილმა „არსენალს"განუცხადა, „დელტას" სპეციალისტებმა დაამზადეს და გამოცადეს ჯავშანჩაფხუტის ორი და ჯავშანჟილეტის ხუთი მოდელი. მათ შორისაა სპეცდანიშნულების მებრძოლებისთვის განკუთვნილი მაღალი დაცვის და ამასთან, კომფორტული (6-8 კგ მასის) ჯავშანჟილეტი, ასევე საერთო-საჯარისო ელიტური ნაწილებისთვის (7,5-9,5 კგ-იანი), საერთო-საჯარისო დანაყოფებისთვის (9-10 კგ), საპოლიციო და დაცვის სამსახურებისთვის (6,5-8,5 კგ მასის) და ფარული ტარებისთვის (1-1,5 კგ მასის) ჯავშანჟილეტები. მათგან პირველი სამი ჯავშანჟილეტი NIJ-ის სკალით დაცვის IV კლასს უზრუნველყოფს.

„დელტამ" არც მანდილოსანი სამხედროები დაივიწყა და მათთვის შექმნა სპეციალური ჯავშანჟილეტი, რომელშიც გათვალისწინებულია ქალის აღნაგობის თავისებურებანი.

უჩა ძოძუაშვილის თქმით, ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყანა დიდად არის დაინტერესებული ТТ-ს ტყვიაგამძლე ჯავშანჩაფხუტებითა და СВД-ს ჯავშანგამტანი ტყვიაგამძლე ჯავშანჟილეტების დიდი რაოდენობით შეძენაზე და „დელტა" წარმატებით დასრულებული გამოცდის შემდეგ თავის ნაწარმს აუცილებლად წარადგენს საერთაშორისო ტენდერებსა და გამოფენებზე.

„დელტას" დირექტორმა ასევე ძალზე საინტერესო განცხადება გააკეთა, — ყველას, ვისაც სურს, შეიძინოს ქართული ჩაფხუტი და ჯავშანჟილეტი, იქნება ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი თუ რიგითი მოქალაქე, მიმართონ „დელტას", სადაც ინდივიდუალურად (ზომების აღების შემდეგ) დაუმზადებენ ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებას.

P.S. აუცილებლად გვსურს, აღვნიშნოთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი — წარმატებულად გამოცდილი ქართული ჯავშანჩაფხუტებისა და ჯავშანჟილეტების შეძენა თუ თავად ქართულმა არმიამ და პოლიციამ არ დაიწყო და ისევ საზღვარგარეთიდან სურთ მათი ჩამოტანა, ამ საქმიდან არაფერი გამოვა.

ამის მწარე გამოცდილება უკვე არსებობს. კომპოზიციური კერამიკისგან დამზადებული პირველი ქართული ჯავშანჟილეტები (დღევანდელების წინამორბედები) ქართულმა დელეგაციამ პირველად 1999 წელს რუმინეთში შეიარაღების საერთაშორისო გამოფენაზე გაიტანა. მაშინ რამდენიმეკაციანი დელეგაციის შემადგენლობაში ამ სტატიის ავტორიც გახლდათ და თავისი თვალით ნახა, თუ რა დაინტერესება გამოიწვია ქართულმა პროდუქტმა.

2000 წელს იგივე ჯავშანჟილეტები უკვე პრაღაში, NATO-ს ეგიდით მოწყობილ გამოფენაზე ვაჩვენეთ, სადაც ასევე ჩემი თვალით ვნახე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების გენერლები, რა დიდხანს ჩერდებოდნენ ქართული შეიარაღების ექსპოზიციასთან და როგორ დაწვრილებით გვეკითხებოდნენ ჯავშანჟილეტების საიმედოობაზე.

მაგრამ მერე რა შედეგი? არც შევარდნაძისა და არც სააკაშვილის მმართველობისას არავინ დაიწყო ქართველი სპეციალისტების შექმნილი ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებების სერიული წარმოება და ქართველი სამხედროებისა და პოლიციელების აღჭურვა. ყველა რატომღაც საზღვარგარეთ ამჯობინებდა ჯავშანჟილეტების ყიდვას, ხშირად ნაკლები დაცვის მქონისას, ვიდრე ხელშეკრულებაში იყო მითითებული, რადგან, სავარაუდოდ, „ოტკატების" სქემით დიდ ფულს შოულობდნენ...

იქნებ ნავსი ამჯერად მაინც გატყდეს და ქართული ჯავშანჩაფხუტებითა და ჯავშანჟილეტებით აღვჭურვოთ ქართული არმია და პოლიცია, ამით ხომ საქართველოს ეკონომიკაც იხეირებს და ქართველი მებრძოლიც უკეთ იქნება დაცული!

**ირაკლი ალადაშვილი**




*სტატიის ავტორი ქართული ჯავშანჟილეტით საქართველოს საიარაღო ექსპოზიციაზე რუმინეთში, შეიარაღების საერთაშორისო გამოფენის EXPOMIL-1999-ის დროს*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რას გეგმავს გენშტაბის უფროსი

**ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ძირეული რეფორმები დაიწყო, რამაც არმიაში არსებული პრობლემები უნდა აღმოფხვრას. რეფორმებისა და ინიციატივების შესახებ გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე გვესაუბრება:**

— **რამდენად მძიმე მემკვიდრეობა დაგხვდათ?**

— რა თქმა უნდა, ჯობდა, უკეთესი მდგომარეობა ყოფილიყო, მაგრამ რაც მთავარია, პოტენციალი არის და გამოყენება სჭირდება. შეცდომებით განპირობებული ვითარება უფრო მწვავეა, ვიდრე პიროვნული რესურსით. ჩვენ კარგი ოფიცრები გვყავს, უბრალოდ სწორი აღზრდა, მართვა, მიდგომა და გადანაწილება სჭირდება. ყველაზე მთავარი, რასაც ამ დროის განმავლობაში მივაღწიეთ, ის არის, რომ სამხედრო მოსამსახურეს ღირსება დავუბრუნეთ. ჩვენი მუშაობის ყველაზე დიდი მიღწევაა, რომ სამხედროს აზრის გამოთქმის აღარ ეშინია და საკუთარი პოზიციის დაცვა არ უჭირს, არც ინიციატივის გამოთქმის შიში აქვს და არც პასუხისმგებლობის აღების... და მაინც, ჯერ კიდევ უამრავი საქმე გვაქვს, — არასისტემური დაგეგმარებიდან სისტემურ დაგეგმარებაზე გადავედით. მუშაობა, საბედნიეროდ, სწორად მიმდინარეობს და ამ წლიდან უკვე შედეგსაც ვიღებთ.

— **უახლოესი 4 წლის განმავლობაში რა ცვლილებებს გეგმავთ?**

— საქმე ის არის, რომ ხედვები რვა წელიწადზე გვაქვს გათვლილი, ხოლო 4 წელზე — კონცეფცია; ყოველი მომდევნო წლისთვის შემუშავებული გვაქვს გეგმა, რომელსაც თავისი ვადა აქვს. პირველი 4 წლის განმავლობაში სტრატეგიული თავდაცვის მიმოხილვის დოკუმენტთან, ამოცანებსა და მიზნებთან თანხვედრაში მყოფი სამუშაო გეგმები დეტალურად გვაქვს გაწერილი. პირველი ოთხი წელი სამ ეტაპად გვაქვს დაყოფილი, პირველი უკვე გავიარეთ, ეს იყო 2013 წლის მოსამზადებელი ფაზა, 2014-15 გადამწყვეტი უნდა იყოს, ხოლო ბოლო ეტაპს, 2016 წელს ტრანზიტულ ფაზად განვიხილავთ, ანუ ეს იქნება, შემდეგი ოთხი წლის მოსამზადებელი ეტაპი.

გეგმა გამუდმებით იცვლება, თუმცა ვეცდებით ცვლილებებს მომზადებული შევხვდეთ, დროულად შევასრულოთ და შესაბამის რეალობას მოვარგოთ.

პირველი ეტაპი ასეთი იყო: უნდა გადავსულიყავით იმ საორგანიზაციო სტრუქტურულ დალაგებაზე, რომელიც აქამდე ერთმანეთში იყო არეული — საბრძოლო და საერთო უზრუნველყოფა, დანაყოფების დანიშნულება, ამოცანები და შემადგენლობა. ამ ეტაპზე ის შედეგი გვაქვს, რომ დღე-დღეზე ჩამოყალიბდება ორი სარდლობა. ვეცადეთ, სტრუქტურები სტანდარტიზებული ყოფილიყო. გარდა ამისა, რვა წელია ამაზე საუბარი მიმდინარეობს და ახლა, როგორც იქნა, მოვახერხეთ, რომ NATO-ს სტანდარტების შესაბამისად, რანგის მიხედვით ანაზღაურებაზე გადავედით. ეს NATO-ს მოთხოვნა იყო. რაც შეეხება სხვა ცვლილებებს, ჩამოყალიბდა ორი სარდლობა. მათ თავიანთი სარდლები ეყოლებათ, ძალაში შევა ახალი ოპერატიული გეგმა, რომელიც ძალთა გადანაწილების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული. ეს ნაბიჯები NATO-სა და დასავლური სტანდარტებისკენ არის მიმართული.

— **ამ ნაბიჯების ერთ-ერთი წინა პირობა შეიარაღებულ ძალებში არსებული არსენალის გადახალისებაც იქნება?**

— დიახ, შეიარაღების გარკვეული სისტემების ჩანაცვლებას ნამდვილად ვგეგმავთ. რა თქმა უნდა, ეს თანხებთან არის დაკავშირებული, თუმცა თანდათან საბჭოთა საბრძოლო სისტემების თანამედროვეთი შეცვლა გარდაუვალი იქნება, რათა საბჭოთა სივრციდან საბოლოოდ გამოვიდეთ. ეს შეეხება მთელ საქართველოში არსებულ სამხედრო ნაწილებს.

— **კამუფლირების განახლებაც იგეგმება?**

— კამუფლირების ფერები ამერიკის შეიარაღებული ძალების ფერებთან ახლოს არის, სამი და ოთხი სხვადასხვა სახის სამხედრო ფორმის გამოყენების ფუფუნება არა გვაქვს. ქსოვილი საქართველოში შემოდის და აქ იკერება. დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა და პროდუქცია დასაწუნი ნამდვილად არ არის. შესაძლოა ამერიკული ხარისხი ჯობდეს, მაგრამ სხვა ქვეყნებისას ნამდვილად არ ჩამოუვარდება.

მთელი საქართველოს მასშტაბით ყველა სამხე-

დრო ნაწილში მიმდინარეობს რემონტი. ახალქალაქის სასწავლო ცენტრის აღდგენასაც ვგეგმავთ.

**— ოფიცრების განათლებაზე ისაუბრეთ, ხშირად გვესმის, რომ დაბალი სამხედრო განათლება აქვთ, რაც სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული, მათ შორის იმითაც, რომ დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნას 23-წლიანი ისტორია აქვს...**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ოფიცრებს დაბალი დონის განათლება აქვთ. ნებისმიერ თანამდებობას შესაბამისი განათლება და გამოცდილება სჭირდება. როდესაც ოფიცერს სამი საფეხურით მაღლა ნიშნავ და მას არც შესაბამისი ასაკი აქვს და არც გამოცდილება, რა თქმა უნდა, ეს სასურველი არ არის. შეიძლება, ჩვენი კადეტთა სკოლა, რომელიც მომავალი სამხედროების სამჭედლოა, NATO-ს ბევრ ახალი ქვეყნის სამხედრო სასწავლებელს სჯობდეს. აუცილებელი არ არის, ახალგაზრდამ, რომელიც ამ სასწავლებელს დაამთავრებს, სამხედრო კარიერა აირჩიოს, უბრალოდ, ეს არის დაწესებულება, სადაც ადამიანის ცხოვრების წესი ყალიბდება, სადაც მას ორგანიზებულობას, დისციპლინას, ბრძანების გაცემას, მის დამორჩილებას ასწავლიან. ამ სასწავლებლიდან ადამიანი ჩამოყალიბებული გამოდის და თუ სამხედრო აკადემიაში არ ჩააბარებს, სხვა ნებისმიერი სასწავლებელში ჩაბარების საფუძველი აქვს. რაც შეეხება უცხოეთში განათლების მიღებას, ეს პროცესი გრძელდება. საკმაოდ ბევრი სამხედრო უცხოეთში განათლების მისაღებად არის წარგზავნილი... გეთანხმებით, რომ წინა თაობიდან ბევრი დაიფანტა, თუმცა, საბედნიეროდ, ბევრი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დავაბრუნეთ... მთავარია, ოფიცრისთვის მისი ასაკის, განათლებისა და გამოცდილების შესაბამისი ადგილი სწორად შევარჩიოთ. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება, კერძოდ, ჩამოვაყალიბეთ შერჩევის საბჭოები, სადაც სუბიექტური მიდგომა და პირადი მოსაზრებებით გადაწყვეტილების მიღება გამორიცხულია. საბჭო განიხილავს როგორც შესაბამის სასწავლებელში გაგზავნ, ისე თანამდებობებზე დასანიშნ კანდიდატურებს, რაც ხელმძღვანელობასა და ოფიცრებს შორის ნდობის წინა პირობაა.

ვაპირებთ სიახლეების დანერგვასაც. მაგალითად, როტაციული თანამდებობის დანერგვა გვინდა, რათა პირი ერთსა და იმავე თანამდებობაზე 3+1 წელზე მეტი არ იყოს. სერჟანტთა აღზრდა და პროფესიული განვითარება ერთ სისტემაში უნდა მოვაქციოთ. ასეთი რეფორმების შედეგია ის, რომ NATO-ში უკვე აღგვიქვამენ არა როგორც სახელმწიფოს, რომელსაც დახმარება სჭირდება, არამედ ქვეყანას, რომელსაც სხვისი დახმარება შეუძლია.

**— გასულ წლებში უკანონოდ დათხოვნილ სამხედროებზეც გკითხავთ. მათი ნაწილი დაბრუნდა, თუმცა ბევრის ბედი ჯერაც გაურკვეველია.**

— მესმის მათი, მეც ვიყავი მათ მდგომარეობაში, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ცოტა სხვაგვარადაა. მაგალითად, სამხედრო პირი, რომელიც 8 წლის წინ მაიორი იყო, ახლა წლოვანებით ამ წოდებას აღარ შეესაბამება. ამ ხნის განმავლობაში შეიარაღებულ ძალებს მოწყვეტილი იყო და ამ საქმის შეგუება თავიდან მოუწევს. გარდა ამისა, შეიარაღებულ ძალებში აღიზარდა ახალი თაობა, რომლებიც ამჟამად მსახურობენ არმიაში და რა ვუყოთ მათ? ფიზიკურად ხომ უნდა იყოს ადგილი, სადაც წლების წინ დათხოვნილ პირს მივიყვანთ? ის სამხედრო გავათავისუფლოთ, რომელიც მის ადგილზეა დანიშნული? კიდევ ერთხელ ვამბობ, ყველა სამხედროს პატივს ვცემ და მესმის, რომ ბევრი მათგანი უსამართლოდ და დაუმსახურებლად გაუშვეს, მაგრამ სხვებს რა ვუყოთ? ჩვენ ხომ აღვზარდეთ სამხედროები ამ თანამდებობებისთვის.

**— მაშ, რა გამოსავალს ხედავთ? ალბათ, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იმ სამხედროების განათლება და გამოცდილება, რომლებმაც სამხედრო სამსახური სხვა ქვეყანაში გააგრძელეს, საქართველოსთვის ზედმეტი არ იქნებოდა. მაგალითად, ზვიად ჩადუნელი, რომელიც ამჟამად ავღანეთშია...**

— დიახ, მესმის, მაგრამ 2 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დაბრუნდა შეიარაღებულ ძალებში და ყველას ვერ დავაბრუნებთ, მაშინ საქართველოს 50-ათასიანი ჯარი უნდა ჰყავდეს და ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხაც უნდა გამოიყოს. სჭირდება თუ არა საქართველოს ამხელა არმია, ეს კიდევ სხვა თემაა. მაშინ ეს კადრები სამოქალაქო თანამდებობაზე უნდა დავნიშნოთ, სამოქალაქო თანამდებობები კი ყველასთვის საკმარისი არ გვაქვს.



*ქართველი არტილერისტები „გრადს“ ახალი ზალპისთვის ამზადებენ...*

ეროვნული ბიბლიოთეკა



საველე მეცადინეობებზე საბრძოლო მომზადების ამაღლება — გენშტაბის მუდმივი საზრუნავია

ზვიად ჩადუნელს კარგად ვიცნობ. ჩემს ბრიგადაში იყო, მე გავუშვი ამერიკის შტაბკოლეჯში. ვმსჯელობთ მასზე, მისი დაბრუნება გვინდა, მაგრამ ის ამჟამად კოალიციურ ჯარებში ერთ-ერთი კომპანიის სამოქალაქო კონტრაქტორია.

იმ წლებში ქართველი ოფიცრები სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტნენ, ზოგი ერაყშია, დაცვის სამსახურში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ როდესაც საქართველოში დაბრუნდება, შტაბის კარგი ოფიცერი იქნება.

ახლახან რამდენიმე სამხედრო ამერიკის, საფრანგეთისა და გერმანიის სამხედრო კოლეჯიდან ჩამოვიდა და რა ვქნათ, აქ თქვენი ადგილი არ არისო, ვუთხრათ? შერჩევა ინდივიდუალურად უნდა მოხდეს და ასეც ვაპირებთ. ჩემთვის, როგორც სამხედრო პირისთვის, მათი საქმე ძალიან მტკივნეულია, რადგან მათი უმეტესობა ან ჩემი ოფიცერია, ან თანამებრძოლი.

**— ბატონო ვახტანგ, რა ეტაპზეა 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების შემსწავლელი კომისიის მუშაობა?**

— ფინალში გავდივართ. მინისტრის დავალებით გაზაფხულისთვის შავი ვარიანტიც გვექნება, რომელიც უკვე შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს მივაწოდოთ.

**— რომელი უწყების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული კომისია?**

— შერეულია, უფრო მეტად ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებით არის დაკომპლექტებული. შერჩეული არიან ის პირები, რომლებიც მაშინ საომარ მოქმედებებში მონაწილეობდნენ, მაგრამ გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე არ იყვნენ, რათა სუბიექტური მიდგომა გამოირიცხოს. 700 კაცს ჩაუტარდა ინტერვიუ და გავუგზავნეთ კითხვარები. გარდა ამისა, საბრძოლო დოკუმენტების შესწავლაზე ცალკე ვმუშაობდით.

**— რამდენიმე სამხედრომ აღნიშნა, რომ კითხვარები ძალიან სუსტად იყო შედგენილი.**

— კი ბატონო, მაგრამ თუ ასე იყო, კითხვარის ბოლოში ყველა ინტერვიუერს ჰქონდა შენიშვნებისა და მოსაზრებების ჩამატების საშუალება, რათა დანაკლისი (თუკი ჰქონდათ ამის განცდა) შევსებულიყო.

**— კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებზე მცირე ინფორმაცია არსებობს, კომისიის მუშაობა იქ განვითარებულ მოვლენებსაც მოიცავს?..**

— დიახ, საუბარია ყველა წოდების სამხედროზე, რომლებიც დავალებას იღებდნენ და ასრულებდნენ. ყველა მათგანი გამოიკითხა. კომისიის მუშაობა ყველა მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, მათ შორის, საბრძოლო რუკების შედგენას.

**— თუ არსებობს დაახლოებითი მონაცემები საბრძოლო ტექნიკის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო აღჭურვილობის დანაკარგის შესახებ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს განვიცადეთ.**

— არსებობს, მაგრამ ჟურნალ „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ეს ყველაფერი საკმაოდ დეტალურად აღწერა. დანაკარგზე, რა თქმა უნდა, მაქვს ინფორმაცია, მაგრამ არ ვთვლი საჭიროდ ამის შესახებ საუბარს.

**— თქვით, რომ მსუბუქი, საშუალო და მძიმე ბრიგადები უნდა ჩამოყალიბდეს. რატომ დადგა ამის საჭიროება?**

— იმიტომ, რომ ამ დანაყოფების სტანდარტიზება მოგვეხდინა. როდესაც შეიარაღებულ ძალებში დავბრუნდი, ასეთი სურათი დამხვდა: ყველა ბრიგადა სხვადასხვა ტიპისა და რაოდენობის იყო. ბრიგადაში იყო სხვადასხვა შემადგენლობისა და შეიარაღების ბატალიონები, რომელთა შემადგენლობაში იყო სხვადასხვანაირად დაკომპლექტებული ასეულები. ამ დანაყოფების მომარაგება, მომზადება და მათთვის ამოცანის დასმა დიდ სირთულეს წარმოადგენდა. ამიტომაც მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება: ერთი ბრიგადა იყოს მექანიზებული მძიმე ბრიგადა, ერთიც მსუბუქი ქვეითი და სამი ბრიგადა იქნება ქვეითი, ოღონდ მათგან განსხვავებული, სტანდარტული. ყველა მათგანს განსხვავებული ამოცანები ექნებათ. ასეთი რეფორმის შედეგად ოპერატიული გათვლები, საბრძოლო და

საერთო უზრუნველყოფა და ლოჯისტიკა გაადვილდება. მივიღებთ სამხედრო ლოგიკას დაფუძნებულ არსებულ რეალობასა და სავარაუდო მოწინააღმდეგეზე გათვლილ სისტემას.

**— IV ქვეით ბრიგადას IV მექანიზებული ბრიგადა დაერქვა, რა გახდა ამის მიზეზი?**

— შინაარსობრივად მძიმე ბრიგადა მექანიზებული იქნება, სადაც თავს მოიყრის ძირითადი ჯავშანსატანკო ტექნიკა.

**— რა ეტაპზეა სამხედრო პირებისთვის ბინების გადაცემის საქმე?.. ამ ეტაპზე, ალბათ, 2008 წლის ომის მონაწილეებზეა აქცენტი, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილეთა დაკმაყოფილება თუ არის ამ პროგრამაში გათვლილი?..**

— მშენებლობა იმ მასშტაბით მიმდინარეობს, რის შესაძლებლობასაც ბიუჯეტი გვაძლევს. ვიცი, რომ ვეტერანთა მხარდაჭერის პროგრამა ეტაპობრივად გაგრძელდება და 90-იანი წლების ომის მონაწილეებსაც შეეხება. არსებობს კომისია, რომელიც თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. ამ საკითხში მე არ ვერევი, მაგრამ ვიცი, რომ პრიორიტეტები ასეა ჩამოყალიბებული: დაღუპულთა ოჯახები, ინვალიდები და მრავალშვილიანები... ეს იყო კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ბინები დარიგდა. ძირითადი სია წინა ხელისუფლების დროს შედგა. ახლის შექმნა მეტ გაუგებრობას გამოიწვევდა. ჩვენი სურვილია, სოციალური საკითხი გადაწყდეს, რადგან ეს მოტივაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მხარეა. ახლა კონტრაქტის მსურველების კონკურსი გვაქვს. მაშინ, როდესაც 2010 წელს თავდაცვის სამინისტროსთან კონტრაქტის გაფორმების სურვილი 1200-მა კაცმა გამოთქვა, 2013 წლის მხოლოდ შემოდგომაზე კი 4 ათასზე მეტი მსურველი გვყავდა.

**— 2016 წელს სავალდებულო სამსახურის გაუქმება იგეგმება. მოესწრება თუ არა ცვლილებები?**

— მოესწრება. ეს ყველაფერი გეგმის შესაბამისად მოხდება, რომელიც ადამიანურ და ფინანსურ რესურსზეა გათვლილი. ამის აუცილებლობა არსებულმა რეალობამ განაპირობა. ამ დროისთვის შეიარაღებულ ძალებში 30%-ზე ნაკლები წვევამდელი მსახურობს, დანარჩენი კონტრაქტორია.

**— გავრცელებული ინფორმაციით, კონტრაქტორების შემცირება იგეგმება.**

— ტენდენცია ასეთია: სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეს შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტორად დარჩენის სურვილი აქვს, მაგრამ რაოდენობა განსაზღვრულია და ნუ დავარქმევთ ამას შემცირებას. ეს უფრო ოპტიმიზირებაა.

**— სამხედროები ნეპოტიზმის საფრთხეზეც ლაპარაკობენ, შესაძლოა, შეიარაღებულ ძალებში დარჩეს ის ადამიანი, რომელსაც რეკომენდაციის გამწევი ჰყავს და სხვები დაიჩაგრონო. რას იტყვით ამაზე?**

— მსგავსი რეკომენდაციების შესახებ ნამდვილად არ მსმენია, როდესაც კონკურსია, უკმაყოფილო ყოველთვის გამოჩნდება. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, მსგავსი ფაქტები აღმოვფხვრათ და თუ რაიმე პრეტენზია არსებობს, გენერალური შტაბის მისაღებში ყოველდღე არის ღია კარის დღე და შეუძლიათ აქ დატოვონ თავიანთი პრობლემების ჩამონათვალი. ვპირდები, რომ გულდასმით გავეცნობი და პასუხიც იქნება.

**— 11-12 თებერვალს NATO-ს სამხედრო კომიტეტი ჩამოვიდა საქართველოში, გასაგებია, რომ MAP-ზე ოცნება ნაადრევია, მაგრამ იქნებ გვითხრათ, რას ველოდებით ამ ვიზიტისგან? რა სჭირდება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს NATO-ს სტანდარტებთან მიახლოებისთვის?**

— კითხვის პირველი ნაწილი უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ჩემი საქმე სამხედრო საქმის პროფესიონალურად გაკეთებაა. ჩვენი ამოცანაა მაქსიმალურად კარგად შევასრულოთ ამოცანები, რომლებსაც NATO გვიყენებს. ამ ეტაპზე თუ ვინმე NATO-ს სტანდარტებთან ახლოს არის, ეს საქართველოს შეიარაღებული ძალები თავისი მოწყობით, სტანდარტებითა და შესაძლებლობით. ამის შედეგი ის არის, რომ NATO-ს დავალებით ჩვენ გამოცდილებას რამდენიმე ქვეყანას ვუზიარებთ. ამ ქვეყნების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. წელს ჩვენთან პირველად გაიმართება სერჟანტთა კონფერენცია, სადაც 51 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას და სერჟანტთა სკოლის განვითარებაში საქართველოს გამოცდილებას განიხილავენ. 2015 წელს ველოდებით NATO-ს რეზერვის კომიტეტს, რომელიც ჩაატარებს კონფერენციას რეზერვის შემუშავებაში საქართველოს გამოცდილების შესახებ. ჩვენი ბიჭები, რომლებიც ავღანეთში არიან, თავიანთ საქმეს უმაღლეს დონეზე აკეთებენ. თუმცა, გასაკეთებელი მართლა ბევრია, რადგან, როგორც კი ვიტყვით, რომ ყველაფერი კარგად არის, ჩვენი ზრდა და განვითარება დასრულდება.

**— რამდენი ქართველი სამხედრო მსახურობს ამჟამად ავღანეთში?**

— 1600. ერთი ნაწილი ჰილმენდის პროვინციაში, ლეზერნიკის ბაზაშია განთავსებული. ასევე არის ოცეული, რომელიც ქაბულში მსახურობს და იქაური ბაზის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს... ამჟამად, ავღანეთში გასამგზავრებლად კიდევ ორი ბატალიონი ემზადება, რომლებმაც ისინი უნდა ჩაანაცვლონ. ასევე შეიცვლება ქაბულში არსებული ოცეული.

**— რა სახის ოპერაციებში მონაწილეობენ ქართველი სამხედროები?**

— მათი ამოცანა უსაფრთხოების დაცვაა.

**— წინა ხელისუფლების პირობებში ითქვა, რომ მათი უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით პრობლემები არსებობდა. ასევე, დასავლურ პრესაში გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ ტრაგედიის მიზეზი ხშირად მათი მოუმზადებლობა იყო.**

— კატეგორიულად ვერ დაგეთანხმებით ამაში, რადგან უსაფრთხოებას ისინი იცავენ, მაგრამ ავღანეთში ომია, მოწინააღმდეგე ახალ ხერხებს მიმართავს.

ჩვენი სამხედროები ამერიკელი საზღვაო ქვეითების დაქვემდებარებაში არიან. აქტიურ ქმედებებში ქართველი სამხედროებიც მონაწილეობენ და რისკის ფაქტორი გაზრდილი იყო. მიუხედავად ამისა, სხვა ქვეყნების ადამიანური დანაკარგი გაცილებით მეტია. თუმცა, არც ერთი შემთხვევა, მოუმზადებლობით განპირობებული არ ყოფილა.

**— გავრცელდა ინფორმაცია ქართველი სამხე-**

**დროების მალიში გაგზავნის შესახებ. რას აძლევს საქართველოს სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა?**

— ავლანეთში ჩვენი სამხედროები ძალზე დიდ ცოდნას იღებენ. იქ ყალიბდებიან პროფესიონალ სამხედროებად, იძენენ გამოცდილებას. კონკრეტულად მალიზე ჯერჯერობით ლაპარაკი არ არის, მაგრამ ასეთი ტიპის მისიები თუკი პოზიტივს მოგვიტანს, რატომაც არა. მე მომხრე ვარ, გონივრულობისა და შესაძლებლობის ფარგლებში მსგავსი ტიპის მისიებში მონაწილეობისა. სახიფათო კი ყველგან არის, სწავლებაც შეიძლება რისკის შემცველი იყოს.

— **ცნობილია, რომ ავიაციის დეპარტამენტის შექმნა იგეგმება. რა ეტაპზეა ეს საქმე? სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო ფლოტის აღდგენის პერსპექტივა...**

— ადრე იყო სახმელეთო ძალები, სადაც ავიაცია სახმელეთო მეთაურობას ექვემდებარებოდა, რამაც დადებითი შედეგი ვერ მოგვცა. როდესაც რესურსი ცოტა გაქვს, უნდა ეცადო, ყველაფერი ერთ ხელში იყოს თავმოყრილი. ამიტომაც გადავწყვიტეთ, აღდგეს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა, რომელიც თავს მოუყრის ამ ძალებს და დაგვეხმარება მომზადებაში, რემონტში. შეიქმნა ახალი საზღვაო თავდაცვის დეპარტამენტი და მისი ამოცანაა დაგეგმარებაში, ოპერატიული გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა, კავშირი სანაპირო დაცვასთან, რადგან კრიზისულ მომენტში ზღვასა და ზღვის მიმართულებით მმართველი რგოლის როლი უნდა შეასრულოს.

— **რეზერვზეც გკითხავთ. ვიცი, რომ ახალი კონცეფცია მზადდება. რამდენად იქნება გათვალისწინებული წლების წინ დაშვებული შეცდომები?**

— დიახ, ახალი კონცეფცია 2014 წლის ბოლოსთვის მზად იქნება. ის არსებულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, ასევე, ჩვენს ქვეყანაში და მის გარშემო არსებულ სამხედრო და პოლიტიკურ ვითარებას ეფუძნება, ამასთან, იმ სამხედრო ლოგიკას, რომლის შესაბამისადაც უნდა იყოს რეზერვი ჩამოყალიბებული. აუცილებლად იქნება წარსულის ხარვეზები გათვალისწინებული. რეზერვს ჩვენ არმიასა და საზოგადოებას შორის დამაკავშირებელ რგოლად განვიხილავთ. ამიტომაც ჩვენთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს რეზერვის სწორად განვითარებას და ჯერჯერობით არ ვჩქარობთ. ჩვენ მიერ დამუშავებული პირველადი პროექტი რამდენიმე პარტნიორ ქვეყანას გადავუგზავნეთ, შენიშვნებიც მივიღეთ და შესწორებებიც. ასევე გადავუგზავნით ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამხედრო ექსპერტებს და მათ აზრსაც გავითვალისწინებთ. გარდა ამისა, შარშან ჩვენ მიგვიღეს NATO-ს რეზერვის კომიტეტში დამკვირვებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სარეზერვო სისტემის შექმნაში NATO-ც ჩაერთვება. ასე რომ, წლის ბოლოსთვის რეზერვის კონცეფცია მზად უნდა იყოს. ეს არ ნიშნავს, რომ ამჟამად არ ვმუშაობთ არსებული რეზერვის გადათვლაზე, გადამოწმებაზე, გამოძახების სისტემის შემუშავებაზე და ა. შ... რეზერვი სამობილიზაციო სისტემაში მხოლოდ კომპონენტია. ამ სისტემაში ეროვნულ გვარდიას, ოპერატიულ და საერთო რეზერვს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. ის მოიცავს უშუალოდ დანაყოფების შევსების, ასევე, დანაყოფის წარმოქმნის რეზერვს და გვინდა, სამოქალაქო თავდაცვის მხარდამჭერი რეზერვის კომპონენტიც შევიტანოთ.

— **ვეტერანთა დეპარტამენტი ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა. რამდენად არსებობს საფუძველი იმისა, რომ ეს ვეტერანებს პრობლემებს შეუმსუბუქებს?**

— როდესაც ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, ვეტერანთა დეპარტამენტი გაერთიანებული შტაბის შემადგენლობაში იყო, ჩვენ რით უნდა დავხმარებოდით მათ?.. ფინანსები შტაბს არ ჰქონდა, ოპერატიულ გეგმებში არ განიხილებიან, მათ ვერაფერში ვეხმარებოდით. არადა, ქვეყანას ჰყავს შსს-ს, ჩერნობილის, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები. საუკუნეების განმავლობაში სულ ომებში ვართ, ამიტომ ლოგიკურია არსებობდეს ცალკე ორგანო, რომელიც ვეტერანებზე იზრუნებს, სოციალურ პრობლემებს მოუგვარებს.

— **საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილედ მუშაობდით. რამდენად კოორდინირებულად მუშაობდა იმ წლებში თქვენი უწყება, თავდაცვისა და შს სამინისტროები?**

— 2008 წლის ომის დროს არ ვმუშაობდი ამ თანამდებობაზე. ისე კი სამივე უწყება ძალიან არაკოორდინირებულად მუშაობდა. ინფორმაციის დროული გაცვლა არ ხდებოდა. ამ მიმართულებითაც ყველა უწყება შეთანხმებულად ვმუშაობთ და იმედია, ურთიერთქმედება დალაგდება და მოწესრიგდება.

**ესაუბრა ლალი პაპასკირი**



*მიმდინარეობს სამხედრო ამოცანის დაგეგმვაზე მუშაობა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კრემლი უკრაინის დაშლას შეეცდება

**უკრაინის ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა ისეთივე სასურველი დასაპყრობია რუსეთისთვის, როგორიც საქართველოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი იყო...**

უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი კიევიდან გაიქცა და თავი ქვეყნის აღმოსავლეთით, ხარკოვს შეაფარა. სანამ ოპოზიცია ხელსუფლებაში ადგილებს გადაინაწილებს (მათ ციხიდან გათავისუფლებული ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკოც მიუერთდა) იანუკოვიჩის მომხრეები, სავარაუდოდ, შეეცდებიან უკრაინას ზოგიერთ რეგიონში დაუმორჩილებლობა გამოუცხადონ მაიდანის რევოლუციაში ჯერჯერობით გამარჯვებულ ოპოზიციის ლიდერებს, ხოლო თუკი ვითარება ძალზე დაიძაბა, არ არის გამორიცხული, უკრაინაში სამოქალაქო ომი დაიწყოს და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობაც კი დაირღვეს.

უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში — ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში, დონეცკში, ასევე, სამხრეთით, ოდესაში პრორუსული ხელისუფლებაა, რომელსაც მრავალრიცხოვანი რუსულენოვანი მოსახლეობის სახით ძლიერი მხარდამჭერი ჰყავს.

თუმცა მთავარი პრობლემა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას ათწლეულების წინ ჩადებული „ნაღმის" — ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის სახით შეიძლება გაუჩნდეს.

ბოლშევიკებმა ასეთი „ნაღმები" გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახით საქართველოსაც ჩაუდეს. ჩვენდა სამწუხაროდ, ორი „ნაღმი" — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი ძალიან მწარედ „აგვიფეთქდა".

დაახლოებით ანალოგიური ვითარებაა ყირიმშიც. 1921-1941 წლებში არსებობდა ყირიმის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. 1941-1944 წლებში ყირიმი გერმანიას ჰქონდა ოკუპირებული, ხოლო 1946 წლიდან ყირიმის ოლქის სტატუსით რუსეთის ფედერაციაში შევიდა.

1954 წლის 26 აპრილს მაშინდელი საბჭოთა კავშირის ლიდერის, ნიკიტა ხრუშჩოვის, ინიციატივით ყირიმის ოლქი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განკარგულებაში გადავიდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, 1994 წელს, დამოუკიდებელი უკრაინის უმაღლესმა საბჭომ ყირიმს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭა.

ყირიმში ამჟამად 2 მლნ-მდე კაცი ცხოვრობს, რომელთაგან დაახლოებით 59% რუსია და მხოლოდ 25% უკრაინელი და 12% ყირიმელი თათარი.

სწორედ ეს გარემოება შეიძლება იქცეს მთავარ გამამართლებელ არგუმენტად იმისთვის, რომ მოსკოვმა რუსი ეროვნების მოსახლეობის დაცვის მომიზეზებით მოისურვოს ყირიმის ნახევარკუნძულის თავის შემადგენლობაში დაბრუნება, თუკი ოპოზიციამ დროზე ვერ აიღო კიევში ძალაუფლება და მკაცრად არ გააკონტროლა ქვეყნის საზღვრები.

ყირიმის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, ქ. სევასტოპოლში, არენდით დისლოცირებულია რუსეთის შავი ზღვის ფლოტი, რომელიც შესაძლოა კრემლის ჩანაფიქრის განსახორციელებელი საუკეთესო ბერკეტი შეიქნეს, ისევე როგორც რუსი ცისფერჩაფხუტიანების ცხინვალსა და აფხაზეთში ყოფნა გამოიყენა მოსკოვმა საქართველოსთან 2008 წლის ომის დროს.

უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას ასევე დიდი საფრთხე შეექმნება, თუკი ახალ ცენტრალურ ხელისუფლებას ერთდროულად დაუმორჩილებლობას გამოუცხადებენ უკრაინის აღმოსავლეთის პრორუსული რაიონები (ხარკოვი, დონეცკი, ლუგანსკი), რომლებიც უკრაინა-რუსეთის საზღვართან მდებარეობენ, ასევე ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკა (სადაც სევასტოპოლში რუსი მეზღვაურები ისედაც არიან) და სამხრეთით, ოდესის რაიონი.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამ დაუმორჩილებელმა პრორუსულმა რაიონებმა უკრაინის ახალ ხელისუფლებას შავ და აზოვის ზღვებზე გასასვლელებიც კი ჩაუკეტონ.

ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, რომ რუსეთის პრეზიდენტ პუტინს შეიძლება რალაცნაირად ხელს აძლევდა კიდეც შეიარაღებული ოპოზიციის გამარჯვება კიევის მაიდანზე, რათა უკრაინაში იფეთქოს სამოქალაქო ომმა, რომლის დროსაც უფრო ადვილი იქნება უკრაინის აღმოსავლეთი რაიონებისა და, რა თქმა უნდა, ყირიმის ნახევარკუნძულის დროთა განმავლობაში რუსეთის ფედერაციის სრულ გავლენაში მოქცევა, ანუ ის, რაც მოხდა საქართველო-რუსეთის საზღვარზე მდებარე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში.

**ირაკლი ალადაშვილი**

29730



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა




1

# DEFEXPO 2014

მიმდინარე წლის 6 თებერვალს ინდოეთის ქალაქ ნიუ-დელიში სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო შეიარაღების რიგით მერვე საერთაშორისო გამოფენა DEFEXPO 2014 გაიხსნა. 1998 წლიდან გამოფენა ტრადიციად დამკვიდრდა და მას შემდეგ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

თავდაცვას ინდოეთი დიდ ყურადღებას აქცევს და ამ სფეროში დიდ თანხებსაც აბანდებს. წლევანდელი სამხედრო ხარჯები 37 მლრდ 450 მლნ დოლარითაა განსაზღვრული.

საკუთარი წარმოების განვითარებასთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნიდან ინდოეთი ყიდულობს საგემბანო გამანადგურებლებს, დამრტყმელ შვეულმფრენებს, მართვად ტანკსაწინაალმდეგო რაკეტებს და ელექტრონულ სისტემებს, მრავალფუნქციურ გამანადგურებლებს და სხვ.

DEFEXPO 2014-ის პავილიონებში თავდაცვითი შეიარაღების ფართო სპექტრი იყო წარმოდგენილი. მათ შორის საპოლიციო და საჯარისო დანიშნულების ჯავშანმანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები, თვითმავალი და ბუქსირებადი საარტილერიო საშუალებები, ჭურვები, მართვადი და უმართავი საავიაციო რაკეტული შეიარაღება, უპილოტო საფრენი აპარატები, სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ხომალდების მაკეტები, ელექტრონული აღჭურვილობა და კავშირის საშუალებები, ცეცხლსასროლი იარაღი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

ალექსანდრე აფაქიძე



2

*1 — ახალი ინდური ტანკი Arjun Mk II. მისი პირველი საჯარო დემონსტრაცია 26 დეკემბერს რესპუბლიკის დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე შედგა. რუსული T-90-ების შესყიდვისა და ლიცენზირებული წარმოების პარალელურად, სამამულო ტანკებზე ინდოეთი უკვე დიდი ხანია მუშაობს. პირველი Arjun Mk I სერიულ წარმოებაში 2006 წელს ჩაუშვეს, თუმცა ტექნიკური ხარვეზების გამო მხოლოდ 124 ერთეული დამზადდა.*

*ახალი მოდიფიკაცია საბაზო ვარიანტისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. სარეკლამო ბანერზე მოცემული*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაციით ეკიპაჟი 4 კაცისგან (ტანკს დატენის ავტომატი არა აქვს) შედგება, აქვს 1380-ცხ.ძ.-იანი ძრავა, იწონის 68 ტ-ს და დინამიკური დაცვის სახით სავარაუდოდ რუსული Контакт-5-ის ლიცენზირებული ან მისი გაუმჯობესებული ინდური ვარიანტი აქვს დაყენებული. „არჯუნის“ შექმნაში ინდოეთს უცხოელი პარტნიორებიც ეხმარებოდნენ. კერძოდ, ოპტიკურ და ინფრაწითელ დიაპაზონებში მომუშავე პანორამული სამიზნე, ცეცხლის მართვისა და სამიზნე სისტემები ებრაული Elbit Systems-ის დამზადებულია.

Arjun Mk II 120 მმ-იანი კუთხვილიანი ქვემეხითაა შეიარაღებული. სტანდარტულ ჭურვებთან ერთად, საბრძოლო კომპლექტში ებრაული წარმოების Lahat-ის ტიპის მართვადი რაკეტები შედის. ლულიდან გასროლილი 13 კგ-იანი რაკეტა სამიზნეს 8 კმ-ში ანადგურებს.

2 — ინდოეთი საკუთარი რესურსებით ძველი ქვემეხების გაუმჯობესებასაც, კერძოდ, მისაბმელი სისტემების თვითმავალ ვარიანტებად გადაკეთებას ცდილობს.

DEFEXPO 2014-ზე რამდენიმე ასეთი ნიმუში იყო ნაჩვენები. მათ შორის იყო 130 მმ-იანი Catapult Mk.2, რომელიც ტანკ Arjun-ის სავალ ნაწილზე დამონტაჟებულ საბჭოურ M-46-ის ტიპის ქვემეხს წარმოადგენს და 155 მმ-იან თვითმავალ საარტილერიო დანადგარზე გამოცხადებული ტენდერის დასრულებამდე არმია დროებით ვარიანტად განიხილავს.

3 — საბჭოური БМП-2-ის მოდერნიზაციის ორიგინალური ვარიანტი. კორპუსის გადაკეთებასთან ერთად, ახალ ქვეითთა საბრძოლო მანქანას ინდოელებმა ებრაული Rafael-ის დისტანციური საბრძოლო მოდული Samson Mk.II დაუყენეს. მის შეიარაღებაშია 30 მმ-იანი ქვემეხი და Spike LR-ის ტიპის ორი მართვადი რაკეტა.

4 — ინდური სატვირთო მანქანა TATA-ს შასიზე განთავსებული რუსული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Top-M2KM. მოდულური სქემით შექმნილ კომპლექსს 48 საჰაერო სამიზნის გაცილება და ამათგან ოთხისკენ რაკეტების ერთდროული გაშვება შეუძლია.

სამამულო წარმოების კომპლექსი ახლო მოქმედების ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობს და საკუთარ კლასში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

5 — ინდოეთს საკუთარ პროდუქციას შვედეთიც სთავაზობს. ფოტოზე: ინდური წარმოების Ashok Leyland-ის შასიზე განთავსებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი RBS-23 BAMSE SR-SAM. კომპლექსს სამიზნის განადგურება 15 კმ-ის მანძილზე და 12 კმ-ის სიმაღლეზე შეუძლია. გამშვებ მანქანაზე 6 რაკეტაა განთავსებული.

აღსანიშნავია, რომ უცხოური სამხედრო ტექნიკის შეძენისას, ინდოეთი ყოველთვის ცდილობს მასში სამამულო წარმოების ელემენტების გამოყენებას.

6 — მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს ინდოეთი არც ჯავშანტექნიკის სფეროში ჩამორჩება — კომპანია TATA Motors-ის მიერ შექმნილი ჯავშანტრანსპორტიორი Kestrel-ი (8X8). მისი წონა 22,5-26 ტ-ის ფარგლებში ვარირებს და ეკიპაჟი 2 კაცისგან შედგება. შეიარაღება ნორვეგიული კომპანია Konsberg-ის დისტანციური მოდულისგან (40 მმ-იანი ქვემეხი და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი) და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევით აღჭურვილი მეორე დისტანციური მოდულისგან შედგება. ორივე მოდულზე დამატებით კიდევ თითო-თითო „ჯაველინის“ ტიპის მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის გამშვებია დამონტაჟებული.














# ბაქო მსოფლიოში უსწრაფეს გამანადგურებლებს აამოქმედებს

## აზერბაიჯანი იწყებს საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი МиГ-25-ების მოდერნიზაციასა და შეიარაღებაში შეტანას

თვე არ გავა, რომ მასმედიით არ გავრცელდეს მორიგი სიახლე აზერბაიჯანის არმიის მიერ ახალი შეიარაღების შესყიდვის შესახებ.

ახალი ინფორმაცია, რომელიც თებერვლის დასაწყისში გავრცელდა, მართალია, არ ეხება საზღვარგარეთ შეიარაღების მორიგი პარტიის შესყიდვას, თუმცა ბევრად მნიშვნელოვანია, რადგან ოფიციალურმა ბაქომ გადაწყვიტა, მოდერნიზება ჩაუტაროს და შეიარაღებაში ალადგინოს მსოფლიოში ერთ-ერთი უსწრაფესი გამანადგურებელი თვითმფრინავები — **МИГ-25**-ები.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი **МиГ-25**-ები საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ავიაციის შეიარაღებაში ჯერ კიდევ 44 წლის წინ — 1970 წელს გამოჩნდნენ, ისინი დღემდე რჩებიან მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ და ნამდვილად ზებგერით გამანადგურებელ თვითმფრინავად, რადგან ზებგერით სიჩქარეზე (1200 კმ/სთ-ზე მეტი) ხანგრძლივად შეუძლიათ ფრენა, მაშინ როდესაც ბევრი ზებგერითად წოდებული გამანადგურებელი ამ სიჩქარის ზღვარს მხოლოდ ხუთიოდე წუთით თუ გადალახავდა.





საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანში, ბაქოსთან ახლოს, ნასოსნის სამხედრო აეროდრომზე განთავსებული იყო 82-ე გამანადგურებელთა საავიაციო პოლკი, რომლის შეიარაღებაში 1977 წელს [illegible] გამანადგურებელ-გზაგადამჭრელი **МиГ-25П**-ები, რომლებიც 1987 წელს მოდერნიზებულ იქნა **МиГ-25ПДС**-ის დონემდე.

1992 წლის დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის დროს, ნასოსნის აეროდრომზე განთავსებული იყო სხვადასხვა მოდიფიკაციის 38 ცალი **МиГ-25**, რომელთა რუსეთში გაყვანა მოსკოვმა ვერ შეძლო, რადგან აზერბაიჯანელებმა აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი ჩაკეტეს.

ბაქო დატოვებულ **МиГ-25**-ებს მეტ-ნაკლები ინტენსივობით იყენებდა ყარაბაღის ომის დროს სომხების პოზიციების დასაბომბად. თუმცა სტრატოსფეროში საჰაერო სამიზნეების გზის გადასაჭრელად შექმნილი ზებგერითი გამანადგურებელი ნაკლებად გამოდგებოდა სახმელეთო სამიზნეების ზუსტად დასაზიანებლად, ამას ბევრად უკეთ ასრულებდნენ **Су-25** ტიპის მოიერიშეები.

ყარაბაღის ომის დროს, 1992 წლის 20 აგვისტოს, სომეხმა მეზენიტეებმა ჩამოაგდეს ერთი აზერბაიჯანული **МиГ-25**, როდესაც ის სტეფანაკერტს ბომბავდა, რუსმა პილოტმა მოასწრო კატაპულტირება და ის ტყვედ აიყვანეს.

1993 წლის 14 იანვარს ასევე რუსმა პილოტმა, რომელიც აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალებს



აზერბაიჯანული МиГ-25-ები ნასოსნის აეროდრომზე

ჰყავდათ დაქირავებული, МиГ-25 ნასოსნის აეროდრომიდან გაიტაცა და სომხეთში ერებუნის აეროდრომზე დასვა. სხვათა შორის, იმავე 1993 წლის ნოემბერში Су-25 ტიპის ახალთახალი მოიერიშე თვითმფრინავი ქუთაისის, კოპიტნარის აეროდრომიდან საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ასევე დაქირავებულმა კაპიტანმა ჟიტნიკოვმა გაიტაცა და ისიც სომხეთში, გიუმრის აეროდრომზე დასვა. ერთნაირი ხელწერა იმაზე მიუთითებს, რომ სომხეთისა და რუსეთის დაზვერვებმა წარმატებით ჩაატარეს სპეცოპერაციები.

დღეს, როდესაც თვით რუსეთმაც კი მოხსნა МиГ-25-ები შეიარაღებიდან, ცოტა საეჭვოა, აზერბაიჯანმა შეძლოს ამ ტექნიკურად რთული და ძვირად ღირებული საბრძოლო თვითმფრინავების მოდერნიზება, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოსურათებზე კარგად ჩანს აზერბაიჯანში, ნასოსნის აეროდრომზე მდგარი 27 ცალი МиГ-25 (სხვათა შორის, 1997 წელს ამ სტატიის ავტორს ნასოსნის აეროდრომზე ყოფნისას შესაძლებლობა მიეცა, ენახა ეს თვითმფრინავები), რომელთა აღდგენა და მწყობრში ჩაყენება პრაქტიკულად მართლაც შეიძლება, რადგან იქვე განთავსებულია საავიაციო-სარემონტო ქარხანა, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან არემონტებდა МиГ-25-ებს. გასული საუკუნის 80-იან წლებში სწორედ ამ ქარხანაში გადააკეთეს ნასოსნის პოლკის МиГ-25-ები МиГ-25ПДС-ის მოდიფიკაციად, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლამდე ამ ქარხანამ მიიღო თანამედროვე მოწყობილობა და აპარატურა იმ დროისთვის ულტრათანამედროვე МиГ-31-ების სარემონტო სამუშაოებისთვის (როგორც ჩანს, რომ არა საბჭოთა კავშირის დაშლა, მოსკოვი ნასოსნის პოლკში МиГ-25-ების ჩანაცვლებას МиГ-31-ებით აპირებდა).

ბოლო პერიოდში სწორედ ამ ქარხანამ ჩაუტარა ალჟირის სამხედრო-საჰაერო ძალების რამდენიმე МиГ-25-ს მოდერნიზაცია.



სანამ 1993 წელს რუსი პილოტი აზერბაიჯანელებს МиГ-25-ს მოჰპარავდა და სომხეთში გადააფრენდა, 1976 წლის 6 სექტემბერს შორეული აღმოსავლეთიდან იაპონიაში იმ დროისთვის საიდუმლო МиГ-25 გაიტაცა მფრინავმა ბელენკომ, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირს უზარმაზარი ზარალი — 2 მლრდ მანეთის ოდენობით მიადგა, რადგან მთელ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში შეიცვალა სახელმწიფოებრივი ამოცნობის სისტემის „ჩემი-სხვისი“ აპარატურა. გატაცებული გამანადგურებელი იაპონელებმა მოსკოვს მალე დაუბრუნეს, ოღონდ მას შემდეგ, რაც ის ამერიკელებმა დეტალურად შეისწავლეს

გაეროს მონაცემების თანახმად, აზერბაიჯანმა ჯერ კიდევ 1998 წელს ყაზახეთისგან დამატებით 8 ცალი МиГ-25 შეიძინა.

სრულყოფილი მოდერნიზაციის შემდგომ (იგულისხმება თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურის დაყენება, რაშიც აზერბაიჯანელებს ისრაელის ფირმები, უპირველესად კი „ელბიტი“, უარს ნამდვილად არ ეტყვიან) აზერბაიჯანმა შეიძლება შეიარაღებაში მიიღოს МиГ-25-ის მრავალფუნქციური ვარიანტი, რომელსაც ერთნაირად წარმატებით შეეძლება როგორც მოწინააღმდეგის მფრინავი ობიექტების ჩამოგდება, ისე სახმელეთო სამიზნეების დაზიანება.

აზერბაიჯანელ პილოტს შეეძლება მოდერნიზებული МиГ-25-ით მაქსიმალური 3000-3200 კმ/სთ სიჩქარეც კი განავითაროს და მთიან ყარაბაღსა და სომხეთს ისე გადაუფრინოს ორიოდე წუთში, რომ ნაქებმა რუსულმა საზენიტო С-300-ებმა ვერც კი მოასწრონ რეაგირება. სტრატოსფეროდან ზებგერითი სიჩქარით ფრენისას ზუსტი დაბომბვა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში „ასწავლეს“ МиГ-25БМ-ის მოდიფიკაციებს.

**ირაკლი ალადაშვილი**





აზერბაიჯანის განკარგულებაში არსებული МиГ-25ПДС მოდიფიკაციის გამანადგურებელ-გზაგადამჭრელები განკუთვნილია Р-40Т (სითბური თვითდამიზნების) და Р-40Р (ნახევრად აქტიური რადიოლოკაციური თვითდამიზნების) „ჰაერი-ჰაერი“ კლასის მართვადი რაკეტების გასაშვებად, რომელთაც 30-36 კმ-ის სიშორიდან შეუძლიათ ზებგერითი სიჩქარით მფრენი საჰაერო სამიზნის დაზიანება





- *მაქსიმალური სიჩქარე, რაც МиГ-25-ს განუვითარებია, შეადგენს 2319 კს/სთ-ს. მას აეროდრომიდან 12 კმ სიმაღლემდე ასაფრენად სულ რაღაც 2,1 წთ სჭირდება, ხოლო მისმა დინამიკურმა „ჭერმა“ (ანუ სიმაღლეზე მცირე ხნით აფრენის და არა ჰორიზონტალურად ფრენის) 37 კმ-ს გადააჭარბა. მას ოთხი რაკეტით და 2500 კმ/სთ სიჩქარით 1250 კმ-ზე ფრენა შეუძლია.*
- *1984 წელს საბჭოთა МиГ-25 ერთ-ერთი ყველაზე ძვირი (18 მლნ აშშ დოლარი) საბჭოთა გამანადგურებელი იყო, რადგან მისი კონსტრუქციის ძირითადი ნაწილი ტიტანისგან იყო დამზადებული.*
- *МиГ-25 მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე „ღორმუცელა“ გამანადგურებელია — მისი ორი რეაქტიული ძრავა თვითმფრინავის 21 კმ სიმაღლეზე 2500 კმ/სთ სიჩქარით ფრენისას საათში 16259 ლ (!) საავიაციო ნავთს მოიხმარს (მაგალითად, მოიერიშე Су-25-ის ორი ძრავა საათში დაახლოებით 5-ჯერ ნაკლებ საწვავს ხარჯავს). თუმცა აზერბაიჯანს ნავთი ნამდვილად ყოველთვის სამყოფი ექნება.*
- *საბჭოთა აეროდრომების მომსახურე ტექნიკურ პერსონალს МиГ-25 ძალიან უყვარდა, რადგან გაფრენის წინ მისი კაბინის კონდიცირების სისტემაში ისხმებოდა 40 ლიტრამდე სუფთა სპირტი, რომლიდანაც თავისი წილი დალევის ყველა მსურველს ხვდებოდა.*
- *მსოფლიოში ყველაზე სწრაფი გამანადგურებლის, МиГ-25-ის შექმნაში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა თანამემამულე ავიაკონსტრუქტორმა ლევ შენგელაიამ, რომელიც მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე იყო და 1971-73 წწ-ებში ხელმძღვანელობდა საიდუმლო მისიას — ეგვიპტიდან ისრაელის საჰაერო სივრცეში МиГ-25-ების სადაზვერვო ფრენებს.*

*МиГ-25 სამუხრუჭე პარაშუტებს უშვებს*



# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...



აზერბაიჯანი თურქული უპილოტო Anka-ს შეიარაღებული ვერსიის შეძენას აპირებს

### აზერბაიჯანი

● ამჟამად აზერბაიჯანის ჰეიდარ ალიევის სახელობის და სამხედრო-საზღვაო უმაღლეს სასწავლებლებში 37 ყაზახი, ყირგიზი და ტაჯიკი კურსანტი სწავლობს.

● 27 იანვარს სომეხი სნაიპერის ტყვიით მოკლული აზერბაიჯანელი ლეიტენანტი საბუხი რუსტამ ოღლუ აზიმოვი თავდაცვის მინისტრმა სიკვდილის შემდეგ III ხარისხის მედლით „სამხედრო სამსახურში წარჩინებისთვის" დააჯილდოვა.

● 28 იანვარს სომხეთის მოქალაქემ სომხეთ-აზერბაიჯანის შეხების ხაზი გადაკვეთა და თავუზის რაიონის სოფელ ალიბეილში შევიდა, სადაც ის ადგილობრივმა მოსახლეობამ დააკავა. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, დაკავებული პირი სომხური სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფის გამცილებელი იყო და თან იარალი ჰქონდა.

● იანვრის ბოლოს სირიაში კიდევ ერთი აზერბაიჯანელი მოჯაჰედი მოკლეს. წარმოშობით ის შექის რაიონიდან იყო.

● 5 თებერვალს ბაქოში შედგა თურქული კომპანია FNSS-ის პროდუქციის პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო ჯავშანტრანსპორტიორები Pars-ი ბორბლების ფორმულით 6X6 და 8X8, მუხლუხა ქვეითთა საბრძოლო მანქანა ACW-SW, ტექნიკური მომსახურებისა და სარემონტო-საევაკუაციო მანქანები, საინჟინრო ტექნიკა და ა.შ.

● აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები დაინტერესდნენ თურქული Anka-ს ტიპის უპილოტო საფრენი აპარატის შეიარაღებული ვერსიით. ამის შესახებ უპილოტოების მწარმოებელ კომპანია TAI-ში განაცხადეს.

● იანვარში აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში გაწვეულ ბევრ ახალგაზრდას სხვადასხვა ავადმყოფობის ნიშნები აღმოაჩნდა და განმეორებითი სამედიცინო შემოწმების შემდეგ 157 მათგანს ისეთი ავადმყოფობა დაუდგინდა, რომ ისინი უკან დააბრუნეს.

● NATO-ს მე-2 დონის ოპერატიულ შესაძლებლობათა კონცეფციის აზერბაიჯანული ბატალიონის საჩვენებელი სწავლება 5-8 მაისს ბაქოში NATO-ს წევრი ქვეყნების ექსპერტთა მონაწილეობით ჩატარდება. ბატალიონის დანიშნულება NATO-ს ძალებთან ერთობლივ ოპერაციებში მონაწილეობა იქნება. 2015 წლისთვის აზერბაიჯანი ბატალიონის ბრიგადის დონემდე ამაღლებას გეგმავს და პერსპექტივაშია კიდევ ერთი მსგავსი ბატალიონის ჩამოყალიბება.

● 12 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ ინტერპოლით ძებნილი აზერბაიჯანის ფიზულის რაიონში მცხოვრები 39 წლის მოქალაქე ავღანეთში კოალიციის ჯარებმა ერთ-ერთი ბრძოლის დროს მოკლეს.

● თავდაცვის სამინისტროს სისტემაში კიდევ ერთი ცვლილება მოხდა: თურქეთში აზერბაიჯანის სამხედრო ატაშეს თანაშემწე პოლკოვნიკ-ლეიტენანტი ვიუგარ მეჰდიევი ბაქოში დააბრუნეს. ვიუგარ მეჰდიევი აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილი სარდლის გენერალ-მაიორ ალთაი მეჰდიევის ვაჟია.

● აზერბაიჯანი თურქულ კომპანია FNSS-თან საპონტონო ხიდების Samum-ის შეძენის საკითხს განიხილავს. გარდა ამისა, ბაქომ შეთავაზება მიიღო Otokar-ის ჯავშანტექნიკაზე, Roketsan-ის სარაკეტო სისტემებსა და სხვა შეიარაღებაზე.

● თავდაცვის სამინისტრო აპირებს კონტრაქტით მომსახურეთა რაოდენობის გაზრდას და მათ გამოყენებას სამხედრო ტექნიკისა და მაღალტექნოლოგიური შეიარაღების მართვაში, აგრეთვე, უმცროს მეთაურებად. შეიარაღებულ ძალებში გაზრდილია სამოქალაქო პერსონალიც და მათ სამეურნეო საქმიანობა, საქმის წარმოება, ზოგიერთი ობიექტის დაცვა და ა.შ. ევალებათ.

### სომხეთი

● 28 იანვარს სომხეთმა შეიარაღებული ძალების შექმნის 22-ე წელი იზეიმა. 1992 წლის 28 იანვარს სომხეთის მთავრობამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება „ხომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შესახებ" და იმავე დღეს თავდაცვის მინისტრის პირველი ბრძანებაც გამოქვეყნდა.





● 13 იანვრიდან 2 თებერვლამდე გერმანიაში აშშ-ის არმიის სასწავლო ცენტრში ჩატარდა მრავალეროვანი სწავლება „კოსოვოს ძალები", სადაც სომხეთი 75 მშვიდობისმყოფლით იყო წარმოდგენილი.

● 5 თებერვალს პარლამენტში სამთავრობო საათზე გამოსვლისას ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა განაცხადა, რომ დაწყებულია სომხეთის არმიის ახალი, შორსმოქმედი და ზეზუსტი საშუალებით აღჭურვის პროცესი. მინისტრმა შემდეგ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სფეროში რუსეთთან თანამშრომლობა თურქეთ-აზერბაიჯანის პარტნიორობის გათვალისწინებით მიმდინარეობს.

● ავღანეთში მყოფ სომეხ მშვიდობისმყოფელთა ერთი ჯგუფი მაზარი-შარიფიდან შეიძლება ქაბულში გადაიყვანონ. ამჟამად ISAF-ის ძალების შემადგენლობაში გერმანული სარდლობით მაზარი-შარიფში სამსახურს 81 სომეხი სამხედრო და 5 ინსტრუქტორი, ხოლო ყუნდუზში კი 40 სამხედრო გადის.



სომეხმა მშვიდობისმყოფელებმა გერმანიაში სამხედრო სწავლებებში მიიღეს მონაწილეობა

● 15 თებერვალს მოხალისეთა კავშირის „ერკნაპას" ყრილობაზე გამოსვლისას სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე შექმნილი მდგომარეობის თაობაზე განაცხადა: „საზღვარზე იღუპებიან ჩვენი სამხედროები და მშვიდობიანი მოქალაქეები. ეს ომი არაა, ეს მკვლელობაა, რითაც აზერბაიჯანს საზღვარზე დაძაბულობის შენარჩუნება სურს".

● ახალი კომპლექს Наводчик-2-ის გამოყენება დაიწყეს გიუმრის 102-ე რუსული ბაზის საავტომობილო და ჯავშანტექნიკის მძღოლებმა და მძღოლ-მექანიკოსებმა. კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი უპილოტო საფრენი აპარატის Гранат-1-ის ვიდეოკამერის მიერ გადმოცემული გამოსახულება მარშის დროს ავტომობილებისა და ჯავშანტექნიკის გაკონტროლების საშუალებას იძლევა.



ოჩამჩირეში სატანკო ბატალიონის ბაზაზე სეპარატისტთა მძღოლ-მექანიკოსებმა სასწავლო შეკრება გაიარეს

### კონფლიქტის რეგიონები

#### ოკუპირებული აფხაზეთი

● 28-30 იანვარს ოჩამჩირეში, სატანკო ბატალიონის ბაზაში, ჩატარდა 50-მდე მძღოლ-მექანიკოსის სასწავლო შეკრება, რომელსაც ხელმძღვანელობდა სეპარატისტთა არმიის ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი გენერალ-მაიორი ასლან ანქვაბი.

● აფხაზეთის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზის სამხედროებისთვის გრძელდება ობიექტების მშენებლობა. ივნისის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს 19 ორსართულიანი სახლი 300 ბინით, ხოლო 2015 წლისთვის დაგეგმილია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის, ფეხბურთის მოედნისა და ჩოგბურთის კორტების მშენებლობა.

#### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 3 თებერვალს საოკუპაციო ჯარებმა მე-4 ბაზის შექმნის მე-5 წელი აღნიშნეს. ბაზის მეთაურის, პოლკოვნიკ მიხაილ პოლიშჩუკის თქმით, განვლილ სასწავლო წელს პირადი შემადგენლობისთვის 2 ათას 500-ზე მეტი სხვადასხვა მეცადინეობა და სროლა ჩატარდა ჯავშანტრანსპორტიორების БТР-82А-ს, ტანკების Т-90А-ს, თვითმავალი ჰაუბიცების Мста-С-ს, Акация-ს, Гвоздика-სა და სხვა ტექნიკის გამოყენებით.

#### თვითაღიარებული ყარაბაღი

● თვითაღიარებული რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ 19-20 იანვარს ღამით აზერბაიჯანის არმიის ქვედანაყოფები ყარაბაღის სიღრმეში შეღწევას შეეცადნენ, მაგრამ მარცხი განიცადეს. ბრძოლაში დაიღუპა 1 სომეხი ჯარისკაცი, ხოლო აზერბაიჯანელთა მხრიდან 2 ოფიცერია მოკლული, 6 კი დაჭრილია.

● 28 იანვარს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის გამო დაღუპული 20 წლის ყარაბაღელი ჯარისკაცი თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ბაკო საჰაკიანის 30 იანვრის ბრძანებულებით დაჯილდოვდა მედლით „საბრძოლო დამსახურებისთვის".

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...


BLACKSEAFOR-ის მიმდინარე წლის საგაზაფხულო აქტივაციაში რუსეთის შავი ზღვის ფლოტი საჰაერო ბალიშზე მოცურავე სარაკეტო ხომალდი „სამუმით" იქნება წარმოდგენილი

## რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი

● შავი ზღვის ოპერატიული ურთიერთქმედების სამხედრო-საზღვაო ჯგუფის (BLACKSEAFOR) მიმდინარე წლის საგაზაფხულო აქტივაციაში (28 მარტიდან 15 აპრილამდე) რუსეთის შავი ზღვის ფლოტი საჰაერო ბალიშზე მოცურავე სარაკეტო ხომალდ „სამუმით" იქნება წარმოდგენილი.

● იანვრის ბოლოს 58-ე არმიაში დასრულდა უპილოტო საფრენი აპარატების ასეულის ფორმირება. ქვედანაყოფი დაკომპლექტებულია ტექნიკური განათლებისა და კომპიუტერული ტექნიკის მცოდნე სამხედრო მოსამსახურეებით, რომლებმაც სპეციალური მომზადება ქალაქ კოლომნის უპილოტო საფრენი აპარატების ოპერატორების სპეციალურ ცენტრში გაიარეს. 2013 წელს ასეულმა Застава-ს, Гранат-ის, Орлан-ისა და Леер-ის ტიპის უპილოტო აპარატის 30 კომპლექტი მიიღო, ხოლო მიმდინარე წელს Елерон-ისა და Тахион-ის უახლესი მოდელები დაემატება.

● ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებში, ადიღეს რესპუბლიკაში დისლოცირებული სამხედრო ნაწილების ყოველდღიური განრიგები შეიცვალა. სამხედრო მოსამსახურეები ოლიმპიურ თამაშებს 4 სთ-ით მეტხანს უყურებდნენ, ვიდრე განრიგით იყო გათვალისწინებული. ჯარისკაცებისთვის მოეწყო სპეციალური დასვენების ოთახები თხევადკრისტალიანი ტელევიზორებით.

## თურქეთი

● 29 იანვარს ანკარამ ანტისარაკეტო სისტემაზე გამოცხადებული ტენდერის ვადა 30 აპრილამდე გააგრძელა, რაც კონკურსში მონაწილე ამერიკულ კომპანიებს Raytheon-სა და Lockheed Martin-ს, აგრეთვე იტალიურ-ფრანგულ Eurosam-ს განაცხადების განახლების საშუალებას მისცემს. ესეც იმ შემთხვევაში, თუ წინა ტენდერში გამარჯვებულ ჩინურ კომპანიასთან მოლაპარაკება 30 აპრილამდე უშედეგოდ დასრულდება. 2013 წლის სექტემბერში ტენდერში გამარჯვებულად ჩინური კომპანია გამოცხადდა, მაგრამ აშშ-სა და NATO-ს მოთხოვნით ვადა მაშინ 31 იანვრამდე გაგრძელდა.

● იანვრის ბოლოს თურქეთის არმიამ სირიის მოსაზღვრე ტერიტორიაზე ექსტრემისტული დაჯგუფება „ერაყისა და ლევანტეს ისლამური სახელმწიფოს" მებრძოლთა ავტოკოლონაზე იერიშის დროს ჯიპი, სატვირთო ავტომობილი და ავტობუსი გაანადგურა.

● სამხედრო-საჰაერო ძალების რიგებიდან კიდევ 47 მფრინავი გადადგა. ბოლო ორ წელიწადში სამხედრო ავიაცია 300-მდე მფრინავმა დატოვა. თავდაცვის მინისტრ ისმეთ ილმაზის შეფასებით, ეს სამხედრო-საჰაერო ძალებს არ ასუსტებს, მაგრამ კადრების დეფიციტს კი იწვევს.

● ამერიკულმა Boeing-მა თურქეთს შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის პირველი თვითმფრინავი გადასცა იმ პროგრამით, რომელსაც ხელი 2003 წელს მოეწერა. გეგმის შესაბამისად, თურქეთს აშშ-დან 4 თვითმფრინავი 2008 წელს უნდა მიეღო.

● 8 თებერვალს ვანის პროვინციაში სამხედრო ავტომობილი მოცურდა და ავტოსაგზაო შემთხვევას 3 სამხედრო მოსამსახურე შეეწირა.

● 12 თებერვალს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯებ თაიპ ერდოღანმა ესპანელ კოლეგასთან მარიანო რახოისთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თურქეთი ესპანური უნივერსალური სადესანტო ხომალდ Juan Carlos I-ის ანალოგს ააგებს.

● 14 თებერვალს ბაიკონურის კოსმოდრომიდან (ყაზახეთი) რაკეტა-მატარებელმა ორბიტაზე გაიყვანა თურქეთის რიგით მე-4 თანამგზავრი Turksat 4A, რომელიც იაპონურმა კომპანია Mitsubishi Electric-მა დაამზადა. რიგით პირველი თურქული თანამგზავრის RASAT-ის სტარტი 2011 წელს შედგა.

● 16 თებერვალს სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში შევიდა ახალი, 20-ტონიანი საინჟინრო საშუალება-ამფიბია Kunduz-ი, რომელიც მდინარეებზე პონტონიანი ხიდების ასაწყობად გამოიყენება.





ეროვნული ბიბლიოთეკა


ბაიკონურის კოსმოდრომიდან (ყაზახეთი) რაკეტა-მატარებელმა ორბიტაზე თურქეთის რიგით მე-4 თანამგზავრი Turksat 4A გაიყვანა

## ირანი

● 3 თებერვალს ირანმა ეროვნული და რეგიონული მასშტაბის კავშირისა და 100 მ ზომის ობიექტების მაღალი ხარისხის ფოტოგრაფირებისთვის განკუთვნილი ორი ახალი თანამგზავრი წარმოადგინა. ირანის არცთუ შორეულ კოსმოსურ გეგმებში შედის 2020 წლისთვის პილოტირებული ფრენების შესრულება.

● როგორც 4 თებერვალს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა მარზიე აფჰამამ განაცხადა, ჯერ კიდევ რევოლუციამდე დიდ ბრიტანეთში შესყიდული იარაღის საქმეში თეირანი მშვიდობიან გამოსავალს ეძებს და იქვე მოიყვანა ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძოდ, ლონდონი ვალდებულია ირანის ისლამურ რესპუბლიკას მიაწოდოს ის იარაღი, რომელშიც თანხა უკვე გადახდილია.

● 8 თებერვალს ირანის ჩრდილოეთის ფლოტის სარდალმა, კონტრადმირალმა აფშინა რეზაიე ჰადიდმა განაცხადა: „ირანის ხომალდები მიუახლოვდნენ აშშ-ის საზღვაო საზღვარს და ამ ლონისძიებას თავისი მნიშვნელობა აქვს". სპარსეთის ყურეში აშშ-ის მე-5 ფლოტის ხომალდების ყოფნის საპასუხოდ ამჟამად ატლანტის ოკეანეში ირანული რაკეტული ფრეგატი Sabalan-ი და მომარაგების გემი Kharg-ი იმყოფებიან.

● როგორც 10 თებერვალს ირანის თავდაცვის მინისტრმა ჰოსეინ დეგანამ განაცხადა, გამოცადეს ახალი ბალისტიკური რაკეტა გაყოფილი ქობინებითა და ლაზერული დამიზნების მქონე „ჰაერი-მიწა" კლასის რაკეტა Bina. მინისტრის თქმით, ბალისტიკური რაკეტის წარმატებული გამოცდა გაფრთხილებაა იმ ამერიკელი ოფიციალური პირებისთვის, ვისაც ირანის პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტა სურს.

● ბრიგადის გენერალ ფარზად ისმალის თქმით, შორეული მოქმედების საზენიტო-სარაკეტო კომპლექს Bavar-373-ზე მუშაობა წლის მიწურულს დასრულდება, ხოლო 2015 წლიდან ექსპლუატაციაში შევა. გენერლის შეფასებით, სისტემა რუსულ კომპლექს C-300-ზე უფრო ძლიერი იქნება.

● 16 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ ირანმა რუსეთს მაისში ერთობლივი სამხედრო-საზღვაო სწავლების ჩატარების წინადადებით მიმართა. კრემლის პასუხი ჯერჯერობით უცნობია.

● 17 თებერვალს ირანის შინაგან საქმეთა მინისტრი აბდოლრეზა რაჰმანი ფაზლი პაკისტანს ჯარების შეჭრით დაემუქრა, თუ დროულად ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ერთ-ერთი დაჯგუფების მიერ 6 თებერვალს გატაცებული 5 მესაზღვრე არ გაათავისუფლეს.

● ირანის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის, ვიცე-ადმირალ ჰაბიბულა საიარის თქმით, გრძელდება 1420 ტ წყალწყვის Jamaran-ის სერიის სამი რაკეტული ფრეგატის აგება. სერიის პირველი ორი ხომალდი მწყობრში 2010 და 2013 წელს შევიდა.

● 18 თებერვალს ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებს გადაეცა ამერიკული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი C-130 Hercules-ი, რომელსაც მოდერნიზაცია და კაპიტალური რემონტი შირაზის მე-7 სამხედრო-საჰაერო ბაზაში ჩაუტარდა.

● 18 თებერვალს ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის მეთაურმა, გენერალ-მაიორმა მოჰამად ალი ჯაფარმა, განაცხადა, რომ ირანზე თავდასხმის შემთხვევაში მტრებს ირანი მათ ქვეყნებზე თავდასხმით საკადრის პასუხს გასცემს.

**თემურ ჩაჩანიძე**



ლაზერული დამიზნების მქონე „ჰაერი-მიწა" კლასის რაკეტა Bina



„ქართული არმიის განვითარების ფონდის" წვლილი 2004-05 წლებში

# როგორ აფინანსებდა ბიძინა ივანიშვილი ქართულ არმიას...



**2004 წელს ქართული არმიის გასაძლიერებლად შეიქმნა „ქართული არმიის განვითარების ფონდი", რომელიც არმიაში არსებულ პრობლემებს სწავლობდა, პრობლემები კი მართლაც მრავლად იყო. ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი, „სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის" თავმჯდომარე ბესიკ ალადაშვილი იმ პერიოდს იხსენებს:**

— 2014 წლის აპრილში 10 წელი შესრულდება „ქართული არმიის განვითარების ფონდის" შექმნიდან. ვფიქრობ, ახლა დაუმსახურებლად არის მივიწყებული ამ ფონდის 2004-2005 წლების გამოცდილება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

იმ წლებში ქართული ჯარის განვითარებაში მეც აქტიურად ვიყავი ჩართული. სათქმელს ცოტა შორიდან დავიწყებ: არმიის ჩამოყალიბება დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისთანავე დაიწყო, მაგრამ 90-იან წლებში ქვეყანაში სამხედრო შენაერთები უფრო იყო, ვიდრე ორგანიზებული არმია. არ გვქონდა თანამედროვე შეიარაღება, ინფრასტრუქტურა, მომარაგება, დისციპლინა, რაც პირველივე შეიარაღებული კონფლიქტის დროს გახდა თვალსაჩინო.

ერთადერთი, რაც მაშინდელ სამხედროებს არ აკლდათ, პატრიოტიზმი და ენთუზიაზმი იყო.

— **არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამ სფეროში კორუფცია ყვაოდა.**

— დიახ, ამის ერთ-ერთი მიზეზი, სხვა გარემოებებთან ერთად, დაბალი ხელფასებიც იყო. მახსოვს, როგორ იხვეწებოდა მაშინდელი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გაცემას, რათა თანამშრომლებისთვის მიზერული ხელფასები მაინც დაერიგებინათ. სამხედრო სწავლებებსა და წვრთნებზე საუბარიც ზედმეტია... იმის გამო, რომ ქართველ მფრინავებს საწვავი არ ჰქონდათ, სასწავლო გაფრენების ჩატარება შეუძლებელი იყო. მხოლოდ მაშინ თუ გაფრინდებოდნენ, როდესაც ედუარდ შევარდნაძის სამგზავრო თვითმფრინავს საქართველოს საჰაერო სივრცით აცილებდნენ. ფაქტობრივად, ეს იყო მათი წვრთნა.

2004 წლამდე ჯარის, უშიშროებისა და ძალოვანი სტრუქტურების დაფინანსება კატასტროფულად დაბალი იყო. ასეთი მძიმე ფონი დახვდა ახალ ხელისუფლებას. არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ „ნაციონალური მოძრაობის" შექებას, მაგრამ რეალობა მართლაც ასეთი იყო.

2004 წელს კი გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ქართული ჯარის აღორძინება დაისახა მიზნად. ეს ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო. მაშინ გასაიდუმლოებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, რომ ამის უკან ბიძინა ივანიშვილი იდგა... შეიქმნა „ქართული არმიის განვითარების ფონდი“.

ფონდის შექმნამდე უშიშროების სამინისტროში ვმუშაობდი. მაშინ ამ უწყებას ახალი ხელმძღვანელობა ჰყავდა, ზურაბ ადეიშვილის მინისტრობით. იმ დროს ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი. ადეიშვილის მოადგილეები იყვნენ გიგი უგულავა, ამირან მესხელი, რომლებმაც მალე თავიანთი კადრები მოიყვანეს. ახალ კადრებს საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდათ, დოკუმენტებზე რეზოლუციის დადებაც კი არ იცოდნენ. როდესაც ერთ-ერთ ხელმძღვანელს დოკუმენტი რეზოლუციისთვის შეუტანეს, მან სიტყვიერად დააწერა „რეზოლუცია“ და მდივანს გადასცა. ასეთ ხელმძღვანელობასთან ვერ ვიმუშავე და კადრების განკარგულებაში გადამიყვანეს...

ერთხანს უმუშევარი ვიყავი, შემდეგ კი, 2004 წლის აპრილში, შეიქმნა რეფორმების ფონდი, რომლის შემადგენლობაში „ქართული არმიის განვითარების ფონდი“ შედიოდა. ფინანსებს კოტე კუბლაშვილი განკარგავდა.

**— რა კრიტერიუმით შეარჩიეს კოტე კუბლაშვილი?**

— ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილ ფონდში მიხეილ სააკაშვილს მისი ნდობით აღჭურვილი პირი სჭირდებოდა. იმ ფონდიდან ფინანსდებოდა შსს (იგივე საპატრულო პოლიციის შექმნა) და თავდაცვაც. თანხის 99% ბიძინა ივანიშვილის იყო. ასევე, ცალკე შეიქმნა „სამართალდამცავი ორგანოების განვითარების ფონდი“, რომელიც, ძირითადად, პროკურატურის მიერ წართმეული თანხებით ფინანსდებოდა. მაშინ გენერალური პროკურორი, ბიზნესმენების რისხვა ირაკლი ოქრუაშვილი იყო. იმ წლებში ბიზნესმენები ერთიმეორის მიყოლებით გარბოდნენ საქართველოდან. იმ წლებში ბევრს ეგონა, რომ არმიის ფონდიც რეპრესირებული ბიზნესმენების თანხებით ფინანსდებოდა, რაც შეცდომა იყო.

**— თქვენ როგორ აღმოჩნდით ფონდის გამგეობაში?**

— თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილე ირაკლი ალასანიამ და გენერალური შტაბის მაშინდელმა უფროსმა გივი იუკურიძემ გამიწიეს რეკომენდაცია. მათთან ჯერ კიდევ 1996 წლიდან ვმუშაობდი, ჯერ უშიშროების საბჭოში, შემდეგ კი უშიშროების სამინისტროში.

**— ფონდის პრიორიტეტები, ალბათ, განსაზღვრული იყო?**

— დიახ, პრინციპულად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ შეიარაღებას არ ვყიდულობდით. ჩვენს ფონდში თავდაპირველად დაახლოებით 20-25 მილიონ ლარამდე იყო გამოყოფილი, 2005 წლისთვის ეს თანხა 35 მილიონამდე გაიზარდა... როგორც კი გავრცელდა ინფორმაცია ფონდის დაარსების შესახებ, საზოგადოებრივი ინიციატივები არ წყდებოდა, ბიზნესმენები გვიკავშირდებოდნენ, ანგარიშის ნომერს გვეკითხებოდნენ და საკუთარი სურვილით რიცხავდნენ თანხას. მაგალითად, „ბავშვთა სამყაროს“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა 400 ლარი ჩაგვირიცხა, ანუ ხალხი პატრიოტული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, რაც „ნაციონალებმა“ ხალხს მალე დაავიწყეს.

ძირითადი აქცენტი სამხედრო ყაზარმების მშენებლობა-შეკეთებაზე, სამხედრო ნაწილებისთვის საწვავისა და სანივთე ქონების შეძენაზე გვქონდა გაკეთებული. პროექტის ფარგლებში საქართველოს ყველა სამხედრო ბაზა შემოვიარე. როდესაც საჭირო რაოდენობის ფორმებს შევიძენდით, მის განაწილებასაც ვაკონტრო-



*„ქართული არმიის განვითარების ფონდის“ შექმნამდე ასეთი ყაზარმები ქართული არმიისთვის ჩვეული მოვლენა იყო*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფონდის დახმარებით ბევრ სამხედრო ნაწილში ჯარისკაცთა სასადილოებმა თანამედროვე სახე მიიღო

ლებდით, მიდიოდა თუ არა ადრესატამდე. იმ წლებში ჯარისკაცებს პარტიზანებივით სხვადასხვა ფორმა ეცვათ, ჩუსტებითაც კი დადიოდნენ...

**— „ქართული არმიის განვითარების ფონდი“ რამდენად დაცული იყო კორუფციისგან?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დაცული იყო. სისტემა იმდენად კარგად იყო აწყობილი, რომ სიტყვა „კორუფციაც“ კი შეურაცხმყოფელი იყო. არ იყო ამის საჭიროება. ფონდის თანამშრომლების ანაზღაურების ოდენობაც კი ზუსტად იყო გათვლილი. კერძოდ, ხელფასი 1.000 ლარი გვქონდა, რაც იმ დროს ძალიან კარგი შემოსავალი იყო. სამხედრო ბაზებში: თელავში, გორში, თბილისში (ვაზიანი, კოჯორი), ქუთაისში, სენაკში, ფოთსა და ახალციხეში ჩვენი ავტომანქანებით დავდიოდით, მაგრამ 150 ლარის ბენზინის ტალონიც გვქონდა, ანუ მაქინაციების მოტივაცია არც არსებობდა... და კიდევ ერთი, თუ უფროსს არ უნდა, მის ორგანიზაციაში კორუფცია არ იქნება, რადგან დარღვევა ზემოდან მოდის, ან თვალს ხუჭავს. ჩემი ფონდის მუშაობის განმავლობაში მუდმივად მოდიოდა მკაცრი გაფრთხილება ჯერ გელა ბეჟუაშვილისგან, შემდეგ კი გია ბარამიძისგან, — ყველაფერი ზუსტად გააკონტროლეთო!..

კორუფციის გამოსარიცხად ფასთა კვოტირებას ვაკეთებდით. ამასთან, კანონი ფორსმაჟორული შესყიდვების გათვალისწინებით არ გვავალდებულებდა, მაგრამ საკუთარი სურვილით ფონდში შიდა ტენდერებს ვატარებდით, რათა გაგვეგო, რომელი კომპანია უფრო დაბალ ფასად მოგვაწვდიდა საწვავს, სანივთე ქონებასა და გაგვიწევდა სამშენებლო-სარემონტო მომსახურებას. მერე კი ამ საკითხს გამგეობის სხდომაზე განვიხილავდით და კოლეგიალურად ვიღებდით გადაწყვეტილებას (შემდეგ გაირკვა, რომ სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან შედარებით ჩვენ ყველაზე იაფად ვყიდულობდით საწვავს).

საბედნიეროდ, დღემდე არსებობს მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელშიც ყველა დეტალი გამჭვირვალედ არის აღრიცხული.

თუმცა, როდესაც თავდაცვის სამინისტროში ირაკლი ოქრუაშვილი მოვიდა და ფონდის საქმე გენერალურ პროკურატურას გადასცა (გახსოვთ, ალბათ, ის ვიდეოფირი თავდაცვის ყოფილი მინისტრის კაბინეტში, ყველანი დასაჭერები ხართო, რომ ამბობს, ასეც მოიქცა), ისეთი პირები დააკავეს, რომლებიც სრულიად უდანაშაულო იყვნენ. მათ შორის, სამშენებლო კომპანიებისა და ფირმების ხელმძღვანელები, რომლებიც მიზერულ ფასად მუშაობდნენ სამხედრო ბაზების აღდგენა-გარემონტებაზე, ბევრი ქვეყნიდან გააქციეს ან ციხეში გაუშვეს. არადა, მათი კეთილსინდისიერი დახმარებით მთელი საქართველოს მასშტაბით არმიისთვის ყაზარმები მოეწყო და გარემონტდა.

ამ დეტალებს იმიტომ გიყვებით, რომ ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრობის დროს ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი გაუშვეს ციხეში. მე და კიდევ რამდენიმეს კი შარი ვერაფერში მოგვდეს.

**— ვინ იყო მაშინ თქვენთან ერთად „ქართული არმიის განვითარების ფონდში?“**

— ფონდის გამგეობის პირველი თავმჯდომარე იყო ჯემალ წიკლაური, შემდეგ აკაკი ჩხენკელი. წევრები კი მე, ზაზა გუნცაძე და მიშა ბოცვაძე ვიყავით. ასევე, ჩვენთან მუშაობდნენ, ზაზა თანანაშვილი, თინა ოქრუაშვილი და თაკო ხარაზიშვილი. შემდგომში ვაჟა ბექაური, ზაზა ჯიაძე და ზაზა ქორიძე დაგვემატნენ. ყველა ღირსეული ადამიანი და პატრიოტი იყო.

ჩვენ მიერ განსაზღვრული სამი პრიორიტეტული მიმართულებიდან სამივე წარმატებით მიმდინარეობდა. საწვავის ხარისხსაც ლაბორატორიაში ვამოწმებდით, რასაც სამხედრო პირების მადლიერება მოჰყვა, — სასწავლო ფრენების რაოდენობა 200 საათამდე გაიზარდა, მაშინ როდესაც მანამდე თვეში მხოლოდ 1-2 საათი გამოსდიოდათ.

2004 წლის აპრილიდან დეკემბრამდე თავდაცვის სამინისტრომ სამი ხელმძღვანელი — გელა ბეჟუაშვილი, გიორგი ბარამიძე და ირაკლი ოქრუაშვილი გამოიცვალა, რაც რბილად რომ ვთქვათ, ამ ტიპის სისტემისთვის მაინცდამაინც კარგი არ არის. ყველა ხელმძღვანელს ფონდის გამგეობის თავმჯდომარედ თავისი კადრი მოჰყავდა.

**— მთავარი დამფინანსებელი არ ინტერესდებოდა, რაში იხარჯებოდა მის მიერ გადარიცხული თანხა?!**

— როგორც ჩანს, დეტალებში არ ერეოდა, რადგან ეგონა, თანხა მიზნობრივად იხარჯებოდა. თავდაპირველად, მართლაც ასე იყო, შემდგომში კი საოცარი რაღაცები მოხდა. იმ წელიწად-ნახევრის განმავლობაში მომხდარ კურიოზს მოგიყვებით: 2004 წლის ივნისში მიხეილ სააკაშვილმა დაიბარა თავდაცვის მინისტრი გია ბარამიძე და უბრძანა, 4 თვეში ყველა სამხედრო ყაზარმა

ევროსტანდარტების დონეზე გაერემონტებინა. კერძო სამშენებლო კომპანიების მართლაც თავდაუზოგავი, გმირული შრომის შედეგად ვადაში ჩავეტიეთ და ყველა სამხედრო ყაზარმა გარემონტდა. ის იყო, მიღება-ჩაბარების პროცესი უნდა დაგვეწყო, რომ 2004 წლის 17 დეკემბერს თავდაცვის მინისტრად ირაკლი ოქრუაშვილი დაინიშნა, რომელმაც ძალზე „საინტერესო“ გადაწყვეტილება მიიღო, — როგორც ზემოთ გითხარით, ფონდის გამგეობის წევრს და ყველა თანამშრომელს დაჭერით დაგვემუქრა!

პარალელურად კი, ერთ-ერთი თურქული კომპანიისგან მოდულების შეძენა დაიწყო, რომლებიც მიწაში ჩააბეტონეს. ისინი ჯარისკაცებისთვის საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის უნდა გამოეყენებინათ. ეს კი განსაკუთრებით ძნელი იყო ახალციხესა და კოჯორში, სადაც მკაცრი ზამთარი იცის. მოდულები მუდმივი ექსპლუატაციისთვის შეუფერებელი აღმოჩნდა: ისინი ძალზე სწრაფად დეფორმირდებოდნენ.

**— მოდულები რაში დასჭირდათ, ყაზარმები ხომ გარემონტებული იყო?**

— დიახ, მაგრამ ჯარისკაცები იქ არ შეიყვანა, თქვენი აშენებული არ ვარგა, აქ სამხედროებს ვერ შევიყვანო და ფაქტობრივად დააკონსერვა. რატომ არ ვარგოდა, არ დაუკონკრეტებია... არ ვიცი, ამ სვლით მშენებლებისთვის ფულის გადახდა არ უნდოდა თუ რა ჰქონდა ჩაფიქრებული. მაშინ არაერთი კერძო სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელი დაიჭირეს და მხოლოდ საპროცესო გარიგების შემდეგ გამოუშვეს. ამის შემდეგ ვინლა მოსთხოვდა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებას? მიუხედავად იმისა, რომ ფონდის გამგეობის წევრები და თანამშრომლები თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას ვუსაბუთებდით მოდულების შეუფერებლობას და შეკეთებული ყაზარმების უპირატესობას, მაინც თავისი გაიტანეს და მოდულების შესყიდვა განაგრძეს. ამით ათ მილიონ ლარზე მეტი იზარალა ქართულმა არმიამ!

ოქრუაშვილის უწყებაში მოსვლის შემდეგ მსგავსი უცნაურობა კიდევ არაერთხელ მოხდა. მაგალითად, მისი დავალებით „ლილოს ბაზრობაზე“ კრწანისის სასწავლო ცენტრისთვის რამდენიმე ათეული უზარმაზარი ქვაბი და გაზის წითელი ბალონები შეიძინეს, რომლის დატუმბვაში ყოველკვირა 3-4 ათას ლარამდე იხარჯებოდა. ცალკე ქვაბსადგამები დაამზადებინა. არადა, თავდაცვის სამინისტროს საწყობებში სპეციალური საველე სამზარეულოები ხელუხლებელი ეწყო.

**— თქვენ რატომ დატოვეთ ფონდი?**

— დამატოვებინეს... მოდულების ბოლო პარტიის მიღებიდან ორი დღის შემდეგ ფონდის მაშინდელმა თავმჯდომარე იასონ ჩიხლაძემ, რომელიც იმავდროულად თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსიც იყო (რაც კანონის უხეში დარღვევაა), დამირეკა, სასწრაფოდ დაწერე განცხადება გათავისუფლების შესახებო. დავინტერესდი, რას უკავშირდებოდა ეს მოთხოვნა, მან ირონიულად მიპასუხა, მადლობა უთხარი შენს ძმას და მის სტატიებსო. „კვირის პალიტრის“ ბოლო ნომერში გასულ მასალაზე მითხრა, რომელიც ნანახი არც კი მქონდა. ჩემი ძმის სტატიები დამისახელეს ჩემი სამსახურიდან გათავისუფლების მოტივად ქვეყანაში, რომელსაც დემოკრატიულობის ამბიცია ჰქონდა. თუმცა, ყველაფერი ამით არ დასრულებულა, პროკურატურითა და დაჭერითაც დამემუქრნენ. ორი-სამი თვე ჩვეულებრივ დავდიოდი სამსახურში, თუმცა არც ხელფასს მირიცხავდნენ და არც კუთვნილ შვებულებას მაძლევდნენ.

მაშინ პირადად ირაკლი ოქრუაშვილს ოფიციალური წერილი გავუგზავნე, სადაც ზემოთ მოყვანილი ფაქტები დოკუმენტურად დავუსაბუთე, დეტალურად ვწერდი, რომ 2004 წელს მისი უწყებების, პროკურატურისა და შსს-ს მიერ ერთი და იმავე მომწოდებლისგან ერთსა და იმავე დროს შეძენილი საწვავის ფასი რამდენად მაღალი იყო (ერთ ლიტრზე 10-15 თეთრით) ჩვენ მიერ შეძენილზე. ვიცოდი, ისინი ჩემს წინააღმდეგ რაღაცას გეგმავდნენ...

მოკლედ, 2005 წლის შემოდგომაზე ოქრუაშვილის დავალებით აბსურდული მიზეზით „სამსახურის გაცდენის გამო“ ფონდის გამგეობის წევრობიდან გამათავისუფლეს. მისი მინისტრობის დროს წლების განმავლობაში საჯარო სამსახურშიც კი არ მიღებდნენ.

**ლალი პაპასკირი**



*მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა სამხედროების მომზადებაზეც დადებითად აისახება*




# 64 დღე-ღამე ჰაერში!

„არსენალის“ მკითხველისთვის შესაძლებელია მართლაც დაუჯერებელი იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ თვითმფრინავმა მიწაზე დაუჯდომლად, არც მეტი და არც ნაკლები, 64 დღე-ღამე, 24 სთ, 19 წთ და 5 წმ იფრინა და მხოლოდ იმიტომ შეწყვიტა ფრენა, რომ მის ორ პილოტს ერთმანეთი ყელში ამოუვიდათ და ჰაერში დაწყებული კამათის გაგრძელება მიწაზე გადაწყვიტეს.

ეს მართლაც აშკარა და დაუჯერებელი ფაქტი 1958 წლის 4 დეკემბერს დაიწყო აშშ-ში, როდესაც ლას-ვეგასის „მაკერენის“ აეროდრომიდან ერთძრავიანი თვითმფრინავი Cessna-172 აფრინდა, რომელსაც ორი პილოტი — ბობ ტიმი და ჯონ კუკი — მართავდა.

ისინი ყოველ 4 სთ-ში ენაცვლებოდნენ ერთმანეთს თვითმფრინავის პილოტირებაში, თუმცა გასაგებია, რომ მარტო ეს არ იქნებოდა საკმარისი იმისთვის, რომ 1958 წლის 4 დეკემბერს აფრენილი თვითმფრინავი ახალ წელს ჰაერში შეხვედროდა და აეროდრომზე მხოლოდ შემდეგი, 1959 წლის 7 თებერვალს დამჯდარიყო.

„სესნას“ საწვავის ორივე ავზში მხოლოდ 210-მდე ლიტრი ბენზინი ეტევა და საწვავის ეს მარაგი თვითმფრინავს მხოლოდ 1200 კმ-ის გასაფრენად თუ ეყოფოდა.

ამიტომაც ხდებოდა „სესნას“ დამატებითი საწვავით გაწყობა უშუალოდ ჰაერში, რაშიც თითქოს ახალი არც არაფერი იყო, რადგან აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებს იმ დროისთვის უკვე კარგად ჰქონდათ ათვისებული საჰაერო ტანკერიდან „შლანგი-კონუსის“ სისტემით საწვავის ერთიდან მეორე თვითმფრინავისთვის გადაცემა.

თუმცა „სესნაში“, რომელიც ორ თვეზე მეტი აეროდრომის გარშემო დაუჯდომლად დაფრინავდა, საწვავს არა სხვა თვითმფრინავიდან, არამედ ჩვეულებრივ ბენზინმზიდი მანქანიდან ასხამდნენ.

საქმე ის არის, რომ საწვავის მარაგის მორიგი შევსების წინ „სესნა“ აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის თავზე დაბალ სიმაღლეზე და სულ რაღაც 87 კმ/სთ სიჩქარით მიფრინავდა (სხვა თვითმფრინავი ასეთ დაბალ სიჩქარეზე ფრენისას აუცილებლად ჩამოვარდება), რომლის დროსაც მას ბენზინმზიდი ეწეოდა და შლანგით საწვავს თვითმფრინავს აწვდიდა, სანამ რამდენიმეკილომეტრიანი ასაფრენ-დასაფრენი ზოლი დამთავრდებოდა.

მსოფლიო რეკორდის დამყარებისას, 64 დღე-ღამეში, „სესნამ“ დედამიწის ექვსი ეკვატორის ტოლი მანძილი გაიფრინა, ანუ არანაკლებ 240 ათასი კმ, რაც „სესნაზე“ დაყენებული Lycoming-ის შიდაწვის ძრავის (მისი სიმძლავრე 160 ცხ.ძ.-ს შეადგენს) გასაოცარ ხარისხზე მეტყველებს, რაკი ასეთ დატვირთვას გაუძლო.

სხვათა შორის, ასეთივე Cessna-172 1987 წლის 28 მაისს 18 წლის გერმანელმა, მათიას რუსტმა, მოსკოვში, კრემლთან, წითელ მოედანზე დასვა, რითაც საბჭოთა საჰაერო თავდაცვის სისტემას მთელ მსოფლიოში შეელახა რეპუტაცია.

1989 წლის 9 ივნისს კი ასეთივე Cessna-172 დაუპატიჟებლად უკვე საქართველოს „ეწვია“. გერმანელმა ჰანს შნაიდერმა თურქეთიდან „სესნათი“ გადმოკვეთა საზღვარი და ბათუმის აეროპორტში



„სესნა“ საწვავის მარაგს ასე ივსებდა

დაეშვა, ხმელეთზე ყვავილების თაიგული და წერილი გადმოაგდო და ისევ ჰაერში აიჭრა, ისე, რომ ვერ დააკავეს. წერილში მითითებული იყო, რომ ის თაიგულს იმდროინდელ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს უძღვნიდა.

სულ ბოლოს Cessna-172-მა საქართველოს მოსახლეობას თავი რამდენიმე წლის წინ შეახსენა, როდესაც საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბათუმისა და ზუგდიდის თავზე ამ პატარა თვითმფრინავით დაფრინავდა და ტელეინტერვიუს სალონშივე იძლეოდა.

**ირაკლი ალადაშვილი**



ბობ ტიმსა და ჯონ კუკს რეკორდის დამყარებას ულოცავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული არქივის დაბრუნების საიდუმლო



**(დასაწყისი იხ. „არსენალი“ N16-17, 2013 - N1, 2014)**

ვაგრძელებთ 1921 წელს ემიგრირებული საქართველოს მთავრობის მიერ საფრანგეთში გარიდებული „ეროვნული არქივის“ (მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ამ დეფინიციით განვსაზღვრავთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და მენშევიკების პარტიულ არქივებს) უკან დასაბრუნებელ ღონისძიებებში საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელი ფაქტების კვლევას.

სანამ მსჯელობას გავაგრძელებთ, გვსურს ცნობილ ქართველ ემიგრანტებზე, შალვა და მამია ბერიშვილებზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. გარემოებათა გამო შალვა და მამია ბერიშვილები ეროვნული არქივის საქართველოში დაბრუნების თითქმის ორმოცდაათწლიანი ეპოპეის ცენტრში აღმოჩნდნენ. ძმები ბერიშვილების ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელ ბიოგრაფიაში „თეთრი ლაქები“ ჭარბობს. განსაკუთრებით შალვა ბერიშვილის პიროვნებაა ბურუსით მოცული. ვინ იყო შალვა ბერიშვილი: საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტი თუ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პატრიოტი?

ფაქტია, რომ ძმებ ბერიშვილებს დიდი როლი ჰქონდათ დაკისრებული საქართველოს ეროვნული არქივის დაბრუნების მართლაც რომ დეტექტიურ ისტორიაში. თავად განსაჯეთ: გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან მამია ბერიშვილი პარიზში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ და ეროვნული არქივის საქმეებსაც განაგებდა. საფრანგეთში ის და სხვა ქართველი ემიგრანტები ათწლეულების მანძილზე საბჭოთა საგარეო დაზვერვის (მათ შორის საქართველოს სსრ სუკ-ის პირველი განყოფილების) ოპერატიულ-აგენტურული დამუშავების ობიექტები იყვნენ, ხოლო მამიას უფროსი ძმა, შალვა ბერიშვილი, ამ დროს თბილისში ცხოვრობდა და როგორც ყოფილ ემიგრანტსა და პოლიტპატიმარს, საქართველოს სუკ-ის მე-2 სამმართველოს მე-5 განყოფილების მე-2 ქვეგანყოფილების ოპერატიული თანამშრომლები მუდმივად მეთვალყურეობდნენ.

როგორ იყენებდა საბჭოთა უშიშროება მისთვის ხელსაყრელ ამ გარემოებას? ეს კითხვა ობიექტურ პასუხს მოითხოვს და ამიტომ ძმები ბერიშვილების ცხოვრებასა და საქმიანობას აუცილებლად დავუბრუნდებით.

ახლა კი მკითხველს შევთავაზებთ ეროვნული არქივის საფრანგეთში შენახვის მოკლე ისტორიას. ჩვენ, ძირითადად, დავეყრდნობით ქართველი მეცნიერების: ექვთიმე თაყაიშვილის, ილია ტაბაღუასა და გურამ შარაძის მოგონებებს, ასევე ემიგრაციის არქივში არსებულ დოკუმენტებს.

## რატომ დაბრუნდა ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოში ეროვნული არქივის გარეშე?

აკადემიკოსი გურამ შარაძე ერთ-ერთ ინტერვიუში მიანიშნებდა, რომ 1945 წელს ნოე ჟორდანიამ და მისმა მთავრობამ არქივი ექვთიმე თაყაიშვილს არ გამოატანაო. ჩვენ ვერ მოვიძიეთ დამადასტურებელი ცნობა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დაზვერვას ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურას ეროვნული არქივის დაბრუნება განძეულის დაბრუნების პარალელურად მოეთხოვათ. ამას ადასტურებს თუნდაც ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებები, რომლითაც ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1935 წლის (ზოგან 1936 წელს მიუთითებს) 2 ივლისს საქართველოს განძეულის მცველმა საფრანგეთში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის (მაშინ ამ მოვალეობას ვ. პოტიომკინი ასრულებდა) მდივანს თბილისის უნივერსიტეტისთვის გამოსაგზავნად ჩააბარა 27 ყუთი წიგნები. ამ გზავნილში ეროვნული არქივის დოკუმენტები არ იყო. თუმცა ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებიდან ირკვევა, რომ მისთვის შესანახად

ბიბლიოთეკა

გადაცემული ეროვნული საგანძურის ექსპონატებს შორის მენშევიკების პარტიული დოკუმენტების ნაწილიც ინახებოდა.

1939 წელს პარიზში შესვლის შემდეგ გერმანელებმა, რომლებსაც განძეულის შესახებ ინფორმაცია უკვე ჰქონდათ, თაყაიშვილის ბინა გაჩხრიკეს. ქვემოთ გთავაზობთ მცირე ამონარიდს ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებებიდან: „იმ დროს გამომძიებელი ათვალიერებდა ქაღალდებს, რომელშიც იყო მენშევიკების მიმოწერა II ინტერნაციონალთან. ამან იგი დააინტერესა და დაარწმუნა, თითქოს იმ სახლში მცხოვრები ყველანი მენშევიკები ვიყავით... მე ვუთხარი მეორე ინტერნაციონალთან მიწერ-მოწერას ჩვენი ყოფილი მთავრობა აწარმოებდა, მე კი მათ პარტიას არ ვეკუთვნი და მხოლოდ არქეოლოგიას ვემსახურები-მეთქი".

ეროვნული განძეულის საქართველოს სსრ-ში დაბრუნების საკითხი დიდწილად გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ მეორე მსოფლიო ომში. ე. თაყაიშვილის სიტყვებით: „ამ გამარჯვებამ დიდი სახელი გაუთქვა საბჭოთა სახელმწიფოს... საფრანგეთში მასზე ლოცულობდნენ".

ამას თან დაერთო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორიც, რის გამოც ქართული საგანძურის დაბრუნება მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში აღმოჩნდა.

საფრანგეთის დე ფაქტო ლიდერს, გენერალ შარლ დე გოლს უთანხმოება ჰქონდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილთან. აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტს კი ორაზროვანი პოზიცია ეკავა. ამიტომ დე გოლისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო „დიდი სამეულის" ყველაზე გავლენიანი და ცბიერი წევრის, იოსებ სტალინის მხარდაჭერის მოპოვება. ამიტომ 1944 წლის დეკემბრის დასაწყისში დე გოლის ვიზიტი მოსკოვში მისთვის საფრანგეთის ხელმძღვანელის პოსტზე უპირობო აღიარების ტოლფასი იყო, ამიტომაც ის სტალინს განძეულის დაბრუნებაზე უარს როგორ ეტყოდა?

უფრო მეტიც, საბჭოთა დიქტატორს რომ მოენდომებინა, დე გოლი ქართველების არქივს კი არა, ჟორდანია-კედია-გეგეჭკორიანად საფრანგეთში მცხოვრებ ყველა ქართველ ემიგრანტს მიჰგვრიდა სტალინს. მით უფრო, რომ საფრანგეთის გათავისუფლების შემდეგ ქართველი ემიგრანტების დიდ ნაწილს (უპირველესად ლიდერებს) გერმანელებთან თანამშრომლობის ბრალდება ჰქონდათ წაყენებული და უმკაცრეს სასჯელს ბედზე გადაურჩნენ.

1945-1948 წლებში სტალინი ძველ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს უჩვეულოდ ლმობიერად ექცეოდა. მისი სურვილის შემთხვევაში ქართული ემიგრაციის ლიდერებს დაპატიმრება და საბჭოთა კავშირში გასამართლება არ ასცდებოდათ, ისევე როგორც რუს ემიგრანტებს: შულგინს, დოლგორუკოვს და სხვებს.

ჩვენი ვარაუდით, ამის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ საბჭოთა დაზვერვას ქართული ემიგრაციის ყველა ლიდერთან ერთი ან რამდენიმე აგენტი ჰყავდა მიჩენილი და ემიგრაციის გაკონტროლების და ინფორმაციის მიღების პრობლემა არ ჰქონდა. ამასთან, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ისეთი ორგანიზებული არ იყო და ისეთ პრობლემებს არ უქმნიდა საბჭოთა იმპერიას, როგორსაც რუსული და უკრაინული. მით უმეტეს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქართული ემიგრაციის სოციალ-დემოკრატიული ნაწილი, ჟორდანიასა და გეგეჭკორის მეთაურობით, ძალზე ლოიალური გახდა საბჭოთა კავშირის მიმართ. მათ „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს" და პოლიტიკური მოღვაწეობის შეწყვეტა საჯაროდ გამოაცხადეს. თუმცა სტალინისთვის ცნობილი გახდა, რომ ჟორდანია პირობას არღვევდა. ეს საიდუმლო ინფორმაცია ბრიტანელი აგენტისგან მოვიდა.



*საფრანგეთში ქართული ემიგრაცია ათწლეულების მანძილზე საბჭოთა დაზვერვის ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა*



*დიდი ქართველი მამულიშვილი ექვთიმე თაყაიშვილი*

1968 წელს უკვე საბჭოთა კავშირში მყოფმა ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცერმა, პარალელურად საბჭოთა აგენტმა კიმ ფილბიმ დაწერა მოგონებების წიგნი: „ჩემი საიდუმლო ბრძოლა“, რომელიც თავიდან ბოლომდე კა-გე-ბეს მეთვალყურეობით იქმნებოდა. ფილბი წერს, რომ ბრიტანეთის დაზვერვა პარიზში დაუკავშირდა ნოე ჟორდანიას და აგენტების მოძებნაში დახმარება სთხოვა.

1947 წელს სტამბოლში მყოფმა ფილბიმ ბრიტანეთის დაზვერვისაგან მიიღო შეტყობინება, რომ ჟორდანიამ პირობა შეასრულა და ორი აგენტი ინტენსიურ სპეცმომზადებას გადიოდა ლონდონში. თურქეთიდან ჯაშუშები ჯერ საბჭოთა ტერიტორიაზე შეუშვეს, ხოლო შემდეგ კი გაანადგურეს. ამ ქართველი პატრიოტი ბიჭების ვინაობა დღემდე უცნობია, თუმცა შესაძლებელია ქართული ემიგრაციის არქივის საიდუმლო ნაწილში მათზე რაიმე ინფორმაცია არსებობდეს. ამის შემდეგ სტალინის დავალებით საბჭოთა დაზვერვამ შეიმუშავა ხანში შესული ქართული ემიგრაციის ლიდერების (უპირველესად ნოე ჟორდანიასა და ევგენი გეგეჭკორის) მოტაცების სპეცოპერაცია, თუმცა ის სტალინის სიცოცხლეში არ ჩატარებულა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ლავრენტი ბერიამ ეს ოპერაცია, როგორც არაეფექტიანი და არაფრისმომტანი, გააუქმა.

საინტერესოა, რომ 1953 წლის სექტემბერში ბერიას ეს აბსურდული ბრალდებაც წაუყენეს: ვითომდა საბჭოთა მთავრობის ამ საიდუმლო გადაწყვეტილების გაუქმება ქართულ ემიგრაციასთან ბერიას საიდუმლო კავშირით იყო განპირობებული. მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ის ფაქტი, რომ სამშობლოში დაბრუნებულ მხცოვან მეცნიერსა და მოღვაწეს, ექვთიმე თაყაიშვილს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ნ. რუხაძემ აგენტები მიუჩინა. აგენტურულ ცნობებში ერთ-ერთი აგენტი „ბაგრატიონი“ იმდენად დაწვრილებით აღწერს მეცნიერის განწყობასა და ნაუბარს, რომ უეჭველად მასთან მიჩენილი „თანაშემწე“ უნდა იყოს. „მეგრელთა საქმის“ გამო 1952 წლის დასაწყისში თაყაიშვილიც დაჰკითხეს. მისი ჩვენებით ჟორდანია და გეგეჭკორი გახარებულნი ყოფილან ეროვნული განძეულის საქართველოში დაბრუნებით.

მთელი ეს მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა: 1930-1940 წლებში ეროვნული არქივის ხელში ჩაგდება საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის პრიორიტეტულ ამოცანას არ წარმოადგენდა. ჩვენი აზრით, 1945 წლის 11 აპრილს თბილისში ეროვნულ საგანძურთან ერთად დაბრუნებულ ექვთიმე თაყაიშვილს ეროვნული არქივი არ წამოუღია იმ მიზეზის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ეს არ მოუთხოვია.

## ეროვნული არქივი პარიზში

1921 წლის მარტიდან ეროვნული არქივი პარიზში, საფრანგეთის ეროვნული არქივის შენობაში ინახებოდა. ემიგრაციაში წასული მთავრობის დადგენილებით არქივის პატრონობა დავალებული ჰქონდა ემიგრაციაში მყოფი მთავრობის არქივისა და წიგნთსაცავის კომისიას: ე. გეგეჭკორის, კ. კანდელაკის, ა. ჩხენკელის, გ. ერაძის, ნ. ცინცაძისა და ს. ასათიანის შემადგენლობით. შემდგომ კომისიის დადგენილებით არქივისა და წიგნთსაცავის მომვლელ-შემნახველი კომისიის თავმჯდომარედ (გამგედ) დაინიშნა გიორგი ერაძე (1882-1971), რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ასრულებდა ამ მოვალეობას, კომისიის მდივნის მოვალეობა კი ზაქარია ჩიჩუას (1876-1952) ჰქონდა დაკისრებული.

1944 წლის 1-ელ აგვისტოს ეროვნული არქივი შესანახად ჩააბარეს პარიზის ერთ-ერთ ინსტიტუტს, რომლის სხვენშიც ომის დამთავრებამდე ინახებოდა 21 ყუთი. 1953 წლის 11 იანვარს ეროვნული არქივი ინსტიტუტიდან ძლიერ დასველებული გამოიტანეს. მიჩნეულია, რომ წვიმისგან დაზიანებული ეროვნული არქივის 20% სამუდამოდ განადგურდა, დანარჩენს ლევილში აშრობდნენ პრიმიტიული წესით. იქვე მოხდა არქივის სრული კატალოგიზაცია და შემდეგ ჩაბარდა საფრანგეთის ეროვნულ არქივს. იმავე წლის სექტემბრის დასაწყისში ეროვნული არქივის შემდგომი ბედის გასარკვევად გაიმართა ლევილში მყოფი მთავრობის საგანგებო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: კ. კანდელაკი, ე. გეგეჭკორი, ა. ჩხენკელი, გ. ერაძე, რ. არსენიძე, ნ. ცინცაძე. სხდომის დამსწრის სტატუსით იმყოფებოდნენ: ნ. იმნაიშვილი და ნ. ჟორდანიას მანდატით აღჭურვილი პირი მამია ბერიშვილი. სხდომაზე საიდუმლო და ძალზე მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღეს. გაგაცნობთ ამ უმნიშვნელოვანესი „სამოქმედო მანიფესტის“ ზოგიერთ ნაწილს (დოკუმენტის სტილი დაცულია):

„არქივი გამოხიზნულია საქართველოს რესპუბლიკის დამპყრობლებისგან მისი განადგურების თავიდან აცილების მიზნით და წარმოადგენს მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სრულ საკუთრებას;

აუცილებელია, რომ როცა დემოკრატიული საქართველოს შეეძლება მისი მიღება, არქივი უნდა დაუბრუნდეს მის ნამდვილ პატრონს – საქართველოს.

მაგრამ ამისთვის საჭიროა სიფრთხილე და დიდი დაკვირვება, რომ არქივი დაუბრკოლებლივ მივიდეს დანიშნულ ადგილზე;

ეროვნულ მთავრობას არქივი არ გაუყიდია და არასდროს გაუქირავებია კომერციული მიზნით, როგორც დღევანდელი მთავრობა ჭორებს ავრცელებს;

იმ დრომდე, სანამ არქივის გადაცემა არ იქნება ოფიციალურად გაფორმებული და სათანადო აქტით დადასტურებული, არც მთავრობის წევრებს და არც საარქივო კომისიას არა აქვს უფლება არქივის გადაცემის;

მომავალი დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ მანდატით მოსილმა კომისიამ, რომელიც არქივს მიიღებს, უნდა იდვას თავზე გარანტია, რომ არქივი ჩატანილი იქნება თბილისში პირდაპირ მოსკოვზედ გავლის გარეშე;

საბუთები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების, გარემოებისა და სიტუაციის გამო არ იქნება არსებული რეჟიმის სასარგებლო, არ უნდა იქნას განადგურებული, არამედ უნდა იქნას დაცული და შენახული ისტორიისათვის;

არქივის დალუპვისგან დაზღვევის მიზნით ყველა დოკუმენტი უნდა იყოს გადაღებული მიკროფილმზე და მიკროფილმების ასლები გადაეცეს საფრანგეთის სახელმწიფო არქივს, ჰარვარდის უნივერსიტეტის არქივს და ერთიც არქივის შემნახველ კომისიას;

იმ შემთხვევაში, თუ არქივის დოკუმენტების რამდენიმე ფურცელი აღმოჩნდება ისეთი, რომლების გამოყენება, მოსმენისადა მიხედვით არაა სასურველი ან ურთიერთდასმენა, ან ჯაშუშობის დაბრალება, მათი ოჯახების ერთმანეთზე დაპირისპირების ასაშორებლად ასეთი დოკუმენტები დროებით გვერდზე უნდა იქნეს გადადებული, რომლებიც ჯერჯერობით ხელთმიუწვდომელი იქნება გამოყენებისათვის".

დადგენილებას კომისიის შვიდივე წევრი აწერდა ხელს. 1958 წლის 22 მარტს საფრანგეთის ეროვნული არქივების გენერალურ დირექციასთან გაფორმდა ახალი ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერდნენ ა. ჩხენკელი და ს. ასათიანი. ამ დოკუმენტში განსაკუთრებით საინტერესო ორი მუხლია: არქივის დეპოზიტორებად დასახელებულნი არიან კანდელაკი, ჩხენკელი, ერაძე, ცინცაძე და ასათიანი. 1954 წელს გარდაცვლილი ევგენი გეგეჭკორის ნაცვლად კომისიაში ახალი წევრი რატომღაც არ შეუყვანიათ, მიუხედავად იმისა, რომ ამას „1953 წლის მანიფესტი" ითვალისწინებდა. მეორე გარემოება გაცილებით ბევრ კითხვას ბადებს. ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლად ჩაუწერიათ:

„30 წლის გასვლის შემდეგ არქივი იქნება გადაცემული თბილისის უნივერსიტეტზე". 1953 წლის დოკუმენტში მკაფიოდ დაფიქსირებული მოთხოვნა „დემოკრატიული რესპუბლიკის" შესახებ აქ უკვე აღარ ჩანს. რატომ და ვისი მოთხოვნით იქნა შეცვლილი საქართველოს სსრ-ში არქივის დაბრუნების ძირითადი პირობა?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ბესიკ ალადაშვილი**
**„სპეცსამსახურების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის საქართველოს ცენტრის" თავმჯდომარე**

*1930-1940 წლებში საქართველოს ეროვნული არქივის ხელში ჩაგდება საბჭოთა სპეცსამსახურებისთვის პრიორიტეტულ ამოცანას აღარ წარმოადგენდა*



ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო პალიტრა
FM 103.9

შენი სანდო თანამგზავრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლულიდან გასროლილი უპილოტო



**დაზვერვისა და ოპერატიული ინფორმაციის მოსაძიებლად უპილოტო საფრენ აპარატებს შეიარაღებული ძალების თითქმის ყველა სახეობის ჯარის დანაყოფი და აგრეთვე სასაზღვრო ძალები იყენებენ. შედარებით პატარა გაბარიტების უპილოტოების ნახვა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტშიც შეიძლება.**

ერთადერთი გამონაკლისი, სადაც უპილოტოების გამოყენება შეზღუდულია, ჯავშანსატანკო ნაწილებია.

კონსტრუქციულ თავისებურებათა გამო ტანკის ეკიპაჟს შეზღუდული ხედვის არე აქვს. პანორამული ვიზორებისა და სამიზნეების მიუხედავად, ხშირად ტანკების განადგურების მიზეზი მოწინააღმდეგის დაგვიანებით აღმოჩენაა. ეს განსაკუთრებით ქალაქის ბრძოლებში შეიმჩნევა, სადაც შენობათა სახურავებზე ან კუთხეში ჩასაფრებული მოწინააღმდეგის აღმოჩენისთვის პანორამული სამიზნეები უძლურია. გაშლილ ადგილზე მოძრაობისასაც სამიზნის დროულ პოვნაში ტანკის ეკიპაჟს ხელი შეიძლება რელიეფმაც (ბორცვები, ტყის მასივები) შეუშალოს.

ამ სირთულის დაძლევას ზოგიერთი ქვეყანა სატანკო ბატალიონებში უპილოტო საფრენი აპარატით აღჭურვილი ცალკეული დანაყოფის შეყვანით შეეცადა. სახიფათო რაიონთან მიახლოებისას ოპერატორები უპილოტოს ჰაერში უშვებდნენ და მიღებულ ინფორმაციას ტანკების ეკიპაჟებს გადასცემდნენ. გარკვეული ეფექტურობის მიუხედავად, მსგავსი სქემა სატანკო შენაერთის მობილურობა-ავტონომიურობას აქვეითებდა.

პრობლემის მოგვარება ყველაზე უკეთ იტალიელებმა მოახერხეს. კომპანია Oto Melara-მ შეიმუშავა სპეციალური კომპაქტური უპილოტო, რომლის გაშვება-გასროლა ტანკის ლულიდან ხდება. გარკვეულწი-

*იტალიური Horus-ი პირველი უპილოტოა, რომლის გაშვებაც ტანკის ლულიდან შეიძლება*




*იგივე უპილოტო ჰაერში ფრენის დროს*





*„სმერჩის“ რაკეტების პაკეტში ერთი რაკეტა უპილოტოთია აღჭურვილი, რომელიც რაკეტების შედეგებს აფიქსირებს და მომდევნო ზალპის კორექტირებისთვისაც გამოიყენება*




*„სმერჩის“ უპილოტო T-90-ის მაკეტი*




*XFC UAS-ის ტიპის უპილოტო ამერიკელებმა წყალქვეშა მდგომარეობაში მყოფი სუბმარინიდან გაუშვეს*

ლად გამოგონება ტანკის მართვადი ჭურვების (რაკეტების) კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა უშუალოდ სამიზნის განადგურებაში არ მონაწილეობს.

კომპოზიციური მასალებისგან დამზადებულ 2კგიან უპილოტოს 120 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხიდან დაბალი სიმძლავრის ფუჭი გასროლით უშვებენ. გასროლის შემდეგ Horus-ზე კორპუსის გასწვრივ დაკეცილი პროპელერი, ფრთები, საჭეები და კილი იშლება. ერთჯერადი გამოყენების უპილოტო (სიგრძე 0,9 მ, ფრთის გაქანი 1,65 მ) ლითიუმის აკუმულატორიდან იკვებება და ჰაერში ნახევარი საათი რჩება. Horus-ი მაქსიმალური 108 კმ/სთ-ში სიჩქარით დაფრინავს და ოპტიკურელექტრონული კამერა აქვს, საიდანაც ვიდეოგამოსახულება უწყვეტ რეჟიმში გადაიცემა.

მოცემული უპილოტო სატანკო დანაყოფის მეთაურისთვის და ოპერატიული სადაზვერო ინფორმაციის მიღების დამოუკიდებელი წყაროა. ამჟამინდელ კონფიგურაციაში Horus-ის შესაძლებლობები მხოლოდ ვიზუალური დაზვერვით შემოიფარგლება და სამიზნის მითითების ამოცანის შესრულება არ შეუძლია. გარკვეულწილად, ეს გარემოება ტანკებიდან მართვადი რაკეტების გამოყენებას ზღუდავს და მათი მეშვეობით პირდაპირი ხედვის არეალს მიღმა მყოფ სამიზნეთა განადგურება შეუძლებელია.

იტალიის თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით შექმნილი უპილოტო სამამულო წარმოების C1 Ariete-ს ტიპის ტანკებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა მისი გამოყენება ტანკსაწინააღმდეგო თვითმავალი დანადგარის Centauro-ს 120 მმ-იანი ქვემეხიდანაც შესაძლებელია.

ერთჯერადი გამოყენების უპილოტოები სულ უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს. „დიდი თანამოძმეებისგან“ განსხვავებით, კონტეინერებში მოთავსებული საფრენი აპარატები აეროდრომებს, სპეციალურ გამშვებ მოწყობილობებს და არც წინასასტარტო მომზადებას არ საჭიროებენ.

საბრძოლო მოქმედებებისას მოწინააღმდეგის პოზიციების დაზვერვას და ცეცხლის კორექტირებას არტილერიაც საჭიროებს. ფართობზე მოქმედების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად, დამიზნებაში კორექტივების შეტანა რეაქტიულ სისტემებსაც სჭირდება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სროლა დიდ (50 კმ და მეტი) დისტანციაზე წარმოებს. ამ მიზნით შეიმუშავეს რუსებმა T90-ის ტიპის უპილოტო საფრენი აპარატი, რომელსაც 300 მმ-იანი БМ-30 Смерч-ის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა ისვრის. კომპანია Оникс-ის ქმნილება 40 კგ-ს იწონის და მოწინააღმდეგის პოზიციების თავზე 20-30 წთ დაფრინავს.

უპილოტოს გასროლისთვის 9M534-ის ტიპის (მეორე ნიშნული 9M61) რაკეტა გამოიყენება. დაკეცილი T90 სპეციალურ კონტეინერში ინახება და რაკეტაში ამ სახით არის მოთავსებული. გასროლის შემდეგ, საჭირო მომენტში კასეტური პრინციპით შექმნილი რაკეტა ორ ნაწილად იშლება და სპეციალურ პარაშუტს კონტეინერი მასში მყოფი უპილოტოთი გარეთ გამოჰყავს. გარკვეულ სიმაღლეზე, კონტეინერს მოცილებულ საფრენ აპარატს ფიუზელაჟის გასწვრივ დაკეცილი ფრთები და ვერტიკალური ფრთასხმულობა ეშლება. უპილოტოზე პულსირებადი აირრეაქტიული ძრავაა გამოყენებული, ჰორიზონტალურად ფრენისას 100-150 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს.

3000 მ-ის სიმაღლემდე მოქმედი უპილოტო (სიგრძე 1,5 მ, ფრთის გაქანი 2,52 მ) სახმელეთო მართვის სადგურიდან მიღებული სიგნალებით იმართება და ვიდეოკამერით დანახულ გამოსახულებას მიწაზე ონლაინრეჟიმში გადასცემს. ერთჯერადი T90-ის სამოქმედო რადიუსი დაახლოებით 70 კმ-ს შეადგენს.

მოცემული კონცეფცია საკმაოდ პრაქტიკულია. უპილოტოთი აღჭურვილი ერთი რაკეტით „სმერჩის" გამშვებ პაკეტში დარჩენილი რაკეტების აფეთქების შედეგის დაფიქსირება და იმავდროულად, განმეორებითი ზალპისთვის დამიზნებაში საჭირო კორექტივების შეტანა შეიძლება.

თანამედროვე ტექნოლოგიები უპილოტოების წყალქვეშა ნავებიდან გაშვების შესაძლებლობასაც იძლევა. გასული წლის 5 დეკემბერს აშშ-ის ფლოტის წარმომადგენლებმა სუბმარინიდან უპილოტო საფრენი აპარატის გაშვების ფაქტი გაასაჯაროეს. 2013 წლის აგვისტოს დასაწყისში ჩატარებული ოპერაციის უნიკალურობა XFC UAS-ის ტიპის უპილოტოს წყალქვეშა მდგომარეობაში მყოფი ნავიდან გაშვებაში მდგომარეობს. წარმატებული სტარტი Sea Robin-ის სისტემის გამოყენებით შესრულდა. ეს უკანასკნელი სუბმარინიდან „ტომაჰავკის" ტიპის ფრთოსანი რაკეტის გაშვებისთვის გამიზნული კონტეინერის გამოყენებას ითვალისწინებს.

გამშვები პლატფორმის როლი Los Angeles-ის სერიის წყალქვეშა ნავმა Providence-მა შეასრულა. სუბმარინიდან კონტეინერის გასროლა, რომელშიც დაკეცილი უპილოტოა, სტანდარტული 533 მმ-იანი სატორპედო აპარატიდან ხდება. გამშვები კონტეინერიდან მოცილების შემდეგ სისტემა Sea Robin-ი წყლის ზედაპირზე ამოდის და ვერტიკალურ მდგომარეობას იღებს. ამავე პოზიციაში წყალქვეშა ნავიდან მიღებული ბრძანებით უპილოტო სტარტს იღებს.

პირველი საცდელი ფრენისას XFC UAS-მა ღია ზღვაში მყოფ ხომალდებსა და ნორფოლკში ამერიკულ საზღვაო ბაზას მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაცია გადასცა.

წყალქვეშა მდგომარეობიდან საოკეანო უპილოტოს გამოცდა მომავალში აშშ-ის ფლოტში წყალქვეშა ბაზირების მფრინავი სადაზვერვო საშუალებების ფართო გავრცელებას შეუწყობს ხელს.

დავალების შესრულების შემდეგ უპილოტო XFC UAS-ი კუნძულ ანდროსზე (ბაჰამის არქიპელაგი), აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზაზე დაეშვა.

კონტეინერი Sea Robin-ი და თავად დასაკეცფრთებიანი უპილოტო, აშშ-ის საზღვაო ფლოტის სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიისა და კომპანია Swamp Work-ის ერთობლივი პროექტია.

XFC UAS-ის პროგრამის პარალელურად ამერიკელები კიდევ ერთ წყალქვეშა ბაზირების უპილოტოზე მუშაობენ. 2009 წელს კომპანიებმა Northrop Grumman-მა და Boeing-მა თავდაცვის სამინისტროს „ოჰაიოსა" და „ვირჯინიას" სერიის წყალქვეშა ნავების Scan Eagle-ის ტიპის უპილოტოთი აღჭურვა შესთავაზა, რომლებსაც ფლოტი ხომალდებზე 2005 წლიდან იყენებს.

**ალექსანდრე აფაქიძე**




*დღეს ერთჯერადუპილოტოებს საზღვაო პლატფორმებიდანაც იყენებენ. კომპანია BAE Systems-მა საჰაერო ბაზირების საზღვაო ერთჯერადი უპილოტო Coyote ააწყო. დაკეცილი სადაზვერვო-საფრენი აპარატი ჰიდროაკუსტიკური ტივტივების კონტეინერში თავსდება. იწონის 5,9 კგ-ს, ფრთის გაქანი 1,47 მ-ია და ელექტროენერგიაზე მომუშავე ძრავით 139 კმ/სთ-ში სიჩქარით დაფრინავს.*

*Coyote-ის ფრენის ხანგრძლივობა 1 სთ-ია. მისი გამოყენება P-3 Orion-ისა და P-8 Poseidon-ის ტიპის თვითმფრინავებიდან, აგრეთვე, SH-60 Sea Hawk-ის ტიპის შვეულმფრენიდან შეიძლება.*








# PUMA



БМП-1-ის საშტატო შეიარაღებაში შედის 73 მმ-იანი ქვემეხი 2A28 და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ПКТ

# ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1

**ჯავშანტრანსპორტიორისა და ტანკის ნაზავს — ქვეითთა საბრძოლო მანქანას საიმედოობა და მარტივი კონსტრუქცია აქვს, რაც მის ექსპლუატაციას აადვილებს. ამიტომ არის, რომ ქვეითთა საბრძოლო მანქანების გარეშე თანამედროვე არმია წარმოუდგენელია.**

საბჭოთა **БМП-1** შეიქმნა როგორც მოწინააღმდეგის საბრძოლო მანქანების, მსუბუქი თავდაცვითი ნაგებობების, ცოცხალი ძალისა თუ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო გათვლების განადგურების საშუალება. მისი გამოყენება ჩაფიქრებული იყო ბირთვული იარალით მიყენებული დარტყმების შემდეგ ტანკებთან ერთად, როცა შეტევაზე გადასულ ჯავშანტექნიკას არტილერია საცეცხლე მხარდაჭერას უწევდა და მოწინააღმდეგის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს საპასუხო ცეცხლის გახსნაში ხელს უშლიდა.

1966 წელს საბჭოთა არმიამ შეიარაღებაში პირველი მოდელის ქვეითთა საბრძოლო მანქანა **БМП-1** მიიღო და მოტომსროლელი ქვედანაყოფების ერთი ნაწილი ბორბლებიანი ჯავშანტრანსპორტიორებიდან მუხლუხებიან **БМП**-ზე გადაჯდა.

**БМП-1**-ში ჯავშანტექნიკის კომპონირების კლასიკური სქემაა გამოყენებული: კორპუსის წინა ნაწილი ძრავასა და მართვის ორგანოებს, შუა — საბრძოლო ნაწილსა, უკან კი სადესანტო განყოფილებას უკავია.

ქვეითთა ჩასხდომა-გადმოსხდომისთვის კორპუსის კიჩოში ჩაყენებულია ორსაგდულიანი ლიუკი, რომელიც საწვავის ავზების მოვალეობასაც ასრულებს.

სადესანტო განყოფილებაში ქვეითები ერთმანეთის ზურგით სხედან, მათ ამბრაზურებიდან ბრძოლის ადგილების გაკონტროლება და საჭირო მომენტში ცეცხლის გახსნა შეუძლიათ.

**БМП-1**-ის შასიზე მრავალი სახის საბრძოლო და დამხმარე დანიშნულების ტექნიკა მზადდებოდა: სამეთაურო-საბრძოლო მანქანა (**БМП-1К**), სამეთაურო-საშტაბო მანქანა (**БМП-1КШ**), საბრძოლო-სადაზვერვო მანქანა (**БРМ-1К**), ჯავშნიანი სარემონტო-საევაკუაციო მანქანა (**БРМЭ-2**), მოძრავი სადაზვერვო პუნქტი (**ПРП-4М**) და სხვ.

ცივი ომის პერიოდში ტანკებთან [illegible] მედებისთვის შექმნილ **БРМ**-ებს მრავალ ლოკალურ ომსა თუ კონფლიქტში მოუწიათ მონაწილეობამ, სადაც სრულიად განსხვავებულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ამ მხრივ გამონაკლისს არც პოსტსაბჭოთა სივრცის და მათ შორის კავკასიური ომები წარმოადგენდნენ.

სანამ რუსები საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ჯავშანტექნიკის ოფიციალურ გადაცემას შეუდგებოდნენ, ზოგიერთ ქართულ ფორმირებას სხვადასხვა გზითა თუ საშუალებით მოპოვებული რამდენიმე **БРМ** უკვე ჰყავდა.

1992 წლის აგვისტოში კი ახალციხეში ქართველმა სამხედროებმა მიიღეს გაუქმებული რუსული მე-10 მოტომსროლელი დივიზიიდან 125 ერთეული **БМП-1**, რომლის ერთი ნაწილი ჩეხოსლოვაკიაში იყო აწყობილი.

რუსები ტექნიკის სწრაფად გაყვანას მოითხოვდნენ, ამის გამო კი მანქანებს წინასწარი მომსახურებისა და ეკიპაჟების მომზადების გარეშე გადმოსცემდნენ.

1992 წლის 10 აგვისტოს ახალციხეში სარკინიგზო პლატფორმებზე ტანკებსა და სხვა ტექნიკასთან ერთად ათი **БМП-1** დაიტვირთა და თბილისში გამოგზავნეს, მაგრამ გზაში მიღებული ახალი ბრძანებით მთელი ტექნიკა სამტრედიაში გადმოიტვირთა. შემდგომში ამ **БМП**-ებით ქართული ფორმირებები სამტრედიიდან აფხაზეთისკენ დაიძვრნენ.

1992 წლიდან საქართველოს ცენტრალურ ხელი-




*Cobra-S (სლოვაკეთი) — შეიარაღება: 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი 2A42, შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ПКТ, ოთხი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა Конкурс-М*

სუფლებასთან ომისთვის აფხაზები საფუძვლიანად ემზადებოდნენ. იანვარში ე. წ. აფხაზური შინაგანი ჯარის პოლკი ჩამოყალიბდა, რომლის განკარგულებაში მსუბუქი ჯავშანტექნიკა აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, ექვსი **БМП-1** აფხაზებმა გუდაუთის აეროდრომის მომსახურების ბატალიონიდან მიიღეს, მაგრამ 73 მმ-იანი ჭურვების ნაკლებობის გამო ზოგიერთ მანქანას დამატებით 57 მმ-იანი **С-5**-ის ტიპის უმართავი საავიაციო რაკეტული ჭურვების გამშვები 4-დან 10-მდე მიმმართველი დაუყენეს.

ომის მსვლელობისას აფხაზურ ფორმირებებს გაგრის აღების შემდეგ რუსეთიდან ჯერ ექვსი, ხოლო 1993 წლის აპრილში კიდევ ცხრა **БМП-2** დაემატა.

საბრძოლო მოქმედებებში **БМП**-ების გამოყენების მრავალი ეპიზოდი უკავშირდება 1992 წლის აგვისტო-ოქტომბერში გაგრაში მიმდინარე ბრძოლებს.

**შსს პოლიციის აკადემიის კურსანტთა ასეულის მებრძოლი ვაჟა ტაკაშვილი:**

*„1992 წლის აგვისტოში გაგრაში შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის კურსანტთა ასეული ერთი* **БРДМ-2**-*ით გაიგზავნა. ასეულის მეთაური პოლკოვნიკი შოთა ბითაძე იყო, ხოლო სხვა ფორმირებებს კოორდინაციას უწევდა მილიციის გენერალ-მაიორი გივი კვანტალიანი.*

*სექტემბრის პირველ რიცხვებში ფოთიდან ჯავშანტექნიკა ჩამოვიდა და მათ შორის იყო საბრძოლო-სადაზვერვო მანქანა* ***БРМ-1К 606****, რომელიც გაგრაში შტაბთან სამი დღე იდგა და უცოდინარობის გამო ვერავინ ვერაფერი გაუგო.*

*სამხედრო სავალდებულო სამსახური გერმანიაში საბჭოთა არმიის სადესანტო-მოიერიშე ბრიგადაში გავიარე და საბჭოთა ჯავშანტექნიკის ზოგიერთ ნიმუშს და მათ შორის საბრძოლო სადაზვერვო მანქანას კარგად ვიცნობდი.*

*მანქანას შეუძლია 3 ტონაზე მეტი მასის სამიზნის აღმოჩენა, ეკრანზე გამოტანა და ქვემეხი მას ავტომატურად უმიზნებს.*

*ახალშექმნილ ეკიპაჟში მე მძღოლ-მექანიკოსი ვიყავი. მანქანის მეთაური კურსანტი ალეკო დათეშაშვილი (ქუთაისის სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი მებრძოლი) და დამმიზნებელი კურსანტი სერგო დავიდოვი (ავლანეთის ომის მონაწილე) იყო. ჩვენი ეკიპაჟის მეოთხე წევრმა გოგიტა კიკნაძემ თავი დოსააფის მოსამზადებელი კურსებდამთავრებულად წარმოგვიდგინა, არადა, გაირკვა, რომ 18 წლის გოგიტა ომში მოხალისედ იყო წამოსული.*

*აფხაზების შემოტევის დროს ჩვენ* **БРМ**-*ით ძველი გაგზალი-ფოსტის რაიონში აღმოვჩნდით. რა მდგომარეობა იყო, არ ვიცოდით. კავშირი არ გვქონდა და პოზიციათა მდებარეობის დადგენასაც ვერ ვახერხებდით.*

*პოლიციის შენობასთან იდგა აფხაზების საბურავდაშვებული* **БРДМ-2**, *რომლის ტყვიამფრქვევი მუშაობდა და დავიდოვმა ზუსტი გასროლებით ჩააჩუმა.*

*ცენტრალურ ქუჩაზე (რუსთაველის პროსპექტზე) ჩვენკენ მომავალი* **БМП** *შევნიშნე, ბორტზე, მგონი,* **Апсны 01** *ეწერა... ჩვენ შორის დაახლოებით 700-800 მეტრი იქნებოდა. ჭურვები აღარ გვქონდა, ამიტომ ტარანზე წავედი.*

*ალბათ, 2-3 წამი იყო საჭირო, მაგრამ მოწინააღმდეგემ დაგვასწრო და ზედიზედ სამი ჭურვი გვესროლა. ჩვენი საბრძოლო მანქანა გაჩერდა, ამ დროს მოწინააღმდეგის* **БМП**-*ც მოგვადგა და მიბჯენით კიდევ ოთხჯერ გვესროლა“.*

აფხაზეთის ომის, განსაკუთრებით დასაწყისში, ქართულ ფორმირებებში **БМП**-ის მწყობრიდან გამოსვლის მთავარი მიზეზი ტექნიკისა და მისი შესაძლებლობების უცოდინარობასთან ერთად უდისციპლინობაც იყო. იყო შემთხვევები, როცა მებრძოლები **БМП**-ს პირადი მიზნით ან სამეურნეო დანიშნულებით იყენებდნენ, რაც ზოგჯერ ბოძთან ან ხესთან შეჯახებითა და ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლით მთავრდებოდა. კიდევ უფრო აღმაშფოთებელი იყო, როცა დაზიანებულ მანქანებს ეკიპაჟები საბრძოლო მასალებთან ერთად ტოვებდნენ.

**თემურ ჩაჩანიძე**

**ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაშლის შემდეგ რუსეთმა ჩვენს მეზობლებს აზერბაიჯანსა და სომხეთს საქართველოზე ბევრად მეტი შეიარაღება გადასცა.**

**აზერბაიჯანის განკარგულებაში აღმოჩნდა 1264 მსუბუქად დაჯავშნული საბრძოლო საშუალება БМП, БТР, БМД და სხვ.**

**ყარაბაღისთვის სომხებთან ომში აზერბაიჯანის არმიამ დაკარგა: 38 — БМП-1, 61 — БМП-2, 12 — БРМ-1 და 8 — БТР-70. გარდა ამისა, ჩამოიწერა მსუბუქად დაჯავშნული ტექნიკის 114 ერთეული.**

**თავის მხრივ, სომხეთს რუსებისგან 379-დან 442-მდე БМП, БТР და სხვა მსუბუქი ჯავშანტექნიკა აქვს მიღებული, რომლის ერთი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებიდან არის გატანილი.**

**ყარაბაღის ომში სომხეთის არმიის დანაკარგმა შეადგინა: 53 — БМП-1, 1 — БМП-2, 6 — БТР-60ПБ და 34 — БТР-70.**



*ShM vz.85 PRAM-S (ჩეხოსლოვაკია) — შეიარაღება: 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნი, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი НСВ-12,7 Утёс-ი და საჭიროების შემთხვევაში სამი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა Конкурс-М*







*BMP-1 (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — შეიარაღება: 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი 2A42, შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ПКТ, სამი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა Ingwe, 30 მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნი Vektor-ი*

**ჩეჩნეთის პირველ ომში გროზნოსთვის ბრძოლებში ფედერალური ჯარების განკარგულებაში БМП-1 მრავლად იყო.**

**ფედერალების ჯავშანტექნიკასთან საბრძოლველად ჩეჩნები ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით საფუძვლიანად იყვნენ მომზადებული, თითოეული БМП-ს წინააღმდეგ ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნის საშუალოდ 3-5 ჭურვი გამოიყენეს.**

**ამ დროს კი БМП-1-ის 73 მმ-იანი ქვემეხი შენობების ზედა სართულებისკენ ეფექტურ ცეცხლს არ იძლეოდა და ჭურვებსაც ფუგასური მოქმედება სუსტი ჰქონდა. ამიტომაც БМП-1-ების მოვალეობა ბლოკპოსტების დაცვითა და მოიერიშე ჯგუფების საბრძოლო მასალებით მომარაგებით შემოიზღუდა.**

**სპეციალისტთა დასკვნით, ჩეჩნეთის პირველ ომში მეტწილად БМП-ს დანაკარგს არასწორი გამოყენება იწვევდა.**



# უშიშარნი ზღვასა და ხმელეთზე

(დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N2, 2014)

## სანაპირო დაცვა

მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე ესპანელებმა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეს და Infantería de Marina-ს როგორც უცხო ნაპირებზე გადასხდომა, ასევე საკუთარის დაცვა დაავალეს. თუმცა, იმავდროულად 1990 წლიდან საზღვაო ქვეითების რაოდენობა გაანახევრეს.

დღეისთვის შემცირებული შემადგენლობის სამი ტერცია (თითოეული დაახლოებით ბატალიონის ტოლფასი) საზღვაო ქვეითთა სტრუქტურაში „თავდაცვითი ძალების“ (Fuerza de Proteccion) სახელით შედის და პასუხისმგებელია ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო ობიექტების უსაფრთხოებაზე. სანაპირო დაცვის ნაწილებში ჩამოყალიბებული სამხედრო-საზღვაო პოლიცია კი ქვეყნის სანაპირო ქალაქების სიმშვიდის საიმედო გარანტია.

ალსანიშნავია, რომ სანაპირო სიმაგრეების დაცვა უკავშირდება ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, რომლის შემდეგაც საზღვაო ქვეითები საზღვაო გვარდიად ჩამოყალიბდა.

## სიმაგრე დელ მოროსთვის მიღებული ბუზმენტები და ლამპასები

ხშირად კი უგებენ ადამიანები ომის შემდეგ მოწინააღმდეგეს ძეგლებს?

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ასეთი მემორიალის ნახვა ლონდონში, ვესტმინსტერის სააბატოში შეიძლება. უფრო მეტიც, გასული საუკუნის დასაწყისამდე ბისკაის უბეში პატარა დასახლება ნოხას მახლობლად ჩავლისას ყოველი ბრიტანული სამხედრო ხომალდი ქვემეხის გასროლით პატივს მიაგებდა კუბაზე პატარა სიმაგრის დამცველ ესპანელთა მეთაურის ხსოვნას.

შვიდწლიანი ომის დროს 1762 წელს ინგლისის ფლოტმა (44 ხომალდი, 14 ათასი ჯარისკაცი) ალყა შემოარტყა ჰავანას. სიმაგრე დელ მოროში, რომელიც




ჰავანის უბის შესასვლელს იცავდა, ესპანეთის ფლოტიდან მოხსნილი რამდენიმე ასეული საზღვაო ქვეითი იმყოფებოდა. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ ინგლისელები სიმაგრეს არ მოეშვებოდნენ, ესპანელები კი გრძნობდნენ, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლა მოუწევდათ.

ორი თვე ალყა არ მოხსნილა და ორმოცმა ათასმა ყუმბარამ მიწასთან გაასწორა სიმაგრის ზღუდეები, შემდეგ კი, როცა დასაცავი უკვე აღარაფერი იყო, გადარჩენილმა რამდენიმე ჯარისკაცმა სიმაგრის გასაღები ინგლისელებს ჩააბარა. ბოლო შემოტევის დროს სიმაგრის დამცველთა მეთაური ლუის ვისენტე ველასკო ისლა სასიკვდილოდ დაიჭრა. სწორედ მისი გმირობის ხსოვნაა უკვდავყოფილი ბრიტანეთის მთავარ ტაძარში.

ერთი წლის შემდეგ ესპანეთმა ლუიზიანის სანაცვლოდ კვლავ დაიბრუნა ჰავანა და დელ მოროს სიმაგრეც ალადგინა. მას შემდეგ ესპანეთის საზღვაო ქვეითთა ფორმას გამორჩეულობის ახალი ელემენტები — სახელოებზე ბუზმენტები და შარვალზე წითელი ლამპასები დაემატა.

საზღვაო ქვეითები ესპანეთის მეფისა და მისი ოჯახის პირად გვარდიელებად ითვლებიან. შესაბამისად, სამეფო რეზიდენციებს მუდმივად იცავს საზღვაო ქვეითთა საგანგებო ქვედანაყოფი — ასეული „ზღვა-ოკეანე“ (Compania "Mar Oceano" de la Guardia Real).

ბრიტანეთში კი, ტაუერში, სამუდამოდაა შენახული ციხესიმაგრე დელ მოროს გარნიზონის საბრძოლო ალამი.

**ჩვენი დოსიე:**

**აზორის კუნძულების ოპერაციაში ესპანეთის საზღვაო ქვეითთა ორი ახალგაზრდა ოფიცერი — მიგელ დე სერვანტეს საავედრა და ფელიქს ლოპე დე ვეგა — მონაწილეობდა.**

**აზორის კამპანიის დროს ეს ორი დიდი ესპანელი, ზოგი მონაცემით, ერთსა და იმავე ხომალდზე მსახურობდა.**

**ლეპანტოს ლეგენდარულ ბრძოლაში სერვანტესი გმირულად იბრძოდა და სააბორდაჟე ხიდურაზე დაჭრეს.**

**ლოპე დე ვეგა მეორედ 1588 წელს ჩაეწერა საზღვაო ქვეითთა რაზმში და დიდი არმადის შემადგენლობაში ინგლისის წინაალმდეგ წარუმატებელ ოპერაციაში მონაწილეობდა. იმ ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისათვის ორდენითაც დაჯილდოვდა. ეს ორდენი მის საპარადო პორტრეტზეა გამოსახული.**

## შავფორმიანი მეომრები

2012 წლის 12 იანვრის დილით აფრიკის რქის რაიონში სომალელი მეკობრეების ნავი, რომელშიც შვიდი კაცი იმყოფებოდა, ერთი შეხედვით სრულიად დაუცველ დიდ ხომალდს მიუახლოვდა. ნავიდან სააბორდაჟე კიბე ალმართეს და პანიკის დასათესად ავტომატების ცეცხლი გახსნეს. წუთიერი სიჩუმის შემდეგ გაისმა საპასუხო სროლები, რამაც თავდამსხმელები ვერც კი შეაკრთო. ორი მათგანი კიბეს დაეკიდა და ხომალდის ბორტზე ასვლას შეეცადა. მეკობრეებს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ჯერით შეუტიეს. მომხდურები წამით შეყოვნდნენ და გემზე ასვლას კვლავ შეეცადნენ.

საბოლოოდ მეკობრეები საქმის არსში მხოლოდ მაშინ გაერკვნენ, როცა მათ თავზე სამხედრო შვეულმფრენი გამოჩნდა და მეგაფონის საშუალებით დანებებისკენ მოუწოდა.

მეკობრეებმა შეთავაზება, რა თქმა უნდა, არ მიიღეს და მოკლე ორმხრივი სროლის შემდეგ გაცლას შეეცადნენ. ერთი მეკობრე გაქანებული ნავიდან გადავარდა, დანარჩენებმა წყალში საჩქაროდ გადაყარეს სააბორდაჟე კიბეები, საწვავით სავსე ავზები და იარაღი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხომალდიდან ზღვაში ჩაუშვეს რეზინის ნავი, რომელშიც შავით მოსილი შეიარაღებული ადამიანები და ექიმები ისხდნენ. უკანასკნელები ამ მომენტისათვის უფრო საჭირონი იყვნენ, რადგან ექვსივე სომალელი მეკობრე დაჭრილი იყო.

როგორც გაირკვა, სომალელები ადენის უბეში ევროკავშირის ქვეყნების სახომალდო დაჯგუფების (NAVFOR) ფლაგმანის უზრუნველყოფის გემის Patino-ს ხელში ჩაგდებას შეეცადნენ, რომელსაც ის-ის იყო, დასრულებული ჰქონდა გაეროს საყოველთაო სასურსათო პროგრამაში მონაწილე გემის სომალიში გაცილება და უკან ბრუნდებოდა.

ზოგიერთი Patino-ს კორვეტს უწოდებს, მაგრამ სინამდვილეში ის საბრძოლო ხომალდებს საწვავით, წყლითა და სხვა აუცილებელი საშუალებებით ამარაგებს, ოლონდ ამის უკან მცირეოდენი საიდუმლოც იმალება.

2002 წლის დეკემბერს ჩრდილოკორეული მშრალტვირთმზიდი Sosan-ი არ დაემორჩილა გაჩერების ბრძანებას, რის შემდეგაც ესპანური სამხედრო გემიდან

სნაიპერული შაშხანების ცეცხლი გაუხსნეს და ანძიდან ლეერები ჩამოუყარეს, რათა Patino-დან აფრენილ შვეულმფრენს სპეცრაზმელთა დესანტირებაში ხელი არ შეშლოდა. დაკავებული გემის ბორტზე ცემენტის ქვეშ რაკეტა Scud-ის 15 სრული კომპლექტი აღმოჩნდა.

მოგვიანებით იემენმა განაცხადა, რომ იარაღი მას ეკუთვნოდა და Sosan-ი გაათავისუფლეს, მაგრამ დარჩა კითხვა: ვინ იყვნენ ის შავფორმიანი მებრძოლები, რომლებიც ჩრდილოკორეელთა გემზე შვეულმფრენიდან გადასხდნენ?

ამ კითხვას პასუხი კარტახენაში, საზღვაო ქვეითთა ნაწილების იუბილეზე გაეცა, როცა ასტურიის პრინცმა საზღვაო ჯვრის ორდენი გადასცა ქვეითთა კაპიტან რაფაელ ლოპეს დე ანკა გარსიას. კაპიტანი და მისი საბრძოლო ჯგუფის ხუთი მებრძოლი საფრანგეთის მოქალაქე ეველინ კოლომბოს სომალელი მეკობრეების ტყვეობიდან გათავისუფლებისათვის დააჯილდოეს.

ერთი თვის შემდეგ პრინცი ისევ ეწვია სამხედრო ხომალდს და კაპიტან გარსიას შეხვდა. ამით პრინცმა საიდუმლოების საბურველი ჩამოაცილა ესპანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპეციალური ოპერაციების ახალი რაზმის (Fuerza de Guerra Naval Especial - FGNE) არსებობას. მიუხედავად სპეციფიკური ამოცანებისა, ეს რაზმი Infantería de Marina-ს განუყოფელი ნაწილია.

2009 წელს სპეცოპერაციების ახალი რაზმი FGNE ორი ქვეგანაყოფის — საზღვაო ქვეითთა სპეციალური ოპერაციებისა (UOE) და მებრძოლ მყვინთავთა (UEBC) რაზმების შეერთებით შეიქმნა.

ცნობილია, რომ რიგი ამოცანების გარდა, ესპანეთის საზღვაო სპეცრაზმის მოვალეობაა საეჭვო გემების დაკავება და მძევლების გათავისუფლება.

FGNE-ს შემადგენლობაში შედის ორი 11-კაციანი ჯგუფი, რომლებიც ადენის უბეში ესპანურ სამხედრო ხომალდებზე იმყოფებიან და მეკობრეთა თარეშის ალსაკვეთ ოპერაცია Atalanta-ში მონაწილეობენ.

ესპანურ საზღვაო სპეცრაზმელთა გასაიდუმლოებულ ღონისძიებებში შედის, მაგალითად, ოპერაცია EQUADOR-ი, როცა 1969 წელს ესპანეთის ყოფილი კოლონია ეკვატორიული გვინეიდან ესპანეთის მოქალაქეთა ევაკუაცია განხორციელდა. ასევე ალხუსემანავია ოპერაცია TABAIBA — 1970 წელს ესპანელების ევაკუაცია იფნიდან და მაროკოდან, TRIRON-ი — ევაკუაცია დასავლეთ საჰარიდან და სხვ.

UOE-ს რაზმები ესპანეთის შიგნით ტერორისტული ორგანიზაცია ETA-ს წინააღმდეგ ბრძოლაში სხვა ძალოვანი სტრუქტურების სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებთან ერთად აქტიურად გამოიყენება.

## ავღანეთი

დღეს ავღანეთი ერთადერთი ქვეყანაა დედამიწაზე, სადაც შეიძლება მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს საზღვაო ქვეითთა ნახვა და მათ შორის Infantería de Marina-ს მებრძოლებიც არიან.

ესპანური კონტინგენტი ავღანეთში (ASPFOR) წარმოდგენილია უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქვედანაყოფით — ტაქტიკური ავიაციის მართვის ჯგუფით (TACP/ACAF). მასში 30 სამხედრო შედის და რამდენიმე საბრძოლო ჯგუფად იყოფა. მათი მოვალეობაა: დაზვერვა, კოლონების ბადრაგირებისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ავიაციისათვის სამიზნეების აღმოჩენა და მათი კოორდინატების მითითება.

რამდენიმე წლის წინ ისინი მედგრად ებრძოდნენ თალიბებს, რისთვისაც სიმამაცით გამორჩეულებმა ესპანეთის უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს. მაგრამ ამასთან ერთად იყო შეცდომებიც, როცა 2007 წელს შინდანდის მახლობლად სამიზნის არასწორი მითითების გამო მრავალი მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა.

მიგელ სერვანტესისა და ლოპე დე ვეგას გარდა, Infanteria de Marina ამაყობს იმითაც, რომ მის რიგებში მსახურობდა ისტორიაში პირველი საზღვაო ქვეითი ქალი. 1973 წელს ესპანეთის საზღვაო ქვეითთა ერთერთ ასეულში ჩარიცხეს ვინმე ანტონიო მარიო დე სოტო. ხუთი წლის შემდეგ კი გაირკვა, რომ ანტონიო მარიო, სინამდვილეში ქალბატონი ანა მარია დე სოტო ყოფილა.

2012 წლისთვის Infanteria de Marina-ში 5427 მამაკაცი და 412 ქალი მსახურობდა, აქედან 513 ოფიცერი, 735 უნტერ-ოფიცერი და 4600 რიგითი იყო.



ესპანელ საზღვაო ქვეითებს მოწინააღმდეგე მიზანში ჰყავთ ამოღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა




*სლოვენიის ფირმა Pipistrel-ის ელექტროძრავით მფრენი Taurus G4*

# „სიამის ტყუპი"

ავიაციის დაბადების გარიჟრაჟზე აეროპლანები ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ვითარდებოდა და სხვადასხვა დანიშნულება ზოგჯერ განსხვავებული კონსტრუქციის თვითმფრინავს მოითხოვდა, ეს კი დიდ დროსა და ფინანსებს საჭიროებდა, ამიტომაც ზოგჯერ კონსტრუქტორები იმპროვიზაციას მიმართავდნენ. სწორედ ამ გზით შეიქმნა ორფიუზელაჟიანი თვითმფრინავები, რომლებსაც „სიამის ტყუპსაც" უწოდებენ.

ამ ტიპის საფრენ აპარატებს ერთმანეთთან ფრთის სექციით დაკავშირებული ორი იდენტური ფიუზელაჟი აქვს. მსგავსი კონცეფცია შედარებით მცირე ცვლილებებით იძლევა სრულიად ახალ საფრენ აპარატს, რომელსაც თითქმის ორჯერ გაზრდილი ტვირთამწეობა აქვს.

პირველ მსოფლიო ომში გერმანულმა დირიჟაბლებმა დიდი ბრიტანეთი დაბომბეს და სამეფო საადმირალომ დიდ სიმაღლეებზე ცეპელინებთან საბრძოლველად სპეციალიზებული თვითმფრინავის შექმნა გადაწყვიტა. ამოცანის გასამარტივებლად ახალი გამანადგურებლის შექმნას კონსტრუქტორებმა არსებულის გადაკეთება ამჯობინეს და ახალი Blackburn T.B. ორი სტანდარტული გამანადგურებლის „გადაბმით" მიიღეს. ორი იდენტური ფიუზელაჟი (პილოტის კაბინა ორივე მათგანს ჰქონდა) ერთმანეთთან ბიპლანის ფრთებით დააკავშირეს.

ახალი თვითმფრინავი ცაში 1915 წელს აფრინდა. შედეგით კმაყოფილმა საადმირალომ 9 აპარატი დაუკვეთა, მაგრამ გადაწყვეტილება ნაჩქარევი აღმოჩნდა. ორი ძრავის ჯამური სიმძლავრე არასაკმარისი იყო და ფრთების კონსტრუქციაც გაძლიერებას საჭიროებდა. თავად პილოტებიც თვითმფრინავით უკმაყოფილონი იყვნენ. დაშორებული ფიუზელაჟების კაბინებიდან ისინი ერთმანეთს ვერაფერს აგონებდნენ — აეროპლანებზე რადიოგადამცემები ჯერ არ გამოიყენებოდა.

Blackburn T.B.-ს გამოცდა 1916 წლამდე გაგრძელდა, რის შემდეგაც სამხედროებმა მასზე უარი თქვეს და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გაძლიერების სხვა მეთოდების ძიება დაიწყეს.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ჰიდროთვითმფრინავი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. საჰაერო პარამეტრებთან ერთად, მათთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი საზღვაო მახასიათებლებიც იყო.

ერთკორპუსიან ნავთან შედარებით კატამარანი წყალზე უკეთესი მდგრადობით გამოირჩევა. სწორედ ამ კონცეფციის გათვალისწინებით იტალიური ფირმის Savoia-Marchetti-ს კონსტრუქტორებმა ახალი მფრინავი ნავი, ორფიუზელაჟიანი S.55 დააპროექტეს.

ტორპედმზიდად და საზღვაო მზვერავად შექმნილი S.55 ცაში პირველად 1924 წელს აფრინდა. სახე-

ლი სიჩქარის 14 რეკორდით, ევროპასა და სამხრეთ ამერიკას შორის შესრულებული შორეული გადაფრენებით გაითქვა.

სსრკ 30-იან წლებში შეძენილ 6 იტალიური თვითმფრინავის სამოქალაქო მოდიფიკაციას შორეულ აღმოსავლეთში სამოქალაქო ავიარეისებზე იყენებდა. ორფიუზელაჟიანი თვითმფრინავის კორპუსები ტვირთსა და მგზავრებს ეთმობოდა, ხოლო ეკიპაჟის კაბინას ფიუზელაჟებს შორის ფრთაში იყო.

ორძრავიანი თვითმფრინავის სამხედრო ექსპლუატანტები იტალია, ბრაზილია და რუმინეთი იყვნენ. ეს უკანასკნელი 1S.55-ებს შავ ზღვაზე მზვერავებად იყენებდა. თვითმფრინავები ოთხი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევით იყო აღჭურვილი და სასარგებლო დატვირთვა 2 ათას კგ-ს შეადგენდა. ხის კონსტრუქციის მიუხედავად, თვითმფრინავი მაღალი საფრენოსნო მახასიათებლებითა და საიმედოობით გამოირჩეოდა. S.55-ების საბრძოლო გამოყენების მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა ბრაზილიის სამოქალაქო ომში დაფიქსირდა, — 1932 წელს ოთხმა თვითმფრინავმა მეამბოხეების პოზიციებზე მიიტანა იერიში.

კარგი საექსპლუატაციო მაჩვენებლების მიუხედავად, 30-იანი წლებისთვის თვითმფრინავი მოძველდა და მეორე მსოფლიო ომისთვის მწყობრში არც ერთი S.55 აღარ დარჩა.

მეორე მსოფლიო ომში გერმანია პირველი იყო, ვინც საბრძოლო მოქმედებებში საჰაერო დესანტი მასობრივად გამოიყენა. სადესანტო ჯარების განვითარებასთან ერთად, გერმანელები დესანტის გადასასხმელ საშუალებებზე, სატრანსპორტო თვითმფრინავებსა და სადესანტო პლანერებზეც მუშაობდნენ. 1941 წლისთვის მესამე რაიხში ერთდროულად ორ მძიმე სადესანტო პლანერს — Ju-322-სა და Me-321-ზე აპროექტებდნენ.

პარალელურად დღის წესრიგში შესაბამისი გამწევი საშუალების მოძიების საკითხი იდგა. „შლეპის-სამეულის“ — სამი ორძრავიანი Me-110-ის გამოყენება საკმაოდ სარისკო იყო და მფრინავებისგან დიდ ოსტატობას მოითხოვდა.

ახალი თვითმფრინავის შექმნას გერმანელებმა არსებულის გადაკეთება ამჯობინეს და „სიამის ტყუპის“ პრინციპით He-111-ის ტიპის ორი ბომბდამშენი შეაწყვილეს. ახალ He-111Z Zwiling-ში ორი სტანდარტული თვითმფრინავი ერთმანეთთან ფრ-



სამხედრო დანიშნულების ორფიუზელაჟიან ჰიდროთვითმფრინავებზე სსრკ-შიც მუშაობდნენ. 1934 წელს ცაში ტუპოლევის მონაწილეობით დაპროექტებული МК-1 (АНТ-22) (МК — „საზღვაო კრეისერი“) აფრინდა.

გიგანტური 6-ძრავიანი საფრენი აპარატი (ფრთის გაქანი 51,6 მ, სიგრძე — 24,1 მ, ცარიელის წონა — 22 340 კგ) მოწინააღმდეგის ხომალდებისა და სანაპიროს დამცავი ზღუდეების გასანადგურებლად შექმნეს. კატამარანის სქემის შერჩევა სწორედ წაყენებულმა საფრენოსნო-ტექნიკურმა (სასარგებლო დატვირთვა 6 ათასი კგ) და საზღვაო მოთხოვნებმა განაპირობა. ორი იდენტური ფიუზელაჟი ფრთის სექციითა და კუდის ფრთასხმულობით დააკავშირეს. პილოტების კაბინა ფიუზელაჟებს შორის ფრთაზე დამაგრებულ გონდოლაში განათავსეს.

თვითმფრინავის ერთადერთი ეგზემპლარის გამოცდა 1937 წლამდე გაგრძელდა. სამხედროებს არ მოსწონდათ МК-1, რადგან მრავალრიცხოვან ტექნიკურ პერსონალს საჭიროებდა, გარდა ამისა, წინასაფრენოსნო მომზადება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო, რაც საბრძოლო თვითმფრინავისთვის დაუშვებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა




White Knight Two-ს გამოცდის დასრულების შემდეგ, კონსტრუქტორ ბერტ რუტანის მორიგი ქმნილება — ორფიუზელაჟიანი თვითმფრინავი მსოფლიოში პირველ კერძო კოსმოდრომს მოემსახურება. „სიამის ტყუპის“ სქემის შერჩევა საფრენი აპარატის დანიშნულებამ განაპირობა.

ფიუზელაჟებს შორის სუბორბიტულ კოსმოსურ ხომალდ SpaceShipTwo-ს კიდებენ. მიწიდან ორივე ერთად ფრინდება. 14-16 კმ-ის სიმაღლეზე კოსმოსური ხომალდი მატარებელ „სიამის ტყუპს“ შორდება და საკუთარი რაკეტული ძრავით 110-130 კმ-ზე ადის. ამ სიმაღლეზე ხომალდში მყოფი 2 პილოტი და 6 მგზავრი უწონობას 6 წთ შეიგრძნობს. ამჟამინდელი გეგმა ხუთი SpaceShipTwo-სა და ორი White Knight Two-ს აწყობას ითვალისწინებს. კოსმოსში 6 წთ-ით გასეირნების მსურველებს ბილეთში 200 ათასი დოლარის გადახდა მოუწევთ.

თის ახალი სექციით „გადააბეს“ და „გადაბმის“ ადგილზე მეხუთე ძრავა დაამატეს. თვითმფრინავის ფრთის გაქანმა 35,4 მ შეადგინა. პილოტირება მარცხენა ფიუზელაჟიდან ხდებოდა.

He-111Z პირველად 1941 წელს აფრინდა და მალევე ლუფტვაფემ 10 აპარატი დაუკვეთა. მძიმე პლანერის Me-321-ის ბუქსირებისთვის „სიამის ტყუპი“ რაკეტული ამაჩქარებლებით ფრინდებოდა, ხოლო შედარებით პატარა სატრანსპორტო Go-242-ს კი ერთდროულად ორი პლანერის ბუქსირება შეეძლო.

თვითმფრინავის საბრძოლო დებიუტი 1942 წლის ზაფხულში მალტაზე საჰაერო-სადესანტო ოპერაცია „ჰერკულესში“ იყო დაგეგმილი, მაგრამ ოპერაცია არ შედგა.

ერთხანს „სიამის ტყუპისა“ და გიგანტური პლანერების გამოყენებას გერმანელები ბაქოში დესანტირებისთვის აპირებდნენ, მაგრამ შუალედური აეროდრომების არარსებობის გამო არც ეს ოპერაცია ჩატარდა.

პირველი საბრძოლო ფრენები He-111Z-მ ყირიმში შეასრულეს, სადაც თვითმფრინავებმა და ჩაბმულმა პლანერებმა დაჭრილები გამოიყვანეს.

1944 წლისთვის „სიამის ტყუპს“ პროფილი შეუცვალეს და სატრანსპორტო ფრენებზე გადაიყვანეს. გამოშვებული თვითმფრინავების მცირე რაოდენობის მიუხედავად (სულ 12 ცალი აიგო), He-111Z იმდენად ეფექტური და საიმედო გამოდგა, რომ მის ბაზაზე ბომბდამშენისა და მზვერავის შექმნა იყო ჩაფიქრებული, მაგრამ პროექტები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. 1942 წელს ამერიკულ საარმიო ავიაციაში ბომბდამშენების ესკორტირებისთვის შორი მოქმედების გამანადგურებლის აუცილებლობა გაჩნდა. შეიარაღებაში B-29-ის მიღებასთან ერთად ამის საჭიროებამ მეტი აქტუალურობა შეიძინა, რადგან ფრენის მთელ მარშრუტზე სტრატეგიული ბომბდამშენის გაცილებას P-51 Mustang-ის ახალი მოდიფიკაციებიც კი ვერ ახერხებდნენ. იმავდროულად, ერთადგილიანი გამანადგურებლის ექსპლუატაციამ 5-6 სთ-იანი ფრენების გამო პილოტები ძალზე გადაღალა. ამიტომ საჭირო იყო ეკიპაჟის შემადგენლობაში მეორე წევრის შეყვანა.

ორი განსხვავებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ფირმა North American-ის კონსტრუქტორებმა მარტივი გზა აირჩიეს და საუკეთესო გამანადგურებელ P-51-ის ორი ფიუზელაჟი საერთო ფრთით „გადააბეს“. სამხედროები პროექტით კმაყოფილნი დარჩნენ და 1944 წლის იანვარში გამოსაცდელად ოთხი ორადგილიანი „სიამის ტყუპი“ დაუკვეთეს. ახალი P-82 Twin Mustang-ის ფრენის სიშორე სტანდარტულ „მუსტანგთან“ შედარებით თითქმის 2-ჯერ გაიზარდა.

P-82 პირველად 1945 წლის აპრილში აფრინდა. თვითმფრინავის მართვა ორივე კაბინიდან შეიძლებოდა. თუმცა პილოტად მარცხენა ფიუზელაჟში მყოფი პირი ითვლებოდა, მარჯვენა კაბინა კი შტურმანს ჰქონდა დათმობილი და მის განკარგულებაში თვითმფრინავის დროებითი პილოტირებისთვის საჭირო აღჭურვილობა იყო მოთავსებული. შეწყვილებული „მუსტანგის“ შეიარაღება ექვსი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევისგან შედგებოდა.

1948 წელს ავიაციის მოყვარულები ამერიკელმა ინჟინრებმა ორიგინალური კონსტრუქციის, მაგრამ თითო-თითო ეგზემპლარად აწყობილი ორფიუზელაჟიანი თვითმფრინავებით — ERVO Twin Ercoupe-ითა და Piper Twin Cub-ით გააოცეს.

1951 წელს ახალი რეაქტიული ძრავების გამოსაცდელად ფრანგულმა Fouga-მ ექსპერიმენტული მფრინავი ლაბორატორია CM.88 Gemeaux შექმნა და ორი ცალიც ააწყო. საკმაოდ საინტერესო საფრენი აპარატი 1959 წელს კანადაში მოღვაწე ტყუპმა ძმებმა — დიტერ და მარტინ ცვილინგსბიბერგებმა ორფიუზელაჟიანი თვითმფრინავი მსუბუქი DHC-2 Beaver-ის ბაზაზე შექმნეს. წარმატებული სადემონსტრაციო ფრენების მიუხედავად, კანადური DHC-2ZB Twin Beaver-ის წარმოება მხოლოდ 5 აპარატის გამოშვებით შემოიფარგლა.

**ალექსანდრე აფაქიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აჭარის ფლოტი

**ახლა შეიძლება უცნაურადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ იყო პერიოდი, როცა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის გარდა კიდევ მესამე „ფლოტი“ ჰყავდა.**

**ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერით 1991 წლის მარტში ასლან აბაშიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა, ხოლო იმავე წლის ივლისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.**

**სამოქალაქო დაპირისპირების დროს ასლან აბაშიძემ აჭარაში ძალაუფლება ხელში აიღო და, ფაქტობრივად, რეგიონის ერთპიროვნულ მმართველად იქცა.**

საკუთარი უსაფრთხოებისთვის ასლან აბაშიძის მითითებით 1992 წელს აჭარის უშიშროების სამინისტროში სანაპირო დაცვის რაზმის ჩამოყალიბება დაიწყო, ზღვაზე ოპერაციებისთვის კი ბათუმის გემთსაშენი ქარხნიდან ნაცრისფრად შეღებილი სამი „აისტი“ მიიღეს.

4,74 ტ წყალწყვის „აისტებს“ საბჭოთა საზღვაო მესაზღვრეები აკვატორიის პატრულირებისთვის, მესაზღვრეთა განწესების გადასაყვანად და ტვირთის გადასაზიდად, აგრეთვე, საქმიანი მიმოსვლისთვის იყენებდნენ.

პროექტით „აისტი“ შეიარაღებას არ ატარებდა, მაგრამ აჭარის ლიდერის დაცვის მოთხოვნით კატარღებს ცხვირზე — 30 მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნი АГС-17, ხოლო კოკპიტში კი 12,7 მმ-იანი მსხვილკალიბრიანი ДШК-ს ტიპის ტყვიამფრქვევი დაუყენეს.

1993 წლის ნოემბერში აჭარის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით სანაპირო დაცვის რაზმმა აჭარის უშიშროების სამინისტროს სისტემაში ოფიციალური სტატუსი მიიღო და მეზღვაურები ხელფასებს ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან იღებდნენ.

რაზმის მოვალეობა ოფიციალურად საქართველოს საზღვრების დაცვა და კომერციული ნაოსნობის უსაფრთხოება იყო, ოღონდ ამ ამოცანების შესრულება აჭარაში დისლოცირებულ რუს მესაზღვრეებთან ერთობლივად განიხილებოდა.

ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს, 1993 წლის გაზაფხულზე, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალებმა ბათუმის გემთსაშენ ქარხანასთან „გრიფების“ გადმოცემის თაობაზე ხელშეკრულება გააფორმა.

გრაფიკის მიხედვით საზღვაო ძალებს ქარხნისგან შეიარაღების გარეშე ერთი კატარღა — 1993 წლის მაისამდე, ხოლო მეორე კი დეკემბრისთვის უნდა მიეღო.

1993 წლის აგვისტოში პირველი „გრიფის“ აგება მოულოდნელად შეჩერდა. ახლა ამის მიზეზის დადგენა ადვილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ კატარღა საზღვაო ძალებმა ვერ მიიღეს.

1995 წლის აგვისტოში პირველი ქართულდროშიანი სასაზღვრო-საპატრულო კატარღა N762 (შემდგომში ბორტო 102) აჭარის უშიშროების სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა.

1997 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით მეორე „გრიფის“ კორპუსის მშენებლობა გაგრძელდა და 1998 წლის ივლისში დასრულებული კატარღა N888 (შემდგომში ბორტი 104) ისევ აჭარის უშიშროების სამინისტრომ დაიტოვა.

1998 წელს აჭარის მთავრობის დაფინანსებით მესამე „გრიფის“ კორპუსზე (N809) მუშაობა განახლდა და 1999 წლის ივლისში „გრიფი“ (ბორტი 103) მწყობრში ჩადგა.

აჭარის სანაპირო დაცვის რაზმს ხელი რუსმა მესაზღვრეებმაც მოუმართეს და გასვლისას ბათუმში 2 „აისტი“ უფეშქაშეს. თბილისის მოთხოვნით კი რუსებმა საქართველოს ტერიტორიული წყლები 1998 წელს დატოვეს და იმავე წლის 16 ივლისიდან ქვეყნის საზღვაო საზღვრების დაცვას საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის კატარღები შეუდგნენ.

მაშინ პირველად დადგა აჭარული ფლოტის პრობლემა საკმაოდ მწვავედ და მისი მოგვარებისთვის თბილისს დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაშიძის იდეა ასეთი იყო: თუ საქართველო აჭარიდან რუსული ჯარებისა და მესაზღვრეების გასვლას მიაღწევდა, აჭარა, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, საზღვრებს თავად დაიცავდა.

1998 წლის 20 ივლისს ფოთიდან გამოსული 4 საპატრულო კატარღა მდინარე ჭოროხის შესართავთან საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის მახლობლად რეიდზე დადგა. მათ ბათუმიდან გამოსული აჭარის უშიშროების სამინისტროს საზღვაო რაზმის „გრიფი" დაადგა თავს და აჭარის ტერიტორიული წყლების დატოვება მოსთხოვა, რაც კიდევაც შესრულდა. მეორე დღეს ასლან აბაშიძემ საქართველოს სანაპირო დაცვის მეზღვაურების მოქმედებას „მეკობრული" უწოდა იმ მოსაზრებით, რომ აჭარის ტერიტორიულ წყლებში შესვლა აჭარის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას მოითხოვდა.

ცენტრსა და რეგიონს შორის წარმოქმნილი პრობლემა არცთუ მარტივი მოსაგვარებელი აღმოჩნდა და მძიმე მოლაპარაკებათა შედეგად 1999 წლის მიწურულისთვის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შემადგენლობაში აჭარის რეგიონული სამმართველოს ჩამოყალიბებით დასრულდა.

სამმართველოს დაქვემდებარებაში იყო სანაპირო დაცვის I დივიზიონი, რომელსაც საზღვაო საზღვრების გასაკონტროლებლად უშიშროების სამინისტროს საზღვაო რაზმის კატარღების ერთი ნაწილი გადაეცა. კატარღების მეორე ნაწილი კი უშიშროების სამინისტრომ შეინარჩუნა აჭარის ლიდერისა და სხვა უმაღლეს პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.


საბჭოთა პერიოდში ბათუმის საზღვაო ვაგზლის გემთსადგომებთან საბჭოთა საზღვაო მესაზღვრეთა კატარღები დგებოდნენ

თუმცა ორივე საზღვაო დანაყოფი მთლიანობაში მაინც ასლან აბაშიძეს ემორჩილებოდა და მისი პიროვნებიდან გამომდინარე, ფლოტის პრობლემა მაინც მოუგვარებელი დარჩა.

ქართველი საზოგადოებისთვის გარკვეულწილად დახურული აჭარის ფლოტის თემა რუსული მედიისათვის ხელმისაწვდომი იყო. 1999 წელს ჟურნალმა „სოლდატ უდაჩიმ" ბათუმური რეპორტაჟი დაბეჭდა, საიდანაც ზოგიერთი საინტერესო დეტალი გახდა ცნობილი, კერძოდ, ის, რომ საზღვაო დაცვის რაზმის შემადგენლობაში კატარღებთან ერთად საზღვაო ქვეითთა და წყალქვეშა მებრძოლთა დანაყოფები შედიოდა. გაირკვა, რომ აბაშიძე რაზმის რიგით მეზღვაურებს თვეში 7-10 დოლარს, ხოლო ოფიცრებს კი 80-100 დოლარს უხდიდა. კატარღების შეიარაღება რამდენიმე 12,7

ბათუმის დივიზიონის
P-103 სწავლების დროს





სამთავრობო კატარლა „ტორნადო II“




„ტორნადო I“



„შავი ზვიგენი“

მმ-იანი ტყვიამფრქვევისა და 23 მმ-იანი საზენიტო ავტომატის ЗУ-23-2-ისგან შედგებოდა, ხოლო სამომავლოდ აჭარის ბიუჯეტის ხარჯზე საპატრულო სარაკეტო კატარლების შეძენა იყო დაგეგმილი.

რამდენად გასწვდებოდა აჭარის ბიუჯეტი სარაკეტო კატარლების ყიდვას, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ კი ცხადი იყო — აჭარის ლიდერი რაზმის გაძლიერებასა და ახალი მცურავი საშუალებებით შევსებაზე ნამდვილად ფიქრობდა. თუმცა ყველაფერ ამას უპირველესად საკუთარი უსაფრთხოების მიზნით აკეთებდა.

1999 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ ასლან აბაშიძის პოლიტიკურმა ბლოკმა „აღორძინებამ“ აჭარის ფლოტი მილწევად წარმოაჩინა.

აჭარაში გამომავალი გაზეთი „საქართველოს აღორძინება“ ნიშნის მოგებით წერდა, იმ დროს, როცა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები არ ჰყავდა, აჭარის განკარგულებაში საზღვაო დივიზიონიაო. ასლან აბაშიძემ ფოთიდან ბათუმში სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის გადატანაც მოინდომა, რისთვისაც შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი და კარგად მოწყობილი შენობის გამოყოფას აპირებდა, მაგრამ ამ იდეას ცენტრალურმა ხელისუფლებამ მხარი არ დაუჭირა.

იმ წლებში სახელმწიფო ბიუჯეტში რეგულარულად გარღვევა იყო, სეკვესტრის გამო თავდაცვის ხარჯები მუდმივად მცირდებოდა და სამხედრო მოსამსახურეები ხელფასებს თვეობით ვერ იღებდნენ. ასლან აბაშიძე აჭარაში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილებსა და საზღვაო დაცვის რაზმის მოსამსახურეებს კი ხელფასს უხდიდა.

მართალია, აბაშიძემ საზღვარგარეთ სარაკეტო კატარლების შეძენა ვერ მოახერხა, მაგრამ საზღვაო დაცვის რაზმის შევსება ბათუმში აგებული ახალი პროექტის კატარლებით მაინც შეძლო.

2000 წელს რაზმს სწრაფსვლიანი კატარლა „ტორნადო I“ დაემატა. 31 ტ წყალწყვის „ტორნადოს“ საკმაოდ ძლიერი შეიარაღება ჰქონდა, რომელიც 23 მმ-იანი საზენიტო ავტომატის ЗУ-23-2-ის, 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევის ДШК-სა და 30 მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნ АГС-17-ისგან შედგებოდა.

რუსმა საზღვაო მესაზღვრეებმა ბათუმიდან გასვლისას თავიანთი ორი „აისტი“ ადგილობრივ სანაპირო დაცვის რაზმს დაუტოვეს




2003 წელს რაზმის შემადგენლობაში შევიდა უიარაღო „ტორნადო II“, ხოლო „ტორნადო I“ კი სანაპირო დაცვის I დივიზიონის დაქვემდებარებაში გადავიდა.

2000-იანი წლების დასაწყისისთვის სანაპირო დაცვის ბათუმის I სასაზღვრო დივიზიონის შემადგენლობაში შედიოდა: P-102, P-103 და P-104 (სამივე პროექტი 1400M); P-105 „ტორნადო I“ (პროექტი 18629); P-106 (პროექტი Dountless); P-0111, P-0112, P-0113, P-0114 და P-0115 (პროექტი 1398Б „აისტი“); P-0116 (პროექტი 13901 „სტრიჟი“);

სამთავრობო დაცვის სპეცრაზმის განკარგულებაში კი იყო „ტორნადო II“, რამდენიმე „შავი ზვიგენი“, ათამდე „სტრიჟი“ და კიდევ რამდენიმე სხვა სწრაფმავალი კატარლა.

წლების განმავლობაში დაგროვილი თბილის-ბათუმის ურთიერთპრეტენზიები 2004 წლის აპრილში აშკარა დაპირისპირებაში გადაიზარდა.

დივიზიონის მეზღვაურებს სახელმწიფოებრივი აზროვნება აღმოაჩნდათ და ამის ერთ-ერთი პირველი მაგალითი კატარლა P-103-ის ეკიპაჟმა აჩვენა.

2004 წლის 26 აპრილს, გამთენიისას, ბათუმის ნავსადგური P-103-მა დატოვა და მისმა მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა ევგენი პაპუნიძემ, კატარლა ფოთში გადმოიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, აჭარის ავტონომიის მაშინდელი ხელმძღვანელობა ამას არ აპატიებდა და ბათუმში დარჩენილი ეკიპაჟის ოჯახებსაც არანაკლები საფრთხე ემუქრებოდათ.

ბოლოს გონიერებამ გაიმარჯვა და ასლან აბაშიძის გაქცევით აჭარის ფლოტის პრობლემა მოიხსნა. იმედია, საერთოდ აღარც დადგება.





1999 წელს ბათუმში გადაღებულ ფოტოებზე პირველად აღიბეჭდა აჭარის სანაპირო დაცვის რაზმის „გრიფის“ შეიარაღება



საბჭოთა პერიოდში ბათუმის საზღვაო ვაგზლის მახლობლად საბჭოთა საზღვაო მესაზღვრეთა ოჩამჩირის მე-6 ბრიგადის ერთ-ერთი დივიზიონის (ს/ნ 2372 Б) კატარლები იდგნენ.

90-იანი წლების დასაწყისისთვის დივიზიონის განკარგულებაში 5 „გრიფი“, 3 „აისტი“, 1 „ვოლგა“, სარეიდო და კიდევ ორი კატარლა იყო.

დამოუკიდებელ საქართველოში რუსი მესაზღვრეების ყოფნა ინციდენტებით აღინიშნა, რის გამოც თბილისი მეგობარ ქვეყნებთან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1996 წლის 4 დეკემბერს რუსმა მესაზღვრეებმა რუსეთიდან მიღებული სიტყვიერი განკარგულების საფუძველზე ბათუმის პორტში დააკავეს უკრაინული გემის „ალმაზის“ ეკიპაჟი, მეზღვაურები ერთი კვირა დაპატიმრებული ჰყავდათ, ვიდრე რუსეთში არ გადაიყვანეს.

1997 წლის 12 თებერვალს ბათუმის მახლობლად ოთხმა თურქულმა სეინერმა თევზჭერის მიზნით საქართველოს საზღვარი დაარღვია. რუსულმა საპატრულო კატარლამ სეინერების დაკავება სცადა და როცა ეს ვერ შეძლო, ცეცხლი გახსნა, რასაც ერთი თურქი მეთევზის სასიკვდილოდ დაჭრა მოჰყვა.

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორის მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა ალექსანდრ მანილოვმა მაშინ განაცხადა, რომ მესაზღვრეები კანონიერად მოქმედებდნენ.

ედუარდ შევარდნაძემ კი რუს მესაზღვრეთა მოქმედება დაგმო და აღნიშნა, რომ ადამიანის სიცოცხლე ერთ ტონა თევზად არ შეიძლება შეფასდეს.

ორივე შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება რუსებმა საქმის კურსში დაგვიანებით ჩააყენეს.

თემურ ჩაჩანიძე



# გონიო-აფსაროსი

მას შემდეგ, რაც რომმა აღმოსავლეთის ქვეყნები დაიპყრო და უზარმაზარი იმპერია შექმნა, დღის წესრიგში დადგა დაპყრობილი ტერიტორიების დაცვისა და ამ ტერიტორიებზე დასაყრდენი პუნქტების — სამხედრო-სტრატეგიული სიმაგრეების მშენებლობის საკითხი.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რომაული ციხესიმაგრეები (კასტელუმები), ძირითადად, შავი ზღვის სანაპირო ზოლში აშენდა ახ. წ. I ს-ის II ნახევარში. კასტელუმები გარდა იმისა, რომ იცავდნენ რომის იმპერიის საზღვრებს ჩრდილოელ მომთაბარე ტომთა თავდასხმებისაგან, აწესრიგებდნენ უსაფრთხო ვაჭრობასა და ზღვაოსნობას, ამასთან, უზრუნველყოფდნენ ეგრისსა და საერთოდ, კავკასიაში რომაელთა პოლიტიკური გავლენის განმტკიცებას.

რომაელებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნეს ერთიანი და კარგად ორგანიზებული თავდაცვითი ხაზი — გონიო-აფსაროსის, ფაზისის (ფოთის), დიოსკურია-სებასტოპოლისის (სოხუმის), ბიჭვინთის კასტელუმების სახით.

გონიო-აფსაროსი კოლხეთის ზღვისპირა ზოლში რომაული კასტელუმებიდან ყველაზე სამხრეთით მდებარეობს. მის დაარსებას ზემოთ მოყვანილი მიზეზების გარდა, სხვაც ჰქონდა. კერძოდ, აფსაროსი ზურგიდან იცავდა ტრაპეზუნტს, საიდანაც გადიოდა ძირითადი მაგისტრალები სომხეთისა და სპარსეთისაკენ. გარდა ამისა, ტრაპეზუნტი იყო რომაელთა უმნიშვნელოვანესი პორტი, საიდანაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული კასტელუმები იარაღით, სურსათ-სანოვაგითა და ჯარისათვის საჭირო ყველა საშუალებით მარაგდებოდა. აფსაროსი აკონტროლებდა როგორც შიდა კოლხეთისაკენ მიმავალ გზებს, ისე ჭოროხის ხეობას, საიდანაც შეიძლებოდა გადასვლა იბერიაში, სომხეთსა და სპარსეთში.

ქართულ წყაროებში გონიოდ ცნობილი ციხე ბერძენი მწერლების თხზულებებში აფსაროსად მოიხსენიება.

პროკოფი კესარიელი (VI ს.) ციხის სახელს არგონავტების კოლხეთში მოსვლას უკავშირებდა. როცა იაზონის რაზმმა მედეას დახმარებით კოლხეთის სამეფოდან ოქროს საწმისი გაიტაცა და „არგოთი" გეზი ელადისაკენ აიღო, მეფე აიეტმა მათ დაადევნა ფლოტი, რომელსაც ტახტის მემკვიდრე აფრისტე სარდლობდა.

კოლხები „არგოს" ჭოროხის შესართავთან წამოსწევიან. მედეას რჩევით იაზონს აფრისტე გემზე მიუნვევია და მოუკლავს. ბერძნებს გვამი დაუნაწევრებიათ და მდევართა შეყოვნების მიზნით ზღვაში თანდათან ყრიდნენ. კოლხებს აფრისტეს სხეულის ნაწილები შეუკრებიათ და დაუკრძალავთ იმ ადგილას, სადაც ახლა აფსაროსის (გონიოს) ციხე დგას. პროკოფი კესარიელის თქმით, კოლხები აფრისტეს საფლავსაც უჩვენებდნენ ციხის აღმოსავლეთ ნაწილში.

აფსაროსის გვიანდელი სახელწოდებაა გონიო, გონია. ზოგიერთი ამ სახელს უკავშირებს შავიზღვისპირეთში გენუელების მიერ დაარსებულ სავაჭრო ფაქტორიას. სხვა მოსაზრებით სახელწოდება ზანური წარმოშობის უნდა იყოს — „წყარი გონიას ორთუ", რაც ნიშნავს „მდინარე ადიდებულა, ბრუნავს, მორევს აკეთებს".



ძველი წყალსადენი სისტემის ნაშთები



აფსაროსით მეცნიერები ჯერ კიდევ XIX ს-ში დაინტერესდნენ. მის არქეოლოგიურ გათხრას აპირებდა ლეგენდარული ტროისა და მიკენის აღმომჩენი ჰენრიხ შლიმანი, მაგრამ გართულებული კომერციული საქმიანობის გამო შლიმანს რუსეთის საიმპერატორო კარისაგან გათხრებზე დასტური ვერ მიუღია.

აფსაროსის ციხე მდებარეობს მდ. ჭოროხის შესართავის მახლობლად, თანამედროვე სოფელ გონიოსთან, ბათუმი-სარფის ავტომაგისტრალის პირას. გეგმით კვადრატული (222X195 მ) ციხის კედლებში ჩაშენებულ 22 კოშკს შესასვლელები მხოლოდ შიდა მხრიდან ჰქონდა, როცა თავად ციხეში შემოსვლა ოთხივე მხრიდან იყო შესაძლებელი.

რომაელი ისტორიკოსის, გაიუს პლინიუს სეკუნდუსის ცნობით, ახ. წ. 77 წ. აფსაროსი უკვე მოქმედია.

131 წ.-ს იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) დავალებით კაპადოკიის მმართველმა ფლავიუს არიანემ იმოგზაურა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რათა იმპერატორისათვის წარედგინა ანგარიში ზღვისპირეთში განლაგებულ რომაულ სამხედრო ძალებში არსებული ვითარების შესახებ.

არიანე მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ აფსაროსში იდგა 5 კოჰორტა (დაახ. 1200-1500 მეომარი). არიანეს ხელფასი დაურიგებია ჯარისკაცებისათვის, დაუთვალიერებია მეომართა შეიარაღება, ციხის კედლები და ციხის გარშემო არსებული დამცავი თხრილი, მოუნახულებია ავადმყოფები, შეუმოწმებია პურის მარაგი და სხვ.

არიანეს მონათხრობით ირკვევა, რომ კასტელუმისათვის აუცილებელი ნაგებობების გარდა (პრეტორიუმი – სამხედრო შენაერთის მეთაურის რეზიდენცია; პრინციპია — სამხედრო ბანაკის ადმინისტრაციული ცენტრი და სხვ.) ციხის ტერიტორიაზე ყოფილა სამხედრო ლაზარეთი, იარაღისა და მარცვლეულის შესანახი საწყობები. ციხეს მძლავრი კედლების გარდა თხრილიც იცავდა.

კასტელუმის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრებისას გამოვლინდა რომაელ მეომართა ყაზარმები, შედარებით პატარა აბანო, რომლითაც, ალბათ, მაღალი რანგის სამხედრო პირები სარგებლობდნენ და მოზრდილი აბანო, რომელიც ჯარისკაცთათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.



ციხის მახლობლად აღმოჩენილი I-II საუკუნით დათარიღებული განძი



ციხის ტერიტორია დაქსელილი ყოფილა წყალგაყვანილობის რთული სისტემით. გათხრებისას მრავლადაა აღმოჩენილი I-III სს-ის ამფორები, დამზადებული შავი ზღვის აუზის სხვადასხვა სავაჭრო-სახელოსნო ცენტრში. ამფორებით გარნიზონის საჭიროებისათვის სხვადასხვა პუნქტიდან შემოდიოდა ღვინო, ზეითუნის ზეთი და სხვა აუცილებელი პროდუქტი.

ციხეში მოპოვებული საბრძოლო იარაღიდან აღსანიშნავია შედარებით პატარა ზომა-წონის (50-370 გ) შურდულის ქვები და ლოდსატყორცნი მანქანების მოზრდილი (0,5-3 კგ) ქვის ჭურვები. ყველა ჭურვი გამოთლილია ადგილობრივი ქვისგან. ჩანს, აფსაროსს მძლავრი კედლებისა და თხრილის გარდა, ქვის სატყორცნი მანქანები — ბალისტები და ონაგრებიც იცავდა.

კასტელუმში აღმოჩენილია რომაელი იმპერატორების: ტიბერიუსის (14-37 წწ.), ნერონის (54-68 წ.), ვესპასიანეს (69-79 წწ.), ტიტუსის (79-81 წწ.), დომიციანეს (81-96 წწ.), ადრიანეს (117-138 წწ), ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.), კარაკალას (211-217 წწ.), ავრელიანეს (270-275 წწ.) და სხვათა მონეტები, რომლებითაც აფსაროსში მდგარ რომაელ ჯარისკაცებს, ალბათ, ხელ-

ფასს უხდიდნენ. ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გამოვლინდა რომაული მონეტების განძი, რომელიც სავარაუდოდ 213 წლის შემდგომ დაფლეს. ეტყობა, ფულის პატრონი რომელიღაც ბრძოლაში დაიღუპა და განძის შენახვის ადგილი 18 საუკუნის განმავლობაში საიდუმლოდ დარჩა, ვიდრე ის არქეოლოგებმა არ აღმოაჩინეს.

ციხის დამცავი კედლების გარეთ აღმოჩნდა ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც უნდა ეკუთვნოდეს სამხედრო სამსახურიდან უკვე გადამდგარ ვეტერან ლეგიონერებს. სამსახურის დამთავრების შემდეგ, ისინი უპირატესად კასტელუმებთან ახლოს სახლდებოდნენ, რათა თავი უფრო დაცულად ეგრძნოთ. ვეტერანები ქმნიდნენ ოჯახებს და მიწათმოქმედებით თუ ვაჭრობა-ხელოსნობით ირჩენდნენ თავს (ვეტერანთა ერთი ამგვარი დასახლება ყოფილა ფასისის ციხესიმაგრესთან. არიანეს ცნობით ფასისის გარშემო მდებარე ადგილები „დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებითა და ვაჭრებით").

აფსაროსი ფუნქციონირებას წყვეტს IV ს-ის პირველ ნახევარში, რომის იმპერიის დაშლა-დასუსტებასთან ერთად. ამას თან დაერთო ციხეზე ბარბაროსთა შემოტევები. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ციხესიმაგრე IV ს-ის II ნახევრიდან VI ს-ის პირველ ნახევრამდე მიტოვებული და გაპარტახებულია.

VI ს-ის II ნახევარში აღმოსავლეთ რომის იმპერია — ბიზანტია ცდილობდა გაბატონებული მდგომარეობა მოეპოვებინა ეგრისის სამეფოზე და საერთოდ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე. საამისოდ ბიზანტიას შესაფერისი ციხესიმაგრეები სჭირდებოდა. სტრატეგიული თვალსაზრისით ამ მხრივ აფსაროსი ზედგამოჭრილი იყო.

პროკოფი კესარიელის ცნობით, VI ს-ის პირველ ნახევრისათვის აფსაროსი დანგრეული სიმაგრეა. თუმცა, იგივე ავტორი მიუთითებდა, რომ რომაელთა ბატონობის ხანაში აფსაროსი ყოფილა ძლიერი ციხე, რომელსაც ჰქონია თეატრი და იპოდრომი, სადაც მეომრები სხვადასხვა ასპარეზობას მართავდნენ.

ბიზანტიელებმა ეგრისში მოძალების კვალობაზე აფსაროსიც აალორძინეს და ის კვლავ აქციეს მნიშვნელოვან სიმაგრედ — აღადგინეს ციხის კედლები და კოშკები, ციხის შიგნით ააგეს ახალი ნაგებობები, განაახლეს წყალმომარაგების სისტემა და სხვ. ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამფორების მიხედვით ირკვევა, რომ ბიზანტიელები სისტემატურად ამარაგებდნენ გარნიზონს სურსათ-სანოვაგით. ბერძნები აფსაროსში VII ს-ის პირველ ნახევრამდე ჩანან. ამის შემდეგ ციხე ისევ კარგავს თავის ფუნქციას.

განვითარებულ შუა საუკუნეებში, როცა საქართველო ძლიერების ზენიტს აღწევს, გონიო-აფსაროსი კვლავ მიტოვებული პუნქტია. ჩანს, ერთიანი საქართველოს სტრატეგიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრების უფრო სამხრეთით გადანაცვლებამ მისი მნიშვნელობა გააუფასურა. გონიოს ციხის აღორძინება XVI ს-დან იწყება. ოსმალების მიერ აჭარის დაპყრობის შემდეგ მათ რომაულ-ბიზანტიური ციხის ნანგრევებზე ახალი სიმაგრე ააგეს და ის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში თავიანთ საყრდენად აქციეს.

**დავით მინდორაშვილი**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი**



*კოლხეთის ზღვისპირა ზოლის რომაული კასტელუმებიდან გონიო-აფსაროს ყველაზე სამხრეთი მდებარეობა ეკავა*



# ქართველების ლატვიელი ადმირალი სიძე



ბათუმი. 1918 წლის ადრეული გაზაფხული. ზღვისპირა რესტორნის ფანჯრებს მზის სხივები ჯერ კიდევ გაუბედავად ელამუნებოდა.

სუფრას იმ არეულ დროს სასწაულად შემორჩენილი შამპანურის რამდენიმე ბოთლი ამშვენებდა.

— ბატონებო! ჩვენს მეგობარს და სიძეს, ბ-ნ თეოდორ სპადეს და ქ-ნ ნადეჟდას გაუმარჯოს! — მიმართა სუფრასთან მსხდომ ქართველ ოფიცრებს შალვა მახარაძემ, პირველი მსოფლიო ომის გმირმა, რომლის მკერდს იმპერიის ოთხი ჯვარი ამშვენებდა.

ჩინ-მედლები არც სხვებს აკლდა, მათ შორის სადღეგრძელოს ადრესატს — თეოდორს. მის გვერდით, ულამაზესი ნადეჟდა შველიძე ამაოდ ცდილობდა დაეფარა ოფიცერთა ყურადღებით გამოწვეული უხერხულობა და სიყვარულით შესცქეროდა თავის რჩეულს.

სუფრასთან ისხდნენ: საზღვაო ოფიცერი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელთანაც სპადეს ბალტიის ფლოტიდან ადრეული ნაცნობობა აკავშირებდა. მას გვერდს უმშვენებდა შალვას მეგობარი და თანამებრძოლი, ავსტრიის ფრონტიდან ახალდაბრუნებული გვარდიის მეტყვიამფრქვევეთა რაზმის უფროსი მიხაკო გოგუაძე და ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მომავალი გმირი ვლადიმერ გოგუაძე. ასევე საპატარძლოს რამდენიმე ნათესავი.

ალექსანდრემ თეოდორს მეგობრულად ხელი გადახვია და უთხრა:

— შენი ნათესავები აქედან შორს არიან, მაგრამ არა უშავს, ჩვენ ხომ ზღვამ დაგვანათესავა და შენი მეჯვარე მე ვიქნებიო.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს, — დასჭექეს ულვაშდაწკეპილმა ოფიცრებმა და ერთსულოვნად შესვეს მართლაც ულამაზესი წყვილის სადღეგრძელო. ბაფთიანმა გიტარამაც არ დააყოვნა და ქეიფს მონატრებული ომგამოვლილი ქალაქი იმედის საამო ჰანგებმა მოიცვა.

საყოველთაო ქაოსით მოცულ ქალაქში, რა დროს ქეიფიაო, მით უმეტეს, ქორწილიო, იტყოდა მავანი, მაგრამ როდესაც ამ დიდებულ წყვილს შეხედავდა, უმალ რწმუნდებოდა ამ არგუმენტის უსუსურობაში.

ვინ იყო თეოდორ სპადე და რა აკავშირებდა მას საქართველოსთან?

* * *

ლატვიის ეროვნული გმირი, ადმირალი თეოდორ სპადე დაიბადა ქალაქ ვენტსპილსში 1891 წლის 7 მარტს მეთევზის ოჯახში. რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა პეტერბურგში, საზღვაო კადეტთა კორპუსში განაგრძო და პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ბალტიის ფლოტში მიჩმანად ჩაირიცხა, შემდეგ სამსახური შავი ზღვის ფლოტში გააგრძელა.

ახალგაზრდა ლატვიელი ოფიცრის სამსახური შავ ზღვაში სახაზო ხომალდ „იოან ზლატოუსტზე" დაიწყო და ნალმოსნებზე „სვირეპსა" და „სტრემიტელნიზე" გაგრძელდა.

საქართველოს ძირძველი ლაზეთის სანაპიროსთან ოპერაციების დროს რუსულ ხომალდებს ხშირად უწევდათ ბათუმში ყოფნა, სადაც თეოდორმა ნადეჟდა გაიცნო.

დაიწყო 1917 წელი და იმპერიას თებერვლის რევოლუციურმა ტალღამ გადაუარა. შეირყა და მოიშალა ის სამხედრო მექანიზმი, რომელზეც დაფუძნებული იყო რუსული სახელმწიფო.

იმ უაღრესად რთულ პერიოდში სპადე სევასტო-



ლატვიის ეროვნული გმირი, ადმირალი თეოდორ სპადე



ადმირალის მეუღლე ნადეჟდა შველიძე

პოლში იმყოფებოდა, მაგრამ მოძებნა დრო და 1917 წლის მაისში ბათუმში მართლმადიდებელმა ნადეჟდამ და ლუთერანმა თეოდორმა ჯვარი დაიწერეს.

ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთის იმპერიას წერტილი დაუსვა. განუკითხაობამ და წითელმა ტერორმა დაისადგურა მთელ ქვეყანაში. ფლოტი ინერციით არსებობას აგრძელებდა და ლატვიელი ოფიცერი მცირე ხნით უკრაინის ფლოტის სამსახურში აღმოჩნდა. თუმცა მთელი ფიქრები მაინც ბათუმისკენ ჰქონდა მიმართული, სადაც ცხოვრების ულამაზესი თანამგზავრი — ნადეჟდა ელოდებოდა და ეს შეხვედრა ბათუმში, ალბათ, 1917 წლის ბოლოს ან 1918 წლის დასაწყისში შედგა.

მაშინ ქაოსი და განუკითხაობა არც ბათუმს აკლდა. პორტში მდგომი რუსული ხომალდების ეკიპაჟები თავაშვებულობის მაგალითს იძლეოდნენ. რუს მეზღვაურებს ზღვისპირეთის მოსახლეობა ლოთობითა და დებოშით აკლებული ჰყავდათ, თანაც ეს ყველაფერი მოსალოდნელი თურქული აგრესიის ფონზე ხდებოდა.

რევოლუციით გაბრუებული ბოლშევიკები მუქარასაც არ ერიდებოდნენ და შესაშური ენთუზიაზმით ცდილობდნენ ჩანასახშივე ჩაეხშოთ ქართველების ლტოლვა დამოუკიდებლობისკენ.

უმძიმეს მდგომარეობას ემატებოდა გაორებული მენშევიკების უნიათობა, უადგილო შემრიგებლობა და გაუბედაობა.

ქალაქში წესრიგის მეტ-ნაკლებად დაცვას გვარდიის მცირე ქვედანაყოფი ცდილობდა. განსაკუთრებით აქტიურობდა ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური ვლადიმერ გოგუაძე პატრიოტულად განწყობილ ოფიცერთა გუნდთან ერთად.

1918 წლის 17 მარტს ბათუმში სასწრაფოდ ჩამოდის ნოე რამიშვილი, რომლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მოახერხა სიტუაციის განმუხტვა.

ქართველმა გვარდიელებმა უნარიანი მოქმედებებით შეძლეს ბათუმის პორტში მყოფი რუსული ხომალდების ეკიპაჟებისა და ბოლშევიკური ე.წ. „საზღვაო ასეულის" განიარაღება-დაკავება.

თუმცა მაშინვე დადგა ეკიპაჟების საიმედო კადრებით შევსების საკითხი. ასეთ სიტუაციაში მოხვდა თეოდორ სპადე და როგორც სამხედრო-საზღვაო საქმის მცოდნემ, თავისი ადგილი მალევე დაიკავა ახალშექმნილ ამიერკავკასიის ფლოტის შემადგენლობაში. ფლოტი ამიერკავკასიის სახელს კი ატარებდა, მაგრამ რეალურად ქართული ფლოტის პირველ ჩანასახს წარმოადგენდა.

როგორც ჩანს, ლატვიელმა ოფიცერმა ეკიპაჟების გადახალისებაში მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება გამოიყენა, თორემ სწრაფსვლიანი კატარღების დივიზიონის მეთაურობასა და იმავდროულად, ფლაგოფიცრის მოვალეობას არავინ ჩააბარებდა.

მალე სპადეს წყალობით კატარღები საბრძოლოდ მზად იყვნენ. 1918 წლის 27 მარტის გაზეთი „საქართველო" წერდა, რომ ქართული გამანადგურებლების (კატარღები) „აჭარელის", „კახელის", „აფხაზისა" და „გურულის" ახალ ეკიპაჟებს სროლა და საბრძოლო ამოცანების შესრულება შეეძლოთ.

მიზეზთა გამო ბათუმის თურქებისგან დაცვა ვერ მოხერხდა. ფლოტმა ფოთში გადაინაცვლა, ხოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატვიელი ოფიცერი მეუღლესთან ბათუმში დარჩა იმის იმედად, რომ სამშობლოში გააღწევდა, რაც შესრულა კიდეც, თუმცა მრავალი დაბრკოლების გადალახვის შედეგად.

ომის მუხანათობამ იგი თურქთა ტყვედ აქცია, რაც ნადეჟდასთვის უდიდესი ტრაგედია იყო. სიძნელეებს ახალგაზრდა ქალი არ შეეპუა, გაყიდა ძვირფასეულობა, რკინის ქალამნები ჩაიცვა და მეუღლე თურქთა ტყვეობიდან მაინც გამოიხსნა. გამოხსნის დეტალები ჩვენთვის უცნობია, ვიცით, რომ 1918 წლის ოქტომბერში ცოლ-ქმარმა მოახერხა ბათუმში დაბრუნება.

საზღვაო ოფიცერმა ბათუმში დარჩენას ბოლშევიკებთან ბრძოლა ამჯობინა და სამსახური გენერალ დენიკინის მოხალისეთა ფლოტში განაგრძო. ბედის ირონიით მას იმ არმიაში უწევდა სამსახური, რომელიც იბრძოდა „ერთიანი, განუყოფელი რუსეთისთვის“.

თეთრები ბოლშევიკებთან დამარცხდნენ და 1920 წლის ნოემბერში სპადემ ყირიმიდან მეკავშირე ხომალდ „ლიოტჩიკით“ ვრანგელის არმიის ნარჩენები კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა, თავად კი ბათუმში დაბრუნდა, სადაც საყვარელი მეუღლე ელოდა.

1920 წლის დეკემბერში თეოდორი მეუღლესთან ერთად ლატვიაში ჩავიდა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქე. ასე დამთავრდა მისი მრავალწლიანი ოდისეა შავ ზღვაში.

ცოლ-ქმარი რიგაში დაფუძნდა, სადაც იმავე წელს დაიწყო მომავალი ადმირალისა და ეროვნული სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის კარიერა.

აღსანიშნავია ცოლ-ქმრის განსაკუთრებული, თბილი დამოკიდებულება ქართული დიასპორისადმი. თეოდორს პირადი მეგობრობა აკავშირებდა დამოუკიდებელი საქართველოს, თბილისის ყოფილ გენერალ-გუბერნატორ შალვა მაღლაკელიძესა და მის ოჯახთან.

ლატვიელები გულწრფელად თანაუგრძნობდნენ ქართველ ემიგრანტებს და იმედს გამოთქვამდნენ, რომ ბოლშევიკების მარწუხებში მოქცეული საქართველო თავისუფლებას მალე მოიპოვებდა.

ნადეჟდა განუყრელად მეუღლის გვერდით იყო. განვლილმა მძიმე ცხოვრებამ ფაქიზი და მგრნობიარე ქალის ჯანმრთელობა შეარყია. სპადე ყურადღებას არ აკლებდა და დაჰყავდა მეუღლე სამკურნალოდ საფრანგეთის, შვეიცარიის კლინიკებში. 1937 წლის 7 აგვისტოს ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ნადეჟდა შველიძე-სპადე ლოზანის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. იგი რიგის მართლმადიდებლურ მაცხოვრის სახელობის სასაფლაოზე დაკრძალეს. ლამაზი ქალბატონის საფლავს ასევე ლამაზი მწუხარე ქალის ბრინჯაოს ქანდაკება ამშვენებდა (მოგვიანებით ვანდალებმა მოიპარეს).

ოჯახურ ტრაგედიას მალე საბჭოთა ოკუპაცია მოჰყვა და ლატვია რამდენიმე ათეული წლით საბჭოთა იმპერიის ნაწილად იქცა. სპადე ძალზე მტკივნეულად განიცდიდა ქვეყნის პრეზიდენტის უმოქმედობას და ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა უბრძოლველად დანებება. მთავრობას წინააღმდეგობის გაწევისკენ მოუწოდებდა, მაგრამ ბრძოლა არ შედგა.

მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ ადმირალმა მთავრობას უმოქმედობა სიცოცხლის ბოლომდე არ აპატია, თუმცა ბრძანება უსიტყვოდ შეასრულა.

სტალინური რეჟიმისათვის წამება და ცინიზმი ყოველდღიური საქმე იყო. ამის ნათელი მაგალითია ადმირალ სპადეს მოსკოვში ფლოტის გადასაბარებლად გამოძახება.

ლატვიის ფლოტი წითლების ბალტიის ფლოტს მიუერთეს. თეოდორი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარმა ნიკოლაი კუზნეცოვმა „მიიწვია“ ვითომცდა ფლოტის მდგომარეობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად.

სპადე შესაბამისი დოკუმენტაციით გამოცხადდა და იქვე კომისრის კაბინეტში ორმა ტყავისქურთუკიანმა ჩეკისტმა ხელები გადაუგრიხა, კუზნეცოვმა კი მიაძახა, სტალინის ბრძანებით ჩამოშორებული ხარ ფლოტს და განადგურებას ექვემდებარებიო.

ამის შემდეგ იწყება „გოლგოთას გზა“ ციმბირისა და ყაზახეთის გულაგებში. ასე გადაიქცა ადმირალი სპადე პატიმრად, მისთვის უცხო საბჭოთა „ხალხის მტრად“.

სტალინის სიკვდილის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა ხრუშჩოვის პერიოდმა მაინც ვერ უშველა. მისი ეშინოდათ და არ ენდობოდნენ, ამიტომ მშობლიურ ლატვიაში ჩასვლა აუკრძალეს და ყაზახეთში, ქალაქ თემირთაუში გადაასახლეს.

გადასახლებაში მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა თბილისელ გერმანელ ქალთან კორნელია ნოვიკოვასთან, რომელიც უვლიდა და ყველანაირად უმსუბუქებდა მძიმე მდგომარეობას.

პერიოდულად თეოდორი მაინც ახერხებდა ლატვიაში ჩასვლას და ახლობლების მონახულებას. მან ასევე ჩააკითხა თბილისში მცხოვრებ კორნელიას. მასთან ერთად ეწვია ბათუმსაც და მოინახულა ის ადგილები, სადაც იბრძოდა ქართულ ფლოტში სამსახურის პერიოდში.

თეოდორ სპადე გარდაიცვალა 1970 წლის 25 ივლისს ყაზახეთში.

1990 წელს ლატვიელ ენთუზიასტთა ჯგუფმა ადმირალი სამშობლოში გადმოასვენა და რიგაში „მეჟა კაპის“ სასაფლაოზე დაკრძალეს.

ლატვიელი ხალხი ამაყობს და პატივს მიაგებს ღირსეულ მამულიშვილს ადმირალ თეოდორ სპადეს.

**ეკა გოგუაძე**

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან", პალიტრა L

**305** ციხესიმაგრის ასაშენებლად საუკეთესო ადგილი ბორცვი იყო. ეს შემოგარენის დაზვერვას აიოლებდა და მტრის მოულოდნელ შეტევას მომზადებული ხვდებოდნენ. ხანდახან ციხესიმაგრეს მდინარის ან ტბის ნაპირას აგებდნენ და მის წყალს თხრილში მისაშვებად იყენებდნენ.



**306** ციხესიმაგრის პატრონი ოჯახით ნაგებობის ყველაზე უსაფრთხო ნაწილში — ციტადელში ცხოვრობდა. მისი კედლები ძალიან გამძლე იყო, — ზოგიერთ სიმაგრეში 3,5 მეტრი სისქისაც. ციტადელში იყო დარბაზები სტუმრების მისაღებად და წვეულების გასამართავად, ასევე საკუჭნაოები და მოსამსახურეთა ოთახები. ოჯახის საძინებლები ციტადელის ზემო სართულზე იყო. ციხესიმაგრის აშენებას დიდი დრო სჭირდებოდა და ძვირი ჯდებოდა.

## დახატეთ თქვენი საკუთარი ციხესიმაგრე

წარმოიდგინეთ, რომ ფეოდალმა ისეთი მტკიცე ციხესიმაგრის აშენება გთხოვათ, რომ მტრისგან ოჯახის დაცვა შეძლოს.

დახატეთ საიმედო ციხესიმაგრის გეგმა. გახსოვდეთ, რომ შიგ ბევრი თავდაცვითი ნაგებობა უნდა იყოს. არ დაგავიწყდეთ ასაწევი ხიდიც, რათა ფეოდალსა და მის ოჯახს ციხესიმაგრეში შესვლა-გამოსვლა შეეძლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან „500 ფაქტი შუასაუკუნეების ისტორიიდან", პალტერი L

**307** ციხესიმაგრეში გავლენიანი და ძლევამოსილი პირი — მეფე, ფეოდალი ან რაინდი ცხოვრობდა. პატრონი თვითონ აკონტროლებდა ციხესიმაგრეს, მიმდებარე მიწებსა თუ მოსახლეობას. მის მეუღლეს კი მოსამსახურეთა მეთვალყურეობა, საოჯახო საქმეების გაძღოლა და წვეულებისთვის თადარიგის დაჭერა ევალებოდა.



▶ ფეოდალი და მისი მეუღლე

**308** ციხესიმაგრის დაცვას კონეტაბლი მეთაურობდა. ის ჩვეულებრივ მკაცრი და ულმობელი ადამიანი იყო, წვრთნიდა ჯარისკაცებს და ადგენდა გუშაგების მორიგეობის განრიგს. როდესაც პატრონი სხვაგან მიემგზავრებოდა, კონეტაბლი აკონტროლებდა მთელ ციხესიმაგრეს.

**309** ციხესიმაგრის პატრონს უამრავი მოსამსახურე ჰყავდა. ისინი ამზადებდნენ საჭმელს, ასუფთავებდნენ ყველაფერს და სტუმრებს წვეულებაზე ემსახურებოდნენ. ფეოდალის მეუღლეს სეფექალები და პირისფარეშები ემსახურებოდნენ. კაცი, რომელსაც მსახურთუფროსი ეწოდებოდა, პასუხს აგებდა ყველა მსახურზე.




**310** ციხესიმაგრეში ბევრი სახელოსნო იყო, სადაც სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთს ამზადებდნენ. მჭედლები ცხენის ნალებს ჭედდნენ, ოსტატი მეიარაღეები კი საჭურველსა და იარაღს, ფეიქრები ქსოვდნენ, ხარაზები კი წაღებსა და ფეხსაცმელს კერავდნენ.




## დაუჯერებელია!

ციხესიმაგრეში მსახურებს საბაზანოები არ ჰქონდათ. ისინი მდინარეში ბანაობდნენ და მკბენარებს — რწყილებსა და ტილებს იშორებდნენ.





▶ მეჯინიბე პატრონის ცხენებს უვლიდა.

**311** როდესაც ფეოდალს მტერი დაესხმოდა თავს, მოსახლეობა მის ციხესიმაგრეში აფარებდა თავს. ხალხს თან შინაური პირუტყვი და ფრინველიც მიჰყავდა. ციტადელში, სადაც ციხესიმაგრის პატრონის ოჯახი ცხოვრობდა, შესვლის უფლება არ ჰქონდათ, — კონეტაბლი მათ ეზოში აბინავებდა.





# თავადი ოტო ფონ ბისმარკი 1815-1898

ჰელმუთ ფონ მოლტკემ პრუსიის თანამედროვე არმია შექმნა, რისი წყალობითაც გერმანიის იმპერიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა. მან ახალი მეთოდები დაამუშავა გზებისა და რკინიგზის გამოყენებით დიდი არმიების გადაყვანა-გაშლისთვის, აგრეთვე ბრძანებების ტელეგრაფით გადასაცემად.

ოტო ფონ ბისმარკმა, პრუსიელმა სახელმწიფო მოღვაწემ, ომის გონივრულად მანიპულირებით გერმანია გააერთიანა.

დაიბადა 1815 წლის 1-ელ აპრილს შიონჰაუზენში, ბრანდენბურგის პროვინციაში. გიოტინგენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში სამართლის კურსის გავლის შემდეგ ბისმარკი აახენში გადასახადების ამკრეფ ჩინოვნიკად მუშაობდა. მალე პრუსიის ლანდტაგის დეპუტატი გახდა. ოტო ფონ ბისმარკი ულტრაროიალისტი იყო, დემოკრატიას არ ცნობდა. 1851 წელს პრუსიის წარმომადგენელი იყო მაინის ფრანკფურტში, გერმანიის ფედერალურ ბუნდესტაგში.

1859 წელს სანქტ-პეტერბურგში მიავლინეს ელჩად, 1862 წელს კი საფრანგეთში, ნაპოლეონ III-ის კარზე.

იმავე წელს სამშობლოში გამოიძახეს და მინისტრ-პრეზიდენტის პოსტი ჩააბარეს, რათა პრუსიასთან, როგორც ქვეყნის მთავარ მხარესთან, გაეერთიანებინა გერმანია, პრუსიის მეფე ვილჰელმ I-ს კი ჯარის გაზრდა-გაფართოების საშუალება მისცემოდა.

## შვიდკვირიანი ომი

1864 წელს, ხანმოკლე ომის შემდგომ, პრუსიამ შლეზვიგი და ჰოლშტაინი მიიერთა. შლეზვიგის ადმინისტრირება პრუსიამ ითავა. ჰოლშტაინისა — ავსტრიამ. 1866 წლის 9 ივნისს ბისმარკმა ჯარი შეუსია ავსტრიას და შვიდკვირიან ომში ავსტრია და მისი მოკავშირე სახელმწიფოები დაამარცხა. ეს ტერიტორიები ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციაში ძალით გააერთიანეს, თუმცა ავსტრია ცალკე დატოვეს, რადგან ბისმარკს პრუსიის სამხედრო დიდებისათვის ოდნავ ჩრდილის მიყენებაც კი არ სურდა. კონფედერაციამ იმპერიის ძლიერი სქესის მოსახლეობას ხმის უფლება მისცა, კაიზერმა (და ბისმარკმა) კი სამხედრო ხარჯების გაკონტროლება იკისრა.

საფრანგეთში ნაპოლეონ III უკვე შეშფოთებას ვერ მალავდა მეზობელი სახელმწიფოს გაძლიერების გამო და 1870 წელს ბისმარკმა გონივრული დიპლომატიური სვლებით საფრანგეთი აიძულა, ომისთვის მზადებას შესდგომოდა. მალე დაიწყო კიდევ პრუსიულ-ფრანგუ-

### ქრონოლოგია

- 1815 დაიბადა 1-ელ აპრილს ბრანდენბურგში.
- 1847 პრუსიის გაერთიანებული ლანდტაგის დეპუტატი გახდა.
- 1851 მაინის ფრანკფურტში გერმანიის ფედერალურ ბუნდესტაგში პრუსიის წარმომადგენელია.
- 1859-1862 პრუსიის ელჩია ჯერ რუსეთში, შემდეგ კი საფრანგეთში; გახდა პრუსიის მთავრობის მინისტრ-თავმჯდომარე.
- 1863-66 გაატარა სამხედრო რეფორმები.
- 1866 შეიჭრა ჰოლშტაინში; შვიდკვირიან ომში ავსტრია დაამარცხა.
- 1870 დიპლომატიური მანევრების წყალობით საფრანგეთ-პრუსიის ომი გამოიწვია.
- 1871 გაერთიანებული გერმანიის პირველი რაიხსკანცლერი გახდა.
- 1890 გადადგა რაიხსკანცლერის პოსტიდან.
- 1898 გარდაიცვალა 30 ივლისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ომი და სედანთან პრუსიის გამარჯვებამ საფრანგეთში მეორე იმპერია დაასრულა და დატყვევებული ნაპოლეონის ინგლისში გადასახლებით დაგვირგვინდა. დამოუკიდებლად დარჩენილი გერმანული სახელმწიფოები ჩრდილო გერმანიის კონფედერაციაში გაერთიანდნენ და გერმანიის იმპერიას ჩაუყარეს საფუძველი, რომელსაც საფრანგეთისთვის წაგლეჯილი ელზასისა და ლოთარინგიის პროვინციებიც მიუერთდა. საფრანგეთსა და გერმანიას შორის ეს ტერიტორიები მარად საკამათო იყო, სანამ 1918 წელს ისევ საფრანგეთს არ დაუბრუნდა.

## გერმანიის პირველი კანცლერი

გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი ბისმარკი ამ პოსტზე 19 წელიწადი დარჩა და ევროპაში მშვიდობის დამყარებას მიჰყო ხელი. 1872 წელს ბისმარკმა რუს დიპლომატ გორჩაკოვთან ერთად ბერლინში ორგანიზება გაუკეთა გერმანიის, რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორების შეხვედრას. ის უძღვებოდა „დრაიკაისერბუნდის“ („სამი იმპერატორის კავშირი“) მოლაპარაკებებს რუსეთსა და ავსტრიასთან, თუმცა 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომი მაინც გარდაუვალი გახდა.

რუსეთ-საფრანგეთის გაერთიანებულ ძალებს რომ გამკლავებოდა, ბისმარკმა 1878 წელს ავსტრიასა და იტალიასთან შეკრა კავშირი. ამავე წელს თავმჯდომარეობდა ბერლინის კონგრესს, სადაც რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები განიხილეს და ევროპაში ახალი საზღვრები დაწესდა.

ოტო ფონ ბისმარკმა გერმანიაში დააფუძნა ცენტრალური ბანკი, შემოიღო ერთიანი ვალუტა და ერთიანი სამოქალაქო კოდექსი. ის იყო ევროპაში პირველი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც სოციალური დაცვის მოწინავე მოდელი შექმნა — მუშებს უბედური შემთხვევების, ავადმყოფობისა და სიბერის დაზღვევა შესთავაზა. ეს ყველაზე გონივრული პოლიტიკური ნაბიჯი იყო მზარდ სოციალურ მოძრაობასთან დასაპირისპირებლად. 1890 წლისთვის ბისმარკის პოლიტიკა თანამედროვე ინდუსტრიული ქვეყნისთვის ძველმოდურად იქნა მიჩნეული და 18 მარტს ბისმარკი იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო. სიცოცხლის უკანასკნელი წლები, 1898 წლამდე, ანუ გარდაცვალებამდე, მან მემუარების წერას დაუთმო.

## ჩრდილოგერმანული გაერთიანება

- შვიდკვირიან ომში ავსტრიის დამარცხების შემდეგ ქალაქები ჰანოვერი, ჰესენ-კასელი, შლეზვიგ-ჰოლშტაინი, ნასაუ და მაინის ფრანკფურტი, რომლებიც პრუსიას ებრძოდნენ, ანექსირებულ იქნენ. ასე ჩამოყალიბდა 1867 წელს 17 სახელმწიფოსგან (სამთავროსგან) შემდგარი ჩრდილოგერმანული კონფედერაცია.
- საფრანგეთ-პრუსიის ომში ბისმარკის გამარჯვებამ ბავარიის, ვიურტემბერგისა და ჰესენის სამეფოებს ჩრდილოგერმანულ კავშირში გაერთიანებისაკენ უბიძგა და 1870 წელს საფუძველი ჩაეყარა გერმანიის იმპერიას (Deutsches Reich). 1871 წელს პრუსიის კაიზერი ვილჰელმ I ვერსალში გერმანიის იმპერატორად გამოაცხადეს. ოტო ფონ ბისმარკი იმპერიის რაიხსკანცლერად დაინიშნა.

**მოამზადა ლევან ინასარიძემ**




ყველა დროის საყვარელი სპორტული გაზეთი ყოველდღე

ყოველ შაბათს „ლელო“ ჟურნალის სახით!

# მოზამბიკი





ამ აფრიკული ქვეყნის ორიგინალურ დროშაზე „კალაშნიკოვია" გამოსახული




პორტუგალიის ყოფილი კოლონია მოზამბიკი აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს

**პორტუგალიის ყოფილ კოლონია მოზამბიკში აღმოჩენილმა ნახშირწყალბადის უზარმაზარმა მარაგმა ნავთობისა და აირის მომპოვებელი უმსხვილესი კომპანიების ყურადღება მიიპყრო, ხოლო ეროვნულ ეკონომიკაში მრავალმილიარდიანმა ინვესტიციებმა კი შიდა ოპოზიციას აქტიურ, მათ შორის უკანონო ქმედებებისაკენ უბიძგა. ქვეყანაში თითქოსდა არსებული არასრულყოფილ საარჩევნო სისტემას ამოფარებული გამოსვლები სინამდვილეში ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისება-განაწილებაში მონაწილეობაზე იყო გათვლილი.**

ოპოზიციური პარტია RENAMO-ს (მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობა) ბოევიკებმა განაახლეს შეიარაღებული აქციები, რამაც შეიძლება ახალი სამოქალაქო ომის დაწყებას მისცეს ბიძგი. მეამბოხეთა ტერაქტებს უკვე ემსხვერპლა ათეულობით სამხედრო მოსამსახურე, პოლიციელი და მშვიდობიანი მოსახლე.

RENAMO ხელისუფლებას ჯერ კიდევ 1975 წლიდან ებრძვის, როდესაც მოზამბიკმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ის ბრძოლას 1992 წლამდე აგრძელებდა, ვიდრე წმინდა ეგიდიას ადგილობრივი საზოგადოების შუამდგომლობით ქვეყნის მთავრობამ და დაჯგუფების წარმომადგენლებმა რომში ხელი არ მოაწერეს მშვიდობიან ხელშეკრულებას.

16 წლის განმავლობაში კონფლიქტს მილიონზე მეტი კაცი ემსხვერპლა. მოგვიანებით დაჯგუფებამ მიილო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის სტატუსი და არჩევნებში ოთხჯერ მონაწილეობდა, სადაც მას მმართველი პარტია FRELIMO (მოზამბიკის გათავისუფლების ფრონტი) ყოველთვის უსწრებდა.

ნინა წლებში RENAMO საარჩევნო კანონებში ცვლილებებისთვის იბრძოდა, მაგრამ მოლაპარაკებათა 20-მა რაუნდმა კონკრეტული შედეგი ვერ მოიტანა.

პროტესტის ნიშნად RENAMO-მ 2013 წლის ადგილობრივი მმართველობის არჩევნებში მონაწილეობას ბოიკოტი გამოუცხადა და ტერაქტებზე გადავიდნენ.

1992 წლის მშვიდობიანი მოლაპარაკების თანახმად, ოპოზიციამ შეიარაღებული რაზმი საკუთარი ლიდერის დასაცავად შეინარჩუნა. ეს რაზმი არ შევიდა პოლიციის შემადგენლობაში, დარჩა განსაკუთრებულ ფორმირებად და პროვინცია სოფალაში, ტყიან ადგილზე, დაჯგუფების ყოფილ ბაზებში განლაგდა.

ექსპერტთა აზრით, RENAMO-ს შეიარაღებული ფრთა ათას მებრძოლს ითვლის (სხვა მონაცემებით, მხოლოდ 300-ს) და საფრთხეს მაინც წარმოადგენს.

ამჟამად ბოევიკებს აქვთ დივერსიების ჩატარების ძალა და საშუალება საიმისოდ, რომ მოახერხონ, მაგალითად, რკინიგზის პარალიზება. ამდაგვარი აქციები უკვე იყო, რის გამოც რკინიგზით ქვანახშირის გატანა შეჩერდა.

სამთავრობო ჯარებმა საპასუხოდ 2013 წლის 21 ოქტომბერს დედაქალაქ მაპუტუდან 600 კმ-ის დაშორებით ეროვნულ პარკ გორონგოზაში (პროვინცია სოფალა) მდებარე მეამბოხეთა შტაბბინა დაიკავეს.

როგორც მოზამბიკის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, შტურმი იყო იძულებითი ზომა ტერორიზმის კერის ლიკვიდაციისთვის.



სამთავრობო ჯარები აგრძელებენ მოამბოხეთა შევიწროებას

ცხელი წერტილი



უკანასკნელ წლებში მოზამბიკი აფრიკის სამხრეთით სტაბილურობის ერთგვარი საყრდენი გახდა

ოფიციალური პირების განცხადებით, ოპერაციის მსვლელობისას ორივე მხარე დანაკარგს გადაურჩა, თუმცა RENAMO-ს ლიდერებმა ბაზის დატოვება და მიმალვა მოახერხეს. ოპოზიციის წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ ჯარების მიერ მათი ბაზის დაპყრობა აიძულებს მეამბოხეებს უარი თქვან მშვიდობიან მოლაპარაკებაზე.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა და დონორმა ქვეყნებმა RENAMO-სა და მოზამბიკის მთავრობას მშვიდობიანი მოლაპარაკებისაკენ მოუწოდეს. ამგვარი განცხადებები გააკეთეს გაერომ, აფრიკულმა კავშირმა, აშშ-მა, პორტუგალიამ და სხვებმა.

უკანასკნელ წლებში მოზამბიკი აფრიკის სამხრეთით სტაბილურობის საყრდენი გახდა. ქვეყანა იკავებს წამყვან ადგილს კონტინენტზე თავისი გეოსტრატეგიული მდგომარეობითა და სასარგებლო წიაღისეულის მარაგით. აირისა და ქვანახშირის მარაგებმა უცხოური კომპანიები დააინტერესა და ამ საქმეში მსხვილი ინვესტიციებიც განხორციელდა. ბევრი ეკონომისტის აზრით, უახლოეს წლებში ამ სახეობის ენერგორესურსების მოპოვებისა და ექსპორტის მიხედვით ქვეყანა შეიძლება ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო გახდეს.

პოლიტოლოგთა აზრით, დღეს მთავარ საშიშროებას მოზამბიკისთვის წარმოადგენს არა შეიარაღებული კონფლიქტი RENAMO-სა და FRELIMO-ს შორის, არამედ რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების გამოჩენა ასპარეზზე. იმიგრანტები ტანზანიიდან, კენიიდან და სომალიდან არა მარტო ქვეყნის ჩრდილოეთში, არამედ მოზამბიკის დედაქალაქშიც არიან. ტერორიზმთან ბრძოლის ექსპერტების აზრით, იმიგრანტების შორის არიან ისინიც, ვინც შეინარჩუნა კავშირი ექსტრემისტულ მოძრაობებთან აფრიკის სხვა რეგიონებშიც, თუმცა კი გასული საუკუნის მსგავსი სრულმასშტაბიანი სამოქალაქო ომის გაჩაღებას მანც ვერ მოახერხებენ.

**მოამზადა ვიქტორია ვაზაგაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა სტრესებს განიცდის მებრძოლი...



არჩილ ბურჯანაძე აფხაზეთის ომში

ბოლო პერიოდში სამხედრო მოსამსახურეების ფსიქიკური ჯანმრთელობა, რომლებიც მონაწილეობდნენ ადგილობრივ ომებსა თუ სხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში საკმაოდ აქტუალური გახდა სამხედრო ფსიქიატრიის სფეროში. ხოლო საბრძოლო ფსიქიკური ტრავმის ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული შედეგები, განსაკუთრებით სამედიცინო-რეაბილიტაციური კუთხით, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სპეციალისტების კვლევისა და ინტერესის სფეროდ ჩამოყალიბდა.

საბრძოლო სტრესად მიჩნეულია ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციური აქტივობის მრავალდონიანი პროცესი საომარ პირობებში, რასაც თან ახლავს რეაქტიული თვითრეგულაციის მექანიზმების დაძაბვა და სპეციფიკური შეგუებითი ფსიქოფიზიოლოგიური ცვლილებების გამომუშავება.

საბრძოლო სტრესების მდგომარეობის დინამიკასა და მათი გამოვლინების ხარისხს განსაზღვრავს საბრძოლო მდგომარეობის სტრესორებისა და მათ მიერ გამოწვეული მუდმივად ცვალებადი პიროვნების ფსიქობიოლოგიური სუბსტრატის ურთიერთქმედება. პიროვნული ადაპტაციური პოტენციალის როლი არაერთგვაროვანია. სხვადასხვა კვლევით მწვავე ტრანზიტორული ფსიქიკური აშლილობები კომბატანტებში 8-დან 26 პროცენტამდე გვხვდება და ეს მაჩვენებელი იზრდება საბრძოლო პირობებში ყოფნის დროის შესაბამისად. ასევე მოქმედებს ეკოსოციალური ფაქტორების ერთობლიობა, როგორიცაა საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობა და ხანგრძლიობა, საბრძოლო თეატრის პირობები, დაავადებიანობა, ტრავმატიზმი, ჭრილობების ხასიათი, ომის მიზანშეწონილობა, საზოგადოების თანადგომა, მებრძოლთა ერთსულოვნება და ერთიანობა, ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის დამოკიდებულება და ა.შ.

მწვავე ტრანზიტორული ფსიქიკური აშლილობები აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების პერიოდში დაფიქსირდა. 1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის 30 სექტემბრამდე მე ვხელმძღვანელობდი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ თავდაცვის სამინისტროს მაშინდელი I-ლი მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო-სამედიცინო ასეულს, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში რამდენჯერმე შეეცვალა დასახელება: მე-11 ბრიგადის სამედიცინო ასეული, 1 საარმიო კორპუსის სამედიცინო ასეული, ცალკეული სამხედრო სამედიცინო ასეული, კვლავ მე-11 ბრიგადის სამედიცინო ასეული და ა.შ. მაგრამ აღნიშნული სახელები მხოლოდ ჩვენს დაქვემდებარებას ასახავდა, ხოლო სტრუქტურულად და ფუნქციურად ის რჩებოდა იმავე სამხედრო-სამედიცინო ქვედანაყოფად, რომელიც მცირე ზომის მობილურ საველე ჰოსპიტლის ფუნქციებს ასრულებდა. მას პირველი კვალიფიციური საექიმო დახმარების აღმოჩენა და სამედიცინო ევაკუაცია ევალებოდა ზურგის (ძირითადად, ქუთაისისა და თბილისის) საავადმყოფოებში.

საომარი მოქმედებების პერიოდში ჩვენი ქვედანაყოფი ბრძანებების შესაბამისად დისლოცირებული იყო აჭანადარის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და კინდღის რეგიონებში.

ასეული აღჭურვილი იყო ძირითადად, რუსული წარმოების 13 ერთეული ტექნიკით, მათ შორის იყო 2 ერთეული АП-2, რომელიც საველე პირობებში 2 საოპერაციო მაგიდის გაშლას უზრუნველყოფდა. ოჩამჩირესა და გალში ვიყენებდით ადგილობრივი საავადმყოფოების ინფრასტრუქტურას, რომელსაც ჩვენი რესურსებით ვაძლიერებდით და ხშირად 4 ან 5 საოპერაციო მაგიდას ვშლიდით დატვირთვის შესაბამისად.

ამ პერიოდში მივიღეთ 1557 დაჭრილი და დაავადებული სამხედრო და სამოქალაქო პირი, მათ შორის 1993 წლის აგვისტოდან ბავშვებიც.

ყოველ 2-3 თვეში ერთხელ ჩატარებული მუშაობის სამედიცინო ანგარიშები იგზავნებოდა მაშინდელი თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს უფროსთან, გენერალ-მაიორ რამიშვილთან. მოგვიანებით დავინტერესდი ამ ანგარიშებით, მაგრამ, სამწუხაროდ, გაუთავებელი რეორგანიზაციების გამო ველარსად მივაგენი.

ჩვენი დოკუმენტაციის ორიგინალები გადმოტანილი იქნა ენგურს აქეთ, მაგრამ ჩვენი ასეული ზუგდიდში დააპატიმრეს მაშინდელი პრეზიდენტის სამხედრო მოსამსახურეებმა და მოგვათავსეს ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მიუხედავად იმ საავადმყოფოს პერსონალის ძალზე თბილი და მეგობრული დამოკიდებულებისა, ჩვენ მაინც სამხედრო პატიმრებად ვითვლებოდით, იარაღი ჩამორთმეული გვქონდა,

თუმცა სამხედრო-სამედიცინო ტექნიკა დაგვიტოვეს. ერთი კვირის განმავლობაში, რაც ჩვენ საავადმყოფოში ვიმყოფებოდით, არაერთხელ შემოგვთავაზეს ამბოხებულთა მხარეს გადასვლა, მაგრამ ჩემი მტკიცე პოზიციის გამო, რომ ჩვენ სამოქალაქო ომში ვერ მივიღებდით მონაწილეობას, ერთი კვირის შემდეგ პრეზიდენტის ბრძანებით გაგვათავისუფლეს, დაგვიტოვეს ჩვენზე რიცხული ტექნიკა, მაგრამ ჩამოგვართვეს მედიკამენტების, შესახვევი მასალის დარჩენილი მარაგი და სამედიცინო ინვენტარი, მათ შორის ხელოვნური სუნთქვის აპარატები, და გამოგვაცილეს აბაშის პოსტამდე. სამედიცინო საქონლის ჩამორთმევის დროს ჩვენი დოკუმენტაციის ნაწილი დაიკარგა, ასე რომ, ზუსტი სამედიცინო სტატისტიკური მონაცემები აღარ არსებობს.

სამხედრო-სამედიცინო ასეულში ექიმ-ფსიქიატრის შტატი გათვალისწინებული არ არის, რადგან ფსიქიატრიული სამედიცინო დახმარება განეკუთვნება ვიწროსპეციალიზებულ დახმარებას, რომელიც ღრმა ზურგის საავადმყოფოებში უნდა გაუწიონ პაციენტებს.

ასე რომ, ჩვენ მიერ დაფიქსირებული ფსიქიკური აშლილობები არასპეცილისტის მიერ ნანახი და აღწერილი იქნება და მათ ფსიქიატრიულ- დიაგნოსტიკურ იდენტიფიკაციაზე პრეტენზია არ გაგვაჩნია. მაგრამ მათი მასობრიბი ხასიათი და ხშირი შემთხვევები საჭიროებს ანალიზსა და განზოგადებას, მით უმეტეს, რომ მსგავსი შემთხვევები 2008 წლის ომშიც დაფიქსირდა.

როგორც ცნობილია, საბრძოლო ტრავმები დაკავშირებულია ომის ხასიათთან, ანუ გამოყენებულ იარაღსა და საბრძოლო მასალებთან. ომის დასაწყისში უფრო ცეცხლნასროლი დაზიანებები ჭარბობდა, ხოლო 1992 დეკემბრიდან უფრო გახშირდა ნალმფეთქებადი მასალებით გამოწვეული დაზიანებები. ომის ხასიათი შეტევითი ოპერაციების სიხშირითაც განისაზღვრება. აფხაზეთში უფრო პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა და ეს გრძელდებოდა ხშირად კვირებისა და თვეების განმავლობაში. მებრძოლებს ხშირად უვითარდებოდათ ე. წ. მოლოდინის სინდრომი, რომელიც გარკვეულ ინიციალურ პერიოდს მოიცავდა. ეს პერიოდი ხასიათდებოდა უძილობით, მოუსვენრობით, შფოთვით, დაბნეულობით, მორალური გადაღლით. ამ სიმპტომების უგულებელყოფისას ხშირად ვითარდებოდა ბოდვითი სიმპტომები ბოდვის სტრუქტურის სწრაფი ცვალებადობით, ძირითადად, პრევალირებდა მტრის შემოტევის, თავდასხმის და დევნის მოტივები. ასეთი მწვავე ფსიქოზური რეაქცია, რომელსაც რეალობასთან არაფერი ჰქონდა საერთო, ისეთი სიმძაფრითა და სიცხადით იყო ხოლმე მანიფესტირებული, რომ ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა მებრძოლებში და იწყებოდა მასობრივი პანიკა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ეს ფსიქოზური რეაქცია გადამდები სენივით ვრცელდებოდა დანარჩენ მებრძოლებზე და იწყებოდა ქაოსი. მებრძოლები ხდებოდნენ აბსოლუტურად არაადეკვატურები, გარბოდნენ გაურკვეველი მიმართულებით, ხშირად ისროდნენ ქაოსურად ან საერთოდ ყრიდნენ იარაღს და ემსგავსებოდნენ ზომბირებულ ბრბოს, არ რეაგირებდნენ არანაირ შეგონებასა თუ მოწოდებაზე, ხდებოდნენ უმართავები და ხშირად საშიშიც კი საკუთარი მხარისათვის. ამგვარი რეაქციის მოწმეები მეც და ჩემი თანამშრომლებიც არაერთხელ გავმხდარვართ. ასეთი მასობრივი ფსიქოზური რეაქცია ხშირად იწვევდა საბრძოლო ძალების დაქსაქსვას და ნაწილების განლაგების სურათსაც კი ცვლიდა. ყველაზე დიდი და მასობრივი ფსიქოზური რეაქცია სოხუმის დაცემის შემდეგ დაიწყო, რამაც ძალზე დააზარალა ჩვენი მხარე უკან დახევისას.

სოხუმის დაცემის დღეებში ჩვენი ასეული კინდღში იყო დისლოცირებული. ჩვენ სოხუმისა და ოჩამჩირის მიმართულებებს ვემსახურებოდით. ოცდათხუთმეტამდე დაჭრილს ვამზადებდით საევაკუაციოდ, როდესაც მასობრივი ფსიქოზის მოწმეები გავხდით. ჩვენ თვალწინ ასობით მებრძოლი გარბოდა, ამაო იყო ოფიცრების მოწოდებები წესრიგის შენარჩუნებაზე. დაახლოებით ორმოცამდე მებრძოლი ჩვენთანაც შემოიჭრა ყვირილით, რამაც ჩვენს თანამშრომლებშიც გამოიწვია ხანმოკლე არეულობა, მაგრამ ასევე სწრაფად დალაგდა სიტუაცია, როდესაც გავაცნობიერეთ, რომ ეს მწვავე ფსიქოზური რეაქცია იყო. დავიწყეთ ტრანკვილიზატორის (დიაზეპამის, სხვა ფსიქოთროპული წამლები ჩვენ არ გვქონდა) მაღალი დოზების გამოყენება — 4,0-6,0 ვენაში, რომლის შემდეგაც ფსიქოზური რეაქცია თითქმის ყველას მოეხსნა, თუმცა ზოგიერთს მაინც დარჩა სუსტი დევნითი ჰალუცინაციები. ასეთები ჩვენთან დავტოვეთ და ოჩამჩირეში დისლოკაციისას ოჩამჩირის საევაკუაციო მატარებელში გადავიყვანეთ. ჩვენთან ასეთი ფსიქოზური რეაქციით მთელი ომის განმავლობაში სულ 50-მდე შემთხვევა დაფიქსირდა, ყველა სხვა მასობრივი ფსიქოზის გამოვლინებებს ჩვენ მხოლოდ შორიდან ვა-


აფხაზეთის ომში სამხედრო ექიმების თავდადებამ მრავალ დაჭრილს სიცოცხლე შეუნარჩუნა

ფიქსირებდით, რადგან ისეთი პანიკის პირობებში სამხედრო მოსამსახურეები ჩვენ არ მოგვმართავდნენ, არამედ ქაოსურად გარბოდნენ პოზიციებიდან, როგორც მოგვიანებით ირკვეოდა, სრულიად უსაფუძვლოდ. სულ მასობრივი ფსიქოზის ოთხი ეპიზოდი დაფიქსირდა: ერთი აჭანდარაში 1992 წლის სექტემბრის ბოლოს, მეორე გულრიფშის რეგიონში 1992 ოქტომბრის ბოლოს, მესამე-მეოთხე კი კინდღში — 1993 წლის ივლისსა და სექტემბერში. როგორც უკვე აღვნიშნე, ასეთი რეაქციების განვითარების არანაირი რეალური საფრთხე არ არსებობდა. ასეთი რეაქციები ყოველთვის იწყებოდა ერთი მებრძოლის პანიკური ბოდვითი რეაქციით, რომელიც ელვისებურად ვრცელდებოდა მის გარემოცვაში და უკვე 15-20 კაცის ამგვარი რეაქცია ხდებოდა საფუძველი, რომ 100-150 კაცი არაადეკვატური გამხდარიყო და პანიკურად დაეტოვებინათ საბრძოლო პოზიციები. ხშირად, გარკვეული დროის შემდეგ (1 ან 2 დღე), ასეთი რეაქციები უმეტესობას თავისით ეხსნებოდა ისევე სპონტანურად, როგორც იწყებოდა, ხოლო ერთეული შემთხვევები კი ჩვენთან მოჰყავდათ საექიმო დახმარებისათვის.

წინამდებარე სტატიის მიზანი არ წარმოადგენს მაშინდელი ჯარის დისკრედიტაციის მცდელობას. პირიქით, გულისტკივილით ვიხსენებ იმ გულანთებულ ახალგაზრდებს, ვინც მოხალისეებად მიდიოდნენ ამ ომში და გმირულად დაიღუპნენ. მათ შორის იყვნენ ჩვენი ასეულის 3 თანამშრომელიც, 2 ექიმი და ერთი ლოგისტიკის ოფიცერი. ომი ძალზე სერიოზული მოვლენაა იმისათვის, რომ მხოლოდ ემოციებზე დაყრდნობით ვიხელმძღვანელოთ. მას საფუძვლიანი მომზადება სჭირდება, რაც აკლდა ჩვენს მაშინდელ ჯარს. ჯარის მომზადებაში საბრძოლო, ლოგისტიკური, საშტაბო, სამწყობრო, დაგეგმარებითი თუ სამედიცინო შემადგენლების გარდა, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ფაქტორიც. მოწინავე დასავლურ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია დანერგილია სტანდარტული სამხედრო-ფსიქოლოგიური ტესტირებები. ფსიქოლოგიური განტვირთვის კაბინეტები და დივერსიული სამხედრო ოპერაციების მომზადებისას აუცილებელია ოპერაციაში მონაწილე კომბატანტების ფსიქოლოგიური თავსებადობის შესწავლა კრიტიკული სიტუაციების პირობებში.



2008 წელს რუსული აგრესიის დროს არმია კიდევ ერთხელ ფსიქიკური ტრამვების წინაშე აღმოჩნდა

სამხედრო ფსიქიატრიის ე.წ. სანიტარულ დანაკარგზე ორიენტირება საკმაოდ მოძველდა და არ გაამართლა. მოქმედი ჯარის ბრძოლისუნარიანობა ქვეითდება პრენოზოლოგიური სტრესული დარღვევების მაღალი სიხშირის გამო სამხედრო მოსამსახურეთა შორის. გარდა ამისა, ფსიქიატრიულ სანიტარულ დანაკარგში არ შედიან დაჭრილები და სომატური ავადმყოფები, თუმცა ბევრი მათგანი საჭიროებს ფსიქოლოგიურ თუ ფსიქიატრიულ დახმარებას. პრენოზოლოგიური დარღვევების პათოლოგიურში გადასვლის მაღალი ალბათობა ძალზე აქტუალურს ხდის ფსიქოლოგიური დახმარების დროულობას. ხშირ შემთხვევაში საბრძოლო ფსიქიკური ტრავმით გამოწვეული პათოლოგიის მანიფესტაცია თავს იჩენს ვეტერანების სამოქალაქო ცხოვრებაში დაბრუნების შემდეგ. შესაბამისად, წინა პლანზე გადმოდის მათი რეაბილიტაციის, რესოციალიზაციის და რეადაპტაციის პრობლემა. ამიტომ აქტუალურია ფსიქოლოგიური პროფილაქტიკურ-პრევენციული და რეაბილიტაციური სამუშაოები. მოწინავე ქვეყნების გამოცდილებით აუცილებელია სამხედრო-ფსიქიატრიული პროფილაქტიკური რგოლის შექმნა სამხედრო-სამედიცინო სტრუქტურაში. ყველაზე მისაღები ვარიანტია ე.წ. ფსიქიკური ჯანმრთელობის საშტატო ჯგუფის ჩამოყალიბება ფსიქიატრის, სამხედრო და სამედიცინო ფსიქოლოგების შემადგენლობით. ამ ჯგუფების მეშვეობით შესაძლებელია რეალური ფსიქოპროფილაქტიკისა და რეაბილიტაციის კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბება სამხედრო მოსამსახურეთათვის როგორც საბრძოლო მომზადების, ასევე საბრძოლო ვითარების პირობებში. ამავე ჯგუფის ფუნქციაა ჯარის ახალი შევსების ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული გამოკვლევის ჩატარება, ფსიქიკური დარღვევების დროული გამოვლენა, მათი მიზეზების და ფსიქოლოგიური დეზადაპტაციის პირობების შესწავლა და მეთაურებისათვის წინადადებების შემუშავება ამ პირობების აღმოსაფხვრელად. ამავე ეტაპზე უნდა მოხდეს პროფესიული შერჩევა, რეაქტიულობის კონსტიტუციონალური თავისებურებების განსაზღვრა, სტრესული აშლილობების განვითარების ალბათობის დადგენა, ექსტრემალურ პირობებში დისფუნქციური მდგომარეობების პროგნოზირება. სტრესის მიმართ დაბალი მდგრადობის გამოვლენისას ასეთი პირები არ უნდა ხვდებოდნენ საბრძოლო ქვედანაყოფებში.

საბრძოლო ფსიქიკური ტრავმის პრობლემა არა მარტო ჯარის ბრძოლისუნარიანობას ეხება, არამედ მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასაც (გავიხსენოთ თუნდაც 2008 წლის ომი, რომლის სიმძიმე მშვიდობიან მოსახლეობაზე გადაიარა). ამიტომ ფსიქოპროფილაქტიკის პროგრამის განხორციელება წარმოუდგენელია სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე.

**არჩილ ბურჯანაძე**
**სამხედრო-სამედიცინო სამსახურის**
**გადამდგარი პოლკოვნიკი**
**საქართველოს სამხედრო ექიმთა**
**ასოციაციის თავმჯდომარე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა


# TIME

## მე-20 საუკუნე

გაზეთ „კვირის პალიტრასთან" ერთად, თვეში ორჯერ




**შეაგროვე 16 წიგნად**

ლეგენდარული ჟურნალის მიერ „ცხელ კვალზე" მოპოვებული მასალები დოკუმენტური ფაქტები, რეალური მოვლენები

**და შეეხე ეპოქას!**

**10 მარტიდან**

მსოფლიო ბესტსელერი!

წიგნი პირველი
**დიდი ომიდან დიდ დეპრესიამდე**

შემდეგი წიგნი
**ფაშიზმი**

წიგნის ფასი: **7 ლ**

გაზეთთან ერთად: **8 ლ**




ფაქტები • პლაკატები • კარიკატურები • კინემატოგრაფია

ინტერვიუები ეპოქის მნიშვნელოვან ფიგურებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა





Ruger Mini



Ithaca



Morita Mk1

# „ვარსკვლავური დესანტი" უცხოპლანეტელ ობობებთან ბრძოლაში

გასული საუკუნის მიწურულს, 1997 წელს, გამოსული ფანტასტიკური ჟანრის მძაფრსიუჟეტიანი მხატვრული ფილმი „ვარსკვლავური დესანტი" (Starship Troopers) საუკეთესო სპეცეფექტებისთვის ნომინირებულ იქნა 1998 წლის „ოსკარზე" და დღესაც საინტერესო ფილმია (რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ამ ფილმის ორ შემდგომ გაგრძელებაზე). ცნობილი რეჟისორის, პოლ ვერხოვენის „ვარსკვლავური დესანტის" გადაღება 105 მლნ დოლარი დაჯდა. აშშ-ის კინოთეატრებში ჩვენებამ — 55, ხოლო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კინოდარბაზებში გაშვებამ კი 121 მლნ დოლარის მოგება მოუტანა ფილმის შემქმნელებს.

ფილმში მოქმედება შორეულ მომავალში ხდება, როდესაც დედამიწის ერთიანი ხელისუფლება „ვარსკვლავურ დესანტს" გზავნის შორეულ პლანეტაზე იქ მცხოვრებ მოაზროვნე არაქნიდებთან (სხვადასხვა სახის გიგანტური მწერები) საბრძოლველად.

ფილმში რეჟისორებმა „ვარსკვლავური დესანტი" მომავლის იარაღით აღჭურვეს, თუმცა დიდი დაკვირვების შემდეგ ამ იარაღში შეიძლება იმ შაშხანებისა თუ ტყვიამფრქვევების ამოცნობა, რომელსაც დედამიწაზე ჯერ კიდევ XX საუკუნეში იყენებდნენ.



„ვარსკვლავური დესანტის" გმირები რიკო და მისი თანამებრძოლები Morita Mk I ტიპის შაშხანებით ებრძვიან გიგანტურ ხოჭოებს. ფილმის გადაღებისთვის ჰოლივუდის მეიარაღეებმა ჩვეულ ეშმაკობას მიმართეს და ფანტასტიკური „მორიტა" ორი ცეცხლსასროლი იარაღისგან ააწყვეს. ძირითად იარაღს წარმოადგენდა Ruger Mini-ის „ბულპაპის" ვარიანტი, რომელსაც ლულის ქვეშ ლულაგადაჭრილი დგუშიანი თოფი Ithaca დაუმაგრეს და დამატებით პლასტმასის დეტალებით შენიღბეს, რათა მომავლის იარაღად გაესაღებინათ. თუმცა „მორიტას" ლულის თავში ძალზე ნაცნობი კონფიგურაციის ლულის მუხრუჭი-ცეცხლმქრობი აქვს, რომელიც ამერიკული ტყვიამფრქვევ M60-დან არის გადმოტანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფილმის ერთ-ერთ ეპიზოდში, როდესაც უთვალავი არაქნიდი ფედერაციის სამხედრო ბაზას შეესევა, ბაზის კედლებზე მდგარი ჯარისკაცები ტყვიამფრქვევებით შეეცდებიან მათ მოგერიებას. ის ტყვიამფრქვევები კი სხვა არაფერია, თუ არა ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში გამოშვებული საბჭოთა მსხვილკალიბრიანი ДШК-ები, რომელთა უკეთესად შენიღბვა ფილმის გადამღებებმა რატომღაც არ მოისურვეს

უცხოპლანეტელ ხოჭოებს ძლიერი ჯავშანი იცავს და ფედერაციის მედესანტეთა „მორიტებით“ გასროლილი ტყვიების ჯერები ნაკლებად ეფექტურია, რასაც ვერ ვიტყვით Mk55 ტიპის ყუმბარსატყორცნზე, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ბირთვულქობინიან რაკეტას ისვრის და ერთდროულად ასობით არაქნიდს ანადგურებს





ფედერაციის მედესანტეთა შეიარაღებაშია „მორიტას“ შაშხანის სნაიპერული ვარიანტი ძლიერი ოპტიკური მოწყობილობებით, რომლითაც ცდილობენ შეჯავშნული ხოჭოები ყველაზე სუსტ ადგილებში დააზიანონ

ფედერაციის სარდლობამ შეჯავშნული არაქნიდების გასანადგურებლად „ვარსკვლავურ დესანტს“ გადასცა მოდერნიზებული Morita MK II -ის შაშხანები, რომლებიც ჯავშანგამტან ტყვიებს ისვრიან და ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნებით არიან აღჭურვილი






ეროვნული ბიბლიოთეკა
აირჩიე შესაფერისი იარაღი. ისროლე ზუსტად
გააუმჯობესე შენი შაშხანის სიზუსტე
ისწავლე თოფისთვის საფანტის შერჩევა
335 მნიშვნელოვანი რჩევა ნადირობის შესახებ
ფასი 29.95 ლარი
დეივ პეტცელი
ფილ ბურჯელი
სანადირო იარაღის დიდი სახელმძღვანელო
335 მნიშვნელოვანი რჩევა ნადირობის შესახებ
შაშხანები
საფანტის თოფები
და სხვა...
შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში
წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ: 0(32) 238 26 73, 0(32) 238 26 74 www.elva.ge

# კროსვორდი



**თარაზული:** 1. კადეტთა კორპუსის მოსწავლე; 5. აშშ-ის არმიის გენერალი, აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელი 1993-97 წწ-ში ... შალიკაშვილი; 8. თურქი ჯარისკაცი; 9. ავტომობილის, ვაგონის მოძრაობის დროს ბიძგების შესარბილებელი ლითონის დრეკადი ნაწილი; 10. რადიოტალღების მიმღებ-გადამცემი საშუალება; 11. წინამძღოლი, ხელმძღვანელი; 12. ძლიერი სახელმწიფო, რომელიც მრავალ ერსა თუ ქვეყანას აერთიანებს; 16. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი; 17. სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი; 18. მონღოლ ან თურქ მომთაბარე ტომთა ბანაკი; 19. საჰაერო ბრძოლის ოსტატი; 21. ბორბალი, რომელიც მოძრაობას გადასცემს ამძრავ ლვედს; 24. ფოლადის ბაგირი; 27. ბრძოლა; 29. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 30. ასეც ეძახდნენ მეფე ერეკლეს; 31. გრძელი, მოქნილი და ოთხწახნაგოვან პირიანი მჩხვლეტი იარაღი; 32. იგივეა, რაც უნტერ-ოფიცერი; 33. ინდიელების ნავი; 34. უმცროსი მატროსი.

**შვეული:** 2. სამხედრო იარაღისა და საჭურვლის საწყობი; 3. უმაღლესი მთა ჰიმალაის მთებში; 4. ბილბაოს „ატლეტიკის" ლეგენდარული ფეხბურთელი; 5. ქართველთა და სპარსელთა ბრძოლის ადგილი; 6. ქართველი მხედართმთავარი, გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი; 7. ცისკრის ვარსკვლავის ძვ. ქართული სახელწოდება; 13. მაღალი სიხშირის რხევათა შეცვლა უფრო დაბალი სიხშირის რხევებით; 14. ძველებური ფრანგული ოქროსა და ვერცხლის ფული; 15. უსიამოვნო შემთხვევა; 20. ... ბატონიშვილი — მეფე გიორგი XII-ის ძე, მონაწილეობდა 1812 წლის ომში ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ; 22. განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პირი; 23. ხმლის ტარი; 25. ესპანურ-ამერიკული სამხედრო-საზღვაო ბაზა; 26. ამაზონის აუზის თევზი; 27. ალყა, გარემოცვა; 28. კუთხე, რომელიც იქმნება მოცემულ მიმართულებასა და ჩრდილოეთის მიმართულებას შორის.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. კამორა; 5. ალასკა; 8. იმპელა; 9. ტრამპი; 10. არმადა; 11. სპარტა; 12. იმამატი; 16. ნიდაო; 17. რაცია; 18. ომაჟი; 19. „დელტა"; 21. კოლტი; 24. პოლკი; 27. მილიცია; 29. ალპები; 30 რეიდი; 31. ესქილე; 32. სტელა; 33. მირსკი; 34. ატაშე.

შვეულად: 2. ადმირალი; 3. ოპერაცია; 4. ატამანი; 5. არტისტი; 6. ალასანია; 7. კაპიტანი; 13. მაჟორდომი; 14. მატა; 15. ტოლი; 20. ლუკი; 22. ობელისკი; 23. ტეტე; 25. ორბი; 26. კამიკაძე; 27. მოირები; 28. აგრესია.



# უცნაურზე უცნაური პისტოლეტი





იარაღის კონსტრუქტორებმა უკვე აღარ იციან, რა ახალი, აქამდე არნახული ფორმის პისტოლეტი თუ ავტომატი მოიგონონ, რისი საუკეთესო დადასტურებაც არის ეს ფუტურისტული დიზაინის პისტოლეტი, რომლის ერთი შეხედვით შეიძლება ვერც კი მიხვდეთ, რომ თქვენ წინ სწორედ იარაღია და არა სამზარეულოს რაიმე ახალი ელექტროხელსაწყო.

ამერიკულმა საიარაღო ფირმა U.S.Fire Arms-მა, რომელიც აქამდე მაღალხარისხიანი რევოლვერების დამზადებით იყო ცნობილი, საიარაღო ბაზარზე უცნაურზე უცნაური პისტოლეტი Zip Factory გამოიტანა.

იგი არ ჰგავს ყველასათვის ნაცნობ პისტოლეტის დიზაინს და ჩნდება კითხვა: როგორ უნდა დაიჭირო ხელში, რომ გაისროლო?!

მიუხედავად ამისა, უცნაური პისტოლეტი ხელში კარგად „ჯდება" — საჩვენებელი თითი სასხლეტზე თავსდება, შუათითი — სპეციალურ სარკმელში, ხოლო ხელისგული ებჯინება პლასტმასის ჩარჩოს, რომელშიც საკეტია განთავსებული.

პლასტმასის ჩარჩოზე მიბჯენილი ხელისგული ლულის წრფის გასწვრივ ჯდება და გასროლისას თითქმის მთლიანად ანეიტრალებს ლულის ზემოთ აგდების ძალას. ამასთან, პისტოლეტში გამოიყენება მცირეიმპულსიანი .22LR (5,6 მმ) ტიპის ვაზნები, რომლებიც ისედაც არ გამოირჩევიან დიდი ენერგიით.

უცნაური პისტოლეტის გადასატენი მექანიზმიც არანაკლებ უცნაური და ცოტა საშიშიცაა, რადგან ის პისტოლეტის ლულის თავზეა განთავსებული და გადატენისას მსროლელის თითი ლულის ბოლოსთან ხვდება, რაც არასასიამოვნო ფსიქოლოგიური მომენტია.

გადასატენ მექანიზმს ორი ბერკეტი აქვს. უფრო გრძელ ბერკეტს ZIP LOAD-ი ჰქვია. მასზე თითის დაჭერის შემდეგ საკეტს მჭიდიდან ვაზნა ამოაქვს და ბერკეტისგან თითის მოცილების შემდეგ ამ ვაზნას სავაზნეში გზავნის — იარაღი მზად არის გასასროლად.

მეორე, უფრო მოკლე ბერკეტზე — ZIP RESTRIKE-ზე თითის დაჭერის შედეგად ხდება დამცემის შეყენება.

პისტოლეტს კომპლექსში მოჰყვება ორი უკან დამბრუნებელი ზამბარა, რომელთაც იმის მიხედვით აყენებენ, თუ რა ტიპის ვაზნები გამოიყენება.

ამ უცნაური პისტოლეტის მსროლელები ამტკიცებენ, რომ ის სროლის კარგი სიზუსტით გამოირჩევა და ხელშიც კარგად ზის, რაც ცოტა ძნელი დასაჯერებელია, სანამ თავად არ გამოცდი, თუმცა ჯერ საქართველოში ეს უცნაური პისტოლეტები არ გამოჩენილა.

**ირაკლი ალადაშვილი**





**ჩვენი დოსიე:** ZiP Factory-ს სიგრძე 19,6 სმ-ია და ვაზნების გარეშე მხოლოდ 430 გ-ს იწონის, რადგან მისი ჩარჩო მსუბუქი პოლიმერული მასალისგანაა დამზადებული. მჭიდში .22LR კალიბრის 10 ვაზნა ჩადის.



*ZiP Factory სპეციალური მჭიდით, რომელშიც 10-ის ნაცვლად 25 ვაზნა ჩადის.*

აშშ-ის იარაღის მაღაზიებში ამ უცნაური დიზაინის პისტოლეტის ყიდვა მჭიდის გარეშე — 199, ხოლო მჭიდით კი 219 დოლარად შეიძლება.



*Picatinny-ს გადამყვანი რელსების საშუალებით ZiP Factory-ს დამაგრება ავტომატური შაშხანების ლულის ქვეშაც შეიძლება, თუმცა რა პრაქტიკული გამოყენება შეიძლება ჰქონდეს ამას, ცოტა ძნელი წარმოსადგენია*

ეროვნული ბიბლიოთეკა


# პროსტამოლ® უნო

Extr. Serenoa repens

პროსტატის კეთილთვისებიანი
ჰიპერპლაზიის სიმპტომების
სამკურნალო საშუალება





ISSN 1987-5061
9 771987 506007


გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური
ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

BERLIN-CHEMIE
MENARINI

Pu-01-2013

www.berlin-chemie.ge

თბილისი, 0160, გამრეკელის 19; ტელ: 224 13 70/71/72
ფაქსი: 224 12 10; ელ. ფოსტა: geobc@wanex.net